ც ხ ო ვ რ ე ბ ა

მეფისა თეიმურაზ პირველისა,

აღწერილი ლექსად

არჩილისაგან მეფისა.

დაბეჭდილი

ქალაქსა თფილისს,

სტამბასა შინა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიისსა.

1853.

1794

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

ი. [illegible]

ათხიჯისნი

ПО ПРИКАЗАНІЮ

Его Свѣтлости Намѣстника Кавказскаго Князя Михаила Семеновича Воронцова.

ბრძანებითა

მათისა უგანათლებულესობისა, ჴელმწიფე. იმპერატო-რისა კავკასიისა მხარეთა შინა მოადგილისა, კნიაზისა მიხაილ სჳმეონის-ძის ვორონცოვისა.

მათს უგანათლებულესობას

ჴელმწიფე იმპერატორისა კავკასიისა მხარეთა მოადგილეს, უგანათლებულესსა კნიაზსა მიხაილ სჳმეონის-ძეს ვორონცოვს,

ბრძანებითა მათითა, სასარგებლოდ ქართჳელთა, აღბეჭდილსა წიგნსა ამას,

ვუძღვნი უმდაბლესად

პლატონ ეგნატის-ძე იოსელიანი.

19 აპრილს 1853 წელსა

ქ. თფილისს.

ვეჭჳ ესე ჩემი ნათქჳამი, კარგი რამ მოსაგონარი,
არ საკვირველი ამბავი, ამო და მოსაწონარი,
არც სხჳათ ზღაპრულთა შაირთა, ტყუილად გასაგონარი,
ესევ კარჩიე დუმილსა, წარწყმდაო ყოვლი მცონარი.

მეფე არჩილ.

ც ხ ო ვ რ ე ბ ა

მეფისა თეიმურაზ პირველისა.

ამბავი მოწყალისა და მოსამართლისა, სახელოვანისა და მრავალ-ჯერ სახელოვნად გამარჯვებულისა, ბრძნისა, რიტორისა და ფილოსოფოსისა მეფისა თეიმურაზისა, მოთხრობით ყოვლისავე, რაიცა სიყმაწვილით, გაზრდით, ვაჟ-კაცობით, სიბერით სიკჳდილამდის ეშრომა და გარდახდოდა (¹).

I.

ისმინე ჩემი ამბავი, სიყრმითგან ვით ვჭჳი გოდებასა,
სიბერით სიკჳდილამდისინ, სამუდამოდ ცეცხლთა მოდებასა,
მართალი არ თუ ტყუილი, არ მიზეზისა მოდებასა,
რაც მახსოვს უჴწლას გიანბობ, არ მინდა სხჳაგან
მოძებნასა.

(¹) მეფე ესე თეიმურაზ იყო ამა სახელით პირველი, ძე შჳლი დედოფლის ქეთევანისა, მოწამეობისა გჳრგჳნით ქრისტესთჳს აღსრულებულისა. იგი გამეფდა 1605 წელსა და იმეფა 61 წელიწადი. პ. ი.

2.

პაპაჩემი (²) ჯდა ჴელმწიფედ, კახეთს ღ̃თისაგან წყალობით,
მშჳდი მოწყალე მდაბალი, სჯულზედან ერთობ მკრძალობით,
ქ̃რივთს ობოლთა შემბრალე, არ იყო მათზედ მალობით,
კ̃ელაკ მშჳლდოსანი უსახო, ცხენ მალი მშჳდ ფიცხე-
ლობით.

3.

პაპის ჩემისა ქებასა, ვერ ვიტყჳ მე ერთ-ჴელსადა,
ღ̃თის მოშიში და მორწმუნე, იგ არ თუ იყო ჴელადა,
მტერთა მძლეველი ძლიერი, გლახ-ლომი უჩნდა მელადა,
მუდამ მას ჯამსა ნადირთ სხჳა, აედო ერთობ ჴე-
ლადა.

4.

ოთხი შჳლი ჰყ̂ვა იმათა, აწ მოგახსენო სახელი,
დავით ერეკლე გიორგი, იყ̂ნეს სიკეთის მსახურელი,
მეოთხე კონსტანტინეა, სხუებზე კარგი ჭკუა ნათხელი;
გულ-ჯავრიანი ამაკი, შეუპოვარი და ჴელი.

5.

მამა ჩემს საპატრონოდ, ჭკუას უქებ მერმე ბაქეს,
ერეკლეს სიყხუცსა, უწონებდეს დიახ აქეს,
გიორგისას მას უბნობდეს, იქ ტარიელ იყო აქეს,
როცა არის მასცა გვეტყჳ, კონსტანტინეს ბოლოს
საქმეს.

(²) პაპა მისი იყო მეფე კახეთისა ალექსანდრე მეორე, რომელიცა გამახმადიანებულმან შჳლმან მისმან კონსტანტინე, მოსრულმან სპარსეთიდ, მოკლა კახეთს 1605 წელსა. მასთანავე მოკლა ძმაცა თჳსი გიორგი [illegible] პავლე და სხუანი (იხ. ჩემგან დაწერილი რუსულად წიგნი: **Путевыя записки по Кахеліи**, стр. 71). ვრცლად და დაწერილებით სამწუხარო-

6.

თგიმცა დღე დაიწჳება, როს მამამ მისცა უკვენსა,
იგ მან ეშმაკმან გაზარდა, მით დაამსგავსა კაენსა,
ბოლოს გიამბობ თუ ღჳთისა,საქმეს იქმს როგორ საწყენსა;
მოთქმელით და გამგონთა ორთავე, სანაღჳლოს ცრემლთა სადენსა.

7.

ერეკლე სტამბოლს წავიდა, მამას შემოსწყრა თუ მმასა,
დიახ ეწყინა მეფესა, დიდსა ჩავარდა ჭმუნჳასა,
თეთრს წჳერს იგლეჯდა გაჭყრიდა, იტყოდა სოფლის მდურჳასა,
დედოფალს ვინ შეჰკადრებდა, ამბავს მის საკურჳალსა.

8.

ამ ხან მიგან ჟამთა წარვლით, ალექსანდრე მოცა ბერდა,
მას წინა დღეს მის ჟამისას, სიკეთესა ვინმც აღწერდა;
ბერნი მღჳდელნი პატივით ჭყჳეს, სრულად ჯვარი მათა მზერდა,
მაშინ მისის კელმწიფობით, მხიარული ყჳელა მღერდა.

9.

რა შჳლებმან მამა ჰნახეს, სიბერისგან დანავარდნი,
ბეჯ წახრილი მოუჳთანოდ, იქით აქათ განავარდნი,
დრო მოუხდათ ავი რამე, ერთმანეთზედ შენავარდნი,
სოფლის ქარმან აღიტაცნეს, მათ შექნათ განავარდნი.

10.

ორნივ მმანი წამოვიდეს, ქართჳელთა მეფის შესაყარად,
თან იახლნეს დიდებულნი, დაკაზმულნი ვითა მაყრად,
წამოიღეს ორთავ ბევრი, მრავალი რამ იქ საყარად,
ბორკილი აქჳს თან უმცროსსა, უფროსისთჳს შესაყარად.

სა ამას მოთხრობასა აღჰსწერს რუსთა მწერალი კარამზინი:
Ист. Гос. Росс. Томъ XI, стр. 59. ვ. ი.

11.

მივიდნენ და გაესალმნეს, ჰმის-წული მამიდა-შვილსა,
მოიკითხევდენ ერთმანეთს, ღიმილით იჩენდეს კბილსა,
კარავს ჩამოსხდეს ნადიმად, ლხინსა ახევდნენ მეტ ტკბილსა,
გათენებამდის ზედ წართვით, მოინდომებდენ არმილსა.

12.

ახლა მეფე გამოვიდა, ბიძა-შვილებს უდარბაზა,
ხილზედ დასხდენ მოიტანეს, უცხოები ბევრი მაზა,
ღვინოს სმიდეს მანაურსა, უკეთეს რომ ეგავაზა,
ასრე დაზრდნენ ორნი ძმანი, ვით მამისგან ენდაზა.

13.

ცოტა ხანი ამით წავლეს, ზედ მოაბეს ლხინი და ზმა,
დაღამდა და მოიტანეს, სანთლები და მერმე ბაზმა,
ლხინი ჰნახეს დიაჰ კარგი, არ მოსწყინდათ ხანთა დაზმა,
დილაზედა მღერნი უმღერნეს, რაც მათ მისთვის მოეკაზმა.

14.

მათ ისაქმეს მათი საქმე, ივარული და ანუ ცხადი,
კულავ მეფემან დაჰმატიჟა ლხინი მაქებით დასაქადი,
გიორგიმ თქვა აწ არა მცალს, კულავ მე წავალ აწ შენ წადი,
ჰსაი ძმათ ძმის ღალატზედ, შემოქმედსა რასთვის ჰხადი.

15.

მას ჰქონდა ეს თათბირი, ადრითგან გამორჩეულად,
საქმე ერჩივა ბოროტი, უმძავს მისზე მისეულად,
უმათ ვანდობდა ბევრი ჰყვჲა, ბარამით მას მისეულად,
ბარამ დავითთან ამხილა, თავს ვერა ვიქ მე ეულად.

16.

რა მამა ჩემს ესე ესმა, ვინა ვისა ჰკაი ძმათა,
მტერი მოუკმდეს დავითსა, გიორგი იძურგს უმითათ,
აგრე ჯაბანი ვჰგონივარ, უმცროსი მე გავითათ,
რასა იქ კარგო გიორგი, რას ვჰთესავთ მოვიმკითათ.

17.

ლხინით ადგა წამოვიდა, ჯავრიანი გულით ბრაზი,
მოვიდა და შეუძახა, ჩემო ძმაო მანდ რასა ჰზი,
შენ მე როგორ დამიჯერდი, ბიჭი ვიყავ თუ ჩაბაზი,
თჳთ შეიწყრა პატრონ ყმანი, არ წაირთვა ტახტ
დარბაზი.

18.

წამოვიდა მასვე წამს, თუმცა ბარგიც არ დაყარა,
მათ რომ მისთჳს შესაწყრობლად, მშჳლდს ჩაეგდო გარ-
დუყარა,
მას ციხეში დაატყუჭვა, ყმანი კლდეს გადმოყარა,
მამას ტახტი გამოართვა. მაგრამ დიდ ხანს ვერ ემყარა (3).

19.

საქმე ეს ჰქმნა ღ̃თის სწყენი, ეშმაკისგან ის იძლია,
მამას ბერსა კელმწიფესა, ბატონობა გამოსძლია,
გიორგისა სამართლით ჰქმნა, მეფობა არ შეაძლია,
მამაზედ არს დამნაშავე, თუ არა მაზედ უმართლია.

---

(3) მამა მისი იყო დავით, ქმარი წმინდისა ქეთევან დე-
დოფლისა. ამან არა ღირსმან მეუღლეობისა წმინდისა ქეთევა-
ნისა, მიჰხტაცა მეფობა მამასა თჳსსა ალექსანდრეს, პატიმარ-
ჰყო იგი და თჳთ გამეფდა. გარნა ღმერთმან შეუმოკლა მას
დღენი და შემდგომად ექჳსისა თჳსა მოჰკჳდა. მამა მისი
ალექსანდრე გამოსრული საპყრობილით, კუალადვე ავიდა
ტახტსა და მეფობდა.

პ. ი.

20.

ექჳსს თთჳცს [4] კარგა ბატონობდა, ნადირობდის მოისრითა;
მერმე მოკჳდა, მისნო მტერნო, ისრით აღარ მოისრჳთა,
ის სოფელმან გაისტუმრა, მოკალა რომ მოისრითა,
ისევ პერმან კელმწიფემან, დაამშჳცნა ტახტი ხრითა.

21.

ცოტა დავრჩი მე ობოლი, თუმც არ ვჭკჳანდი ისრე მიმას,
პაპამ მასთან დამაყენა, დამანება ივარჳად ბიძას,
მასათუთა ნებიერად, ჩამაცმევდა ხამნ ორ მადას,
ჩემნი სწორნი უმაწჳლები, ვერ ჭმჳრებოდნენ ჩემსა ბაძას.

---

(4) მოთხრობა ესე ვრცლად აღვჳსწერე რუსულად წიგნსა: *Взглядъ на состояніе Грузіи подъ властію царей Магометанъ.* 1849, **Тифлисъ**, стр. 99.

პ. ი.

ამბავი, საზარელი და სათქმელად საძნელო და სასმენელად სამაგელი, მეორეს კაენისა და ლამექისა, მკდ გზის გამოვრდომილისა კონსტანტინესი, რომელმან ესე ვითარი განზრახჳა გულს იდჳა და მოჰკლა ღჳთის-მოყუჳარე ჴელმწიფე მამა ალექსანდრე და ძმა თჳსი გიორგი: უყურეთ მანქანებასა ბელიარისსა.

22.

ეს ამბავი ყეენს ესმა (5), კარგა წჳლილად გაავონა,
ამას ზედა ეშმაკისა, საქმე იმან მოიგონა,
კონსტანტინეს დაუძახა, ამით თურმე წაიგონა,
აწდა დავრჩა კახეთიო, მეც შენ მოგეც მგონი მგონა.

23.

გამოგზავნა მან კახეთსა, ბოროტს საქმეს აბარებდა,
მამისა და ძმის სიკჳდილსა, უეჭჳელად აბარებდა,
ალექსანდრეს ლალა ივაშის, მჳცლს საქმესა აბარებდა,
რად იამა ყდურ სიძსა, ჩქარად მოვა აბარებდა.

24.

მან ხალათი გამოგზავნა, საქმისათჳს არ საზაროთ,
მას სიბერე მოერია, გიორგია მართლ საზაროთ,
ორთავ ხიშტი დაუშინეთ, შიგან დარჩეს არ დაზაროთ;
თუ გიყუჳარვარ მაგას ნუ იქთ, კარდი ადრე არ დაზაროთ.

---

(5) ყაენად ამ დროს იყო სპარსეთსა შაჰაბაზ დიდი.

25.

წამოვიდა მოახლოვდა, მეფეს ესმა შჳლის მოსლვა,
ერთი მკჳდარი მოაგონდა, და მეორის სხჳაგან წასლვა(6),
დაუკაზმეს ბედაურნი, მარქაფებით რახტით ასლვა,
გაზაფხულის ჟამი იყო, მაგრამ ჯერ ვარდს არ ეფასლვა.

26.

რა გრემიდამე წაბრძანდა, და ჩაეგბა ბაზარსა,
გულ მწიარული შეწბული, თან არ იახლებს ბოზარსა,
შჳლს ვჭვრეობ მე დაკარგულსა, უკჳდავებისა ბაზარსა,
გამოვჭბრუნდები ალავერდს, და წამოვისხამ მაზარსა (7).

27.

მივიდა და შეიყარნეს, მწიარულად უცხო რამე,
მეფე იტყჳს სახარების, მომაგონდა ბრძანება მე,
აწ უმღები შჳლი ვჭვრეტე, ამეხილა თჳალთ ბის მე,
ზჳარაკს დავჭკლავ ჯამებულსა, მეგობარნო თქჳენც იამე.

28.

პაპა ჩემი ბედნიერი, სიბერისგან უძლურობდა,
მხეცთა მსჳრელი, მონადირე, ველთა ისრე ვეღარ ჭრბოდა;
ვინ ბიძად მყჳა მკნე მლიერი, იგ პირად მზე ტანადრობდა,
შჳლისაგან მამა და მმა, სიკჳდილს ვითამ იზრობდა.

---

(6) ესე იგი უშჳლოთ დარჩენილის გიორგის სიკჳდილი და ერეკლეს სტამბოლს წასჳლა სულთანთან. პ. ი.

(7) მეფესა ალექსანდრეს, ბოროტ-შემთხჳეულებითა გულ-შემუსრჳლსა და მოხუცსა, უნებდა მონოზონად შესჳლა და მეუდროებით ცხოვრებისა თჳსისა აღსრულება ალავერდსა.—სახე მისი და მამისა მისისა ლეონ მეფისა ვიხილე ათონისა მთასა, ფილოთეოსის მონასტრის სატრაპეზოსა კედელზედ დასატული (1849 წელსა). პ. ი.

29.

მეფემ ჩაიცჳა ხალათი, ცხენსა შეჯდა მისეულსა,
ვერას დაჰაზრდა საქმესა, შჳლს მაზედ გამოსეულსა,
მოვიდნენ დარბაზს გარდახდენ, ქჳე საფენ ოქრო ქსეულსა,
არა ჰკჳრს მოჰკლავს მამასა, და კახეთს გახდის ეულსა.

30.

მოიგონა დასჳბავდენ, საქმე მაქჳსო არ საჯარო,
მისი ჯარი გარეთ იდგნენ, ერთმანეთზე დასაჯარო,
ნიშნად თურმე ესე მიჰსცა, მისნი ყმანი გამოვჰყარო,
შემოდით და დაუშინეთ, თქჳენ ჴმლებით და მე ვჰხანჯარო.

31.

მეფესა შერჩა რუსთჳელი, და ამის ძმა ყორჩიბაში,
სხჳანი სადგომს წამოვიდნენ, კახნი იყჳნენ თუ აბაში,
შევიდნენ და დაუშინეს, შიგ დაჩეხეს მისკარბაში,
მამა და ძმა ორივ მოკლა, ერთათ ჩადჳეს მჯაფაში.

32.

რუსთჳელი და აბელ ძმანი, ორთავ თავი დააჩეხეს,
ვის უქმნია ამისთანა, ცა რისხჳთა მოაქუხეს,
მას ანგელოს ჴელმწიფესა, არე ჴელი როგორ ახლეს,
მაგრამ მისგან ეშმაკისა, გაათავებ დანამკუხეს.

33.

რა ესე ჰქმნა ადჳლად ჰსჩნდა, მას ერწმენოს ყოვლი ავი,
მოინდომა დედა ჩემი, უცხო რამე შესართავი,
მოციქული გაუგზავნა, შეაძლია თურმე თავი,
შეუთჳალა არ შემირთავ, ძალად გშოვებ მითქჳამს დავი.

34.

რა მივიდნენ მოციქულნი, მოახსენეს შიშით მრწოლით,
უბრალო ხარ თუ დაგჳხოცო, რასთჳს იქ არ დავიქოლით,
მაგრამ რა ვჰქნათ მან ერწმუნოძ, გამოგჳგზავნა დიდის ძალით,
ქრისტიანეთ არ საქნელი, ნასწავლი აქჳს ამას ძოლით.

35.

გაიგონა დედა ჩემმა, ბრძანა ესე ვით დავითმე,
ვინცა მკადრა უკადრისი, დავივიწყო ან დავითმე,
ვინ ჩიქილა შემირცხჳნოს, ან სუნბული ვით დავითმე,
ღმერთმან თჳსის რისხჳთ მკითხოს, შემოუშჳა იჭჳ სითმე.

36.

შეუთჳალა ღჳთის მგმობართ, მამის მკჳლელთ და ძმისათ,
ავის მთქმელთ ავის მქნელთ, შენ უღირსო სულთ დგმისათ,
ყოვლის კაცის საძაგელთ, სულ მოქმედთ ავისათ,
ღჳთით ვეჭვ ადრე შეგანანო, ჩემი თხოვნა დავისათ.

37.

მოციქულთა მიუტანეს, მას ეს საქმე დააჯერეს,
კიდევ ცდასა აპირებდა, მაგრამ სიტყჳთ შეიჯერეს,
მწჳც გაჯავრდა თათრებიან, ჯავრით გული გაიჯერეს,
ზღჳას ამბავსა ჩამოვეხსნათ, დავათაოთ მოდი ჯერ ეს.

38.

ამ საქმეებს წინა ხნითჳც, დედამ უაენს შემახჳცწა,
აქ გიორგის შეუშინდა, ამად მისკენ გარდამხვეწა,
მან შემიტკბო ვითა შჳლი, არ თუ შიშით მე დამხვეწა,
გამეხარნეს მასთან მისჳლა, დაწჳ ცრემლმან არ მო-
ხვეწა.

39.

მე შერმაზან თან გამომყჳა, ზნეობის სასწავლებელად,
მწჳრთნიდის სადმრთოს კაცობასა, თავი მქონდის თავ-
სადებლად,
ჭირსა შინა გამამაგრის, გული მქონდეს ვით სალებლად,
მამის და მსახურებდის, დაწჳთა მწკეპლის არ სალებლად.

40.

კონსტანტინეს თან ხლებოდეს, შირუანელნი და ყაჯარი,
ბაზარს იდგა წამოვიდა, ეშმაკისგან დასაჯარი,
აქათ იმას შეეყარა, თჳსნი ყმანი კაცთა ჯარი,
შუბმულ ჰყუნენ მოცა ველათ, თუმც ეხმარა კრმალ
ხანჯარი.

41.

ჩუენცა გუესმა ეს ამბავი, რაც ქმნილ იყო და რაც არა,
ყაენს ვეხმე მიმიყუანეს, მომიტანეს დანაცარა,
შერმაზან თქუა სალთ-ხუცესმან, გითქუამს ცოდნა
არამც არა,
შენ ამათი დაგრეხილი, საბელით დაკეცარა.

42.

შემომზახა მირზავ იცი, კახეთს ქმნილი დიდი მალა,
შებმულან და კონსტანტინე, მათ მოუკლავს მგონი მალა,
მეც მიამა კარგა ქმნილა, მოინდომა რასთჳს რმალა,
ავის მქმნელსა გარდახდია, რა იქნება ჩემი ნალა.

43.

მიბრძანა თუ აქამდისცა, მე მინდოდა შენთჳს კარგი,
მოდი მადლი გარდიხადე, ეს წყალობა მტკიცედ დარგი,
რადგან შენი სამკჳდროა, ან მე რასთჳს დაგიკარგი,
ჩქარად წადი მალ მიბრძანდი, თუნდა კიდეც დაგრჩეს
ბარგი.

ბატონის თეიმურაზისა ყაენისაგან ტკბილად საუბარი, წყალობის ნიში და მრავლის იმედის დაპირება და აღთქმა, გამოსტუმრება მათგან, უგრძნობელობა და მქისიყს მოსჳლა.

44.

გამომისტუმრა წამოველ, მიბოძა ბედაურები,
ცხენები ოქროთ კაზმული, არ იყჳნენ უსუსურები,
შესამოსელი სალუქი, მნახჳელთგან მოსასურვები,
სუფრისა გაწყობილება, მერას თასები სურები.

45.

წამოველით მადრიელნი, მხიარულნი დიდად მისგან;
სიარულსა არ ვითმენდით, რა განათლდის ღამე მზისგან,
შეუმოკლეთ გრძლად სავლელი, ისრე ფიცხად ჩჳენის სლჳსგან,
უეჭჳელად პატრონობა, დავიჭირე ღჳთის მადლისგან.

46.

ქისიყს მოველ ერთს სოფელსა, უმეცარად შეუტყობრად,
ერთი კაცი მოგვეგება, მართლ ვეგონეთ ჩჳენ მეკობრად,
რა გამიცნა თაყჳანის მცა, ენა იწყო შესამკობრად,
მადლი ჰკადრა შემოქმედსა, ნეტარმი ჩემს ამ დროთ მოყრად.

47.

დაიმახსა მე საბრალო, არას ვღირს ვარ პატრონისას,
მოვახსენო მობრძანდების, ჩემსა ვითა სართულისას,
ჩამოჰხდები არას დავჰკლავ, თავსა ვჰფიცავ შენის მზისას,
მეფევე უწყი ისერებდა, ქრისტე სჳმონ კეთროვნისას.

48.

მან შერმაზანს სალთ-ხუცესსა, უთხრა შენ ხარ ჩემი ლონე,
მოახსენე ერთი სიტყჳს, უფრო ნუღარ დამაღონე,
თავი სახლი საქონელი, ყჳელა თქჳენ წინ მოვიძღჳანე,
ერთი ღჳნო დამილივეთ, ხჳალ მეფეს წინ წამიძღონე.

49.

ვჰსთქჳ თუ რადა გაეწყობა, ასრე გულით მოჰპატიჟეს,
მო ვეწჳვნეთ მხიარულსა, ნურას უზამთ საპატიჟეს,
გარდავხდით და კარს შევედით, ღობეს ვერვინ გადაბიჯეს,
დავჰსჯექ გარე შემომისხდეს, ვჰგჳანდი მთუარე ბაკში იჯდეს.

50.

ღმერთს თურმე წყალობა ექმნა, აღარ იღებდა ვახშმითა,
ბევრი რამ ჰქონდა მისა თურე, არ გჳვეთებდა ხაშმითა,
უცხოდ დაგჳხჳდა მებეგრე, მცირეს თავისის ვახშითა,
მან აღრე აღარ გაგჳშჳა, ღჳნითა ერთ სახაშმითა.

51.

მოიყჳანა ცხრა ყმაწჳლი, აკჳნებითა შიგ ჩაკრული,
ვიცი არას არ შეიძღჳნი, მღჳენი გიძღჳნა თუმცა სრული,
სრულამც თქჳენ გენაცჳალების, დედ-მამიან თქჳენთჳს
სრული,
ჩჳენ სანაცჳლოდ შენის ჭირის, სული გჳქონდეს ამო-
სრული.

52.

დილა გათენდა კმა გაჰქდა, ყოვლგან მოსლჳსა ჩემისა,
მუნ სიხარული შეიქნა, გულით არ შესაჩემისა,
ვინცა მნახველა მჭჳრეტელი, ნახჳამან გააჩემისა,
სხჳანი ნახულნი ჩემთანა, უჭჳრდის არ ეჩემისა.

53

პირჳელ კაცი გამოვგზავნე, დედას ჩემთან მახარობლად,
ღმერთსა დიდი მადლი მიეც, ადარა ხარ საწყალობლად,
შეგჳბრალა ვით გჳხედვიდა, შენ ქჳრივსა და მე გლახ-ობლად,
ჩემი აქეთ გამოგზავნა, არ შეგექმნა საბრალობლად.

54.

მახარობელი მისდევდა, ბევრი რამ მას ებოძადა,
მამული ანუ სასახლე, ქჳთკირი არ ებოძადა,
კჳლავ ტურფა შესამოსელი, ცუდ მუდი არ ებოძადა;
მას სიუხჳთა სხჳა ქალი, ვერსად ვერ შეებამადა.

55.

თუმც ვაცნობე ჩემი მოსჳლა, ასრე ადრე არ ეგონათ,
წყნარად მოვა შექცევითა, სხჳს ვისგანმე გაეგონათ,
სრულად კახნი გრემს მიეხმო, დიდებულად ცუჳა ან მონათ,
თუ არ აქჳნდა დამხდომოდა, გამშჳენებით მოსა-
წონათ.

56.

დედას ჩემსა მოახსენეს, ჩემი მისჳლა ისრე სწრაფვად,
მას ენადჳლა ვერ დავხჳდით, ვით მინდოდა კარგად აფვად,
კახნი ამად მოვიწვივე, მიმეგება გამუჳს სეფვად,
მოურავი მომაგება, სხჳა დიდად და თუმც არ მეფვად.

აქა სრულ ერთ-პირად კახთ სიხარული და ბედისა და ქტლისა ნატრჳა, თავისის მემკჳდრის კელმწიფის შჳლისა, კარგისა და ცხენ კეთილ იარაღ მარჯჳჱს კაცით წინ მიგებებს, მეფისაგანაც მგზავსიერად გახარებს, ლხინი და მოუწყენელი უჭირჳჱლად მხიარულებს.

57.

მასვე წამს თჳთ მოურავი, თამაზ მისისა დროშითა,
სხჳა მოკელენი შინა უმით, მოვიდნენ კრმალჳთ შიშითა,
თქჳჱს ვჰწუხთო აქ არ დამხდომნი, სხჳა ფერ არა ვართ იშითა
მე უალერსო მათ შიგან, კაცი დავაგდე იშჳთა.

58.

მოვიდნენ და კელს მაკოცეს, ზოგნი თავსა მევლებოდეს,
შენი მტერი ამას იქით, შენის კრმლით მმლე მკლებელობდეს;
თავს ათასჯერ განაცჳლითო, დაჩაგრულსა ვინც გგონებდეს,
შენ გასინჯე ამას იქით, თუ გრემს არ მიმესჳლებოდეს.

59.

ხუთს დღეს იქივ მოვისჳჱნე, შორის გზითა დაღალულმა,
თავი კარგად მომაწონეს, ჩემს წინაშე მათ მოსრულმა,
მაშჳრალობა განგჳაშორა, ზედი ზედა თჳალთა რულმა,
დიახ კარგნი უმანი დამხჳდეს, მეტის მეტად ჩემმა სულმა.

60.

გაღმა გაველ ენისელთა, იქ დამიხჳდა მოურავი,
სულ თავისის დროშის კაცით, სიმრავლითა უამრავი,
კაცი თჳალს ვერ გარდასწჳდენდა, იდგნენ ვით ტბა საცურავი,
რა მოვიდნენ ტკბილად დავხჳდი, მათ არ ვუთხარ
სამდურავი.

61.

ესე ვჰსთქჳ თუ ერის ბატონსა, ამის უფრო რაღა უნდა,
თავადნი და დიდებულნი, მოვიდნიან გუნდა გუნდა,
ანგარიში ძნელი იყო, ასაწერად თუ ვის უნდა.
ისინიცა თან ვიახელ, ვინც გჳერდ მახლდა არ გაბრუნდა.

62.

დილას ავდექ წასავალად, ცოტადრე წავიარენით,
ალავერდელი დიდებით, მობრძანდა ითქმის არ ენით,
მშჳდად ამბორი მივეცით, შეურა არ გავიმწარენით,
ჩერმე სხჳათ უთხრა მობრძანდით, აწე თქჳენ შეეყარენით.

63.

მამიკითხა ჰსა ბრძანეთ, თქჳენ ამბავი თქჳენი გჳთხარ,
ღჳთის მამსა და სიყუარულსა, უეჭჳელად ვიცი მცა ხარ,
შორის გზითგან დაღალულსა, შემოგხედამ ლომივით ხარ,
ის აკურთხა მენ რომელი, მოხველ და კჳალად მოსრულ ხარ.

64.

ჭაურით წინ წარსრულნი, იმ ღამეს არბუხს დავდექით,
წმიდის თევდორეს საყდარსა, ვილოცეთ ცისკრად ავდექით,
ღჳთისა მადლობით წყალობას, ხჳეწნითა ცუდად არ ვჰსდექით
ავიყარენით მივხარობთ, იქიდამ წინ არ წავდექით.

65.

მუნით წარველდით გრემისკენ, აწღა რუსთჳელი მოვიდა,
სრულ ნაპირისა ლაშქრითა, წითელი ეცჳათ მოვიდა,
მათს ანგარიშსა დამთჳლელი, დათჳლითა ვინ აყვიდა,
თუ მტერს მიადგნენ ესენი, ვჰსთქჳ ამათ სად წაყვიდა.

66.

მოვიდეს და მომესალმნეს, თაყჳანის-სცეს დას-დასებით,
დიახ ბევრნი შეყრილ იყჳნეს, სიმრავლითა ათასებით,
მხიარული სიტყჳა ვუთხარ, შევიქმოდი ლხინთა ვსებით,
სიხარულით ენთებოდეს, სიმწუხარის დანავსებით.

67.

რუსთჳელმა თქჳა ვით ბრძანდები, ღჳთის წყალობით ვით მოსრულო,
სახლთა შენთა სიმტკიცეო, სამირკჳელო არ დამრულო,
ვარდო ახლად გაფურჩჳნილო, თრთვლისაგან არ დაზრულო,
თჳალად მზეო, მალად ლომო, ნორჩო ედემს ამოსრულო.

68.

დედის ნახჳა მწჳედ მინდოდა, თუმც გავჭთვრინდე ვით გავაზი,
მომახსენეს რად დავაგდოთ, ჩჳენ ულხინოთ იქ გავაზი,
დავუჯერე გარდავხედით, მოეწონათ უქეთ ვაზი,
მათ ბევრი ჭსჳეს, მე წჳლილად ვსჯ, ვაშლი ზედა გავამაზი.

69.

მეორეს დღეს გრემს მიველით, ჯარი დამხჳდა ქალაქისა,
ჩჳენი უთვა ერთ-გულთ ლხინი, ერთ-გულთაცა მალაქისა,
ფიანდაზსა მიფენდიან, ხორა იდვის ნაქსოვისა,
თქჳენს მზე არის ქჳეყნიერი, ნეტარ ჭგავსო ესე ვისა.

70.

ხრას მივიახლე გარდავხედ, დედოფალი დგას ქალებით,
მუნ ბანოვანთ სიტურფე, ჯარად დგეს ბროლ-ფიქალებით,
დაწჯ ბრწყინჳალე ვარდები, არ ჭქონდა ცემა ნალებით,
ტან-ალვა ნაზნი ზარიფნი, მოდარნი არ გულად სალებით.

1734
...მეცნიერებათა აკადე...
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის

71.

დედა წინა მომეგება, ღიმილს ცრემლსა ატანებდა,
მერმე მითხრა წავიდეთო, ჴელს ჴელთ წამოატანებდა,
მამეხჳა გარდამკოცნა, პირი ჴელ მკერდს ატანებდა,
სახლს შავედით ქალებიან, სხჳას ჯარს არ შემატანებდა.

72.

მიბრძანა თუ შჳლო ძაღლი, ვის შენ მაგ დროთ მოუყრი-ხარ,
ღჳთითა ვჰგონებ არა გჭირსრა, მე რომ გატყობ აგრე ვით ხარ,
შენიმც ჭირი შემეყრება, შემოგხედავ დიდად ვიხარ.
სხჳა სასჯელი არ გაჩნია, ცოტად პირზედ შეუხრიხარ.

73.

გრძლად არ ვიტყჳ მაშინდელსა, შჳებასა და გახარებას,
დიდთაგან თუ მცირედთაგან, შეჭირჳების ცეცხლთა ვსებას,
დედისაგან ჴელის წყობას, ნებიერად მოსჳენებას,
მალ აღარვინ მოელოდა, სოფლისაგან შეჩჳენებას.

74.

ორს კჳრასა დედოფალი, ყოველს დღესა მასპინძლობდა,
მაშინ ჭირს და მწუხარებას, ათას წილად ლხინი სჯობდა,
მას ჩემს მეტი არვინ შერჩა, მე ასული არვინ სმლობდა,
მაგრამ ბედს არ ემდუროდა, რა მე მიველ ღმერთს მადლობდა.

აქა მეფისა თეიმურაზისგან სრულ ერთ-პირად კახთა, ალვერდელ ეპისკოპოსთა, სადმრთოთა კაცთა და დარბაზის ერთა შემოყრა, მცხეთას მისვლა; კათოლიკოს, მთავარ-ეპისკოპოსთ და ქართველთ ეპისკოპოსების შეყრა, მეფედ კურთხევა, წირვა-ლხინი და მრავლის გაცემა.

75.

ამავ ხანში მცხეთას მიველ, და მე მეფეთ დავეკურთხე (8),
გამოველ და ჰალაფს დავჰსჯე, ვინ მაღირსა ის ვაკურთხე,
მამა-პაპათ დანარჩომი, დავიჭირე ოთხივ კუთხე,
უსამართლო არვის ვუყავ, ქურივნი ობლით გავიკითხე.

76.

წამოდგნენ მომილოცველეს, თავს მანაცვალეს სულები,
მოუარეს ოქროს ნალბაქი, და ზოგნი მოუჭთლულები,
სხუა სურა თასი ჯამები, ყოვლივე ვეცხლეულები,
ათი გოდორი აიღეს, მას დღესა იქ დადგმულები.

---

(8) ზოგნი ჰგონებენ ბოდბეს წმინდის ნინას ეკკლესიაში კურთხევითა დაგჳრგჳნებასა მისსა. ვჰგონებ უფრო ჭეშმარიტი იყოს ესე ჰაზრი; ამისთჳს რომ, დროთა ამათ ქართლსა განყოფილსა კახეთისაგან მეფობდნენ საკუთარნი ქართლისა მეფენი, კახეთისა მეფეთა მებრძოლნი.

პ. ი.

77.

ამათ გარ გამოზიდჳდეს, ივსებენ ფლურით ჴელებსა,
მესამედს კათოლიკოზსა, მიჰსცემდეს არ მოჴელებსა,
ორს წილს სუფრისას ქრთა-მირად, სულ ერთად ჩემს მო-
ჴელებსა.
იქ ცუდ-მადს ვერას ჭპოებდი, იარადს განათხელებსა.

78.

წამოველ გჳრგჳნოსანი, პორფირ ცმულ ჴელ-სკიპტრიანი,
გამდიდრებული სჳანი, მაშინ არ ვიყავ მტრიანი,
შეუპოვარი ღმერთს გარდა, არვისგან მქონდა ზიანი,
მოველ და დავჯექ ტახტზედა, ნათელ-მოსილი მზიანი.

79.

ცამეტის წლისა შევიქმენ, რა ქსეები იყოდა (9),
ვნადირობდი და ვიმჳწბდი, სხჳა საქმე არ შევიტყოდა,
საპატრონოსა საქმესა, სულ დედოფალი იტყოდა,
სრულად გაავის სამეფო, და ურჩი მალ და იტყოდა.

(9) ამ რიცხჳდამ ჩანს, რომელ მეფე თეიმურაზ გარდაი-
ცჳალა 74 წლისა.

პ. ი.

აქა დედოფლისაგან გურიელთან მოციქულების გაგზავნა, და მეფის თეიმურაზისათჳს ქალის თხოვნა; მათგან დიდი სისარული და დიდის სიმდიდრითა და ზითჳთ გამოსტუმრება; მოყჳანა; გჳრგჳნის კურთხევა; მილოცჳა; ქორწილი და მხიარულება; სიმღერა, ბურთობა და სროლა ყაბახისა.

80.

ამ ხანშიგან მოვიწიე, სხჳას ქებასა ვიტყჳ არა,
მაგრამ სხჳანი მას იტყოდეს, მზე დრუბელმან ვერ მადარა,
მისმან მზემან ხმელეთზედა, ვერვინ ჰჯობს ამის დარა,
თუ ეს არის ამისთანა, იქმნებისო ამის დარა (10).

81.

დედა ჩემი თჳსად სასმლოდ, დაემძახლა გურიელსა,
მალ მომგჳარეს შესართავად, არ უხსნეს მას ნათელსა,
შემომყარეს ჯამიერად, მხიარულსა ლხინთა მზმელსა,
ეს სოფელი ვეღარ შეიქს, სხჳას მისებრივ სულიერსა.

82.

ენა ვით იტყჳს მაშინდელს, ჩემსა ლხინსა და შჳჱბასა,
ორმოცს დღეს ქორწილობასა, სიხარულს არ თუ ვებასა,
სრულ გათავებით ვერ ითქმის, ზოგთა ვიქმ გარდაშჳჱბასა,
მაგრამ სოფელი მიჭირებს, ჩემთ სისხლ-მსმელთ ზედ-
მოშჳჱბასა.

---

(10) ცოლი მისი იყო სახელით ანნა, მამია მეორისა გურიელის ასული, რომლისაგანცა ჰყჳა მეფესა თეიმურაზს ორნი მე-

83.

თორღას გიდექით ოდეს ვჰქმენ, ქორწილის გამოჩჳჱნებას,
ცხადად არ დაიჯერება, თუ იყო მილს მოჩჳჱნება,
მუნ ორმოცს დღემდის ზედი-ზედ, სმა ლხინი არ მოსჳჱნება,
ბურთობა ყაბახის სროლა, ვის რა ასპარეზს ენება.

84.

ღილას შევსხდით ვნადირობდით, შუა დღისას შემოვიქცით,
არ ბურთობას ჴელი მივჰყჳთ, მუნ სამილოდ არ გავიქცით,
მერმე დავსხდით ერთად ჯამად, ლხინი ლხინზედ ზედ
დავიცით,
ვზმობდით, ვჰმღერდით, ღჳნოს ვსჳმდით, ვიდრემდისინ
გარდავიქცით.

85.

მლივ ითქმის მაშინდელთ კაცთა, სიკეთე სიმჴნენია,
სიმდიდრე დიდებულებს, სიმშიშითა ვით ბრძენია,
ქება არ ითქმის ადჳლად, არც მსუბუქ მოსასმენია,
აწ ვაჲ მათსა მგონესა, რა ბევრჯელ ცრემლი მდენია.

86.

აღრიცხჳთ იყჳნენ მრავალნი, თავადნი დიდებულნია,
ჴელავ აზნაურნი მათ მსგავსად, მას ზედან კიდებულნია,
შიგა ყმანი და მონანი, ბევრ-ბევრნი დას-დასულნია,
სხჳსთ ვინ აუვა სათქმელად, გარეშით ვინ მოსულნია.

87.

ბანოვანთა სიტურფეესა, ვით შეუძლოს ენამ ქებად,
ღჳთის მოშიშნი სჯულ მტკიცენი, იესო ქრისტე ანებად,
ძმობდიან ერთად შეყრას, ღუსჴირთ გარე გამოჩენად,
ჩარიგდიან მის მისს ალაგს, მთჳარე ჰქმნიან განქიქებად.

ნი ლეონ დ ალექსანდრე. — გარდაიცვალა 1609 წელსა, ცხოვრების თჳსისა 19 წელსა. პ. ი.

88.

ზეითა ვჰსთქჳ რიცხჳ დღეთა, ვიდრე იყო ქორწილობა,
აწ გათავდა მისი საქმე, გაიყარა შეყრილობა,
მაყრებიცა გავისტუმრე, ბევრი მიხჳდა ლართ წილობა,
დატჳრთულნი საბოძრითა, არ შეექნათ მათ ცილობა.

89.

ვინ მომგჳარა დჳდა ჩემმა, ის რებექა თითონ სარა,
ტბა მელნისა უცხოდ რამე, გარ გიშრითა მოესარა,
ბაღთა შიგან ვუმაწჳლობდით, სად რომ გჳჵდა ტურფა სარა,
ვაჰ გაარმდა ეს სოფელი, ჩემთჳს შემრჩა დიდ ხანს არა.

90.

სხჳა ქება ვით ვჰსთქჳა თუ არის, აუგი ჩემგან სათქმელად,
არა ვჰსთქჳა მთჳარე ვით შევჰქმნა, ვეშაპის გლახ ჩასანთქმელად,
თუ ვჰსთქჳა და სირცხჳლად დამდჳან, არ იყო მისგან საქმნელად,
ვითა დაკმალო მთიები, ჟამი დღისა ვჰქმნა-ყე ბნელად.

91.

არას ვიტყჳ თქჳენც გასმიათ, ქება არ თუ ცუდი ხოტბა,
პირად ბროლი, ბაგე მოწი, თჳალები გიშრის ხოტბა,
ხმა ბულბულის საოვერონი, შაქრისაგან უფრო მოტკბა,
მე არ მითქჳამს ნაათალი, ბრძენთა უთქჳამს იქ შემოკრბა.

92.

სოფელს კარგა დავუწყუნარდი, სამეფოსა განვაგებდი,
ერსა ვჰსჯიდი სიმართლითა, საბოძჳარს ზედ წავაგებდი,
ეკლესიას დარღჳეულსა, სამარკჳლიდგან აწ ვაგებდი,
ვიშჳებდი და ვიხარებდი, ცუდს-მუდს არას შევიგებდი.

მეფისაგან თავისის სიმდიდრისა და ლხინის ამბავი.

93.

ამის მეტი სხვა რა არის, წლის ბრუნვა და ანუ თარი,
ოთხი არის ვით ნივთია, მიწა ცეცხლი წყალი ქარი,
გაზაფხული და ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი,
ამათ გამო იხარებენ, მიწის არსნი რაც რამ არი.

94.

პირველ გაზაფხულს გიამბობ, სხჳს დროსგან უკეთესია,
ამით იხარებს ყოველი, დანერგულ დანათესია,
ნადირობა და ბურთობა, ლხინიც აქ უკეთესია,
ვარდ-ზედან დაჭყევს ბულბული, აღარვის ახსოვს ქჳს ია.

95.

რა მარტი დადგის მოვიდის, შეიქმნის ირაობანი,
ჩიტთა შეჰქმნიან გალობა, სიმღერა ჭიკჭიკობანი,
შეაწყჯს მაღალ დაბალი, მობანეშ მობანობანი,
იადონი მშვენდებოდა, მჭვრეტთ ვიწყით მისნი მკობანი.

96.

იქ მოვა ყოვლი ფრინველი, ხმელს მჯდომი წყალში
მცურავი,
სონდული ბარი გავაზი, შავარდნით მოსასურავი,
ვადევნებდით და ვხარობდით, საწუთრო მოუმდურავი,
ბაზიერთ-ხუცესს უმცროსით, ვუბომი დასახურავი.

97.

ფიცითა მითქომს არ ვიცი, მე რიცხჳ ბაზიერისა,
ბაზიერთ შიგა მდგომელი, ოთხმოცი ანაწერისა,
თავადნი აზნაურთ შვილნი, არ ჩოხა ამოწერისა,
ერთი ბაზიერთ-ხუცესი, სიდიდის მქონე ბევრისა,

98.

ასრე ჭყჳანდათ დამართული, მათ ფრინჳლები კმა საყოლი,
ზოგს იქივე დაიჭერდეს, მაღლა ამსლჳს თან ამყოლი,
კჳლავ მხჳწველს და მოთამაშეს, იქით აქათ მიმო-მყოლი,
კოხბისა და დურეჯისა, ზოგთ გამბმელი ზოგთ მიმყოლი.

99.

ბედაურ ქორთა სიმრავლე, იყჳს თუღუნი მ'ლები,
წითლები მედიდურები, გამძლე ხან შემომწყრალები,
ახალ მწყაზრებსა ჭშჳწნოდეს, გჳარი და უკთელ თჳალები,
მიმინო ფილო მარჯნები, კადევნეთ ხან ალალები.

მეფის ალექსანდრესაგან ფარშავანგის დაჭერისათჳს.

100.

პაპის ჩემის ბაზიერად, ვეჭობ ქება თქუენც გასმოდეს,
მისგან იყუნეს დანაზარდნი, ამას აქათ აწ მე მყმობდეს,
ფხიზელნი და უმთურალონი, სამსახურს ვერ ამაყობდეს,
ილტყჳან ირაობასა, ფარშავანგიც მას მოსულოდეს.

101.

ასრე მითხრეს მინდურის მცუელთა, ნახეს უცხო სანახავი,
მიირბინეს მეფესთანა, მოახსენეს უსახავი,
ამ ფრინუელმან შექმნა ასე, ბევრ-ნახული უნახავი,
რა თქუენც ჰნახოთ, არ გაჰკჳრდეთ, იყუნეთ ჩემი დამხრახავი.

102.

თქუენ თუ მეფე მას-ვე წამსა, შეჯდა ბრძანა იყოს რამცა,
დაგჳმახებს ბაზიერებს, თან გამომყუეს ყუელაყაცა,
სრულ ფრინუელები წამოასხით, მედიდურნი მერმე მადლმცა,
მდაბლის მეურობნი და ამჯოლნი, მაღლა უნდა მიიცამცა.

103.

მიბრძანდა მეფე რა ჰნახა, გაჰკჳრდა მეტად იოდა,
ზოგს ბოლო წამოებურა, ზოგი ხმა-მაღლად ყიოდა,
ბრძანა ვის გაუგონია, ან ჰამბად აქამდიოდა,
მეყორუღეთა ივადრეს, გეგონათ ტყუილიოდა.

104.

ბრძანა მინახავს სადღაცა, სახე ამისი ნახატად,
თუარე ვის სმია ალონში, კულავ მოსულუა აქ ამის მეტად,
თუალნი დამიბა შუენებამ, ველარ მოვსხლიტე მე ჭურეტად,
ბრძანა თუ არ დამიჭერთ, ცემით გაგხადოთ თქუენ რეტად.

105.

მაგრამ კაცს თუ ვერ შეიპყრან, ბოლო დიდი იგ მალებით,
მოუტიოთ გავაზები, შავარდნით-ვე სონდულები,
მოვახსენეთ დედალს ადრე, დაიჭერენ ეს ფრინჳლებთ,
ზეცად იმათ არ აუშჳან, დავახჳწდროთ მათს მაღლებსა.

106.

მეფემ ბრძანა მე ეს მინდა, სულ ცოცხალი დავიჭიროთ,
შევინახოთ მოვაშენოთ, ლხინად გჳყჳანდეს არ საჭიროთ,
მო ასე ვქნათ გარეშემო, შემოვერტყუნეთ მოუჭიროთ,
აწ ფრინჳლები მოუტიოთ, ვეჭჳ ეს გჳმართების დავაპიროთ.

107.

დავემოწმეთ ამ თათბირსა, ჯარი გარე შემოარტყუა,
უბრძანა თუ სასიკჳდინოდ, ჯოხი არ ვინ არ დაარტყუა,
მინდორს ისხდა გამოჩენით, არ უნდოდა ტყეთა ბერტყუა,
იპეპლჯდეს მათს დედლებსა, თან არ ახლდა წჳრილი ბარტყუა.

108.

გავაზები და ბარები, გავწყუარეთ მაღლა აუშჳით,
მეფე შავარდნით ცხენს ფიცხად, მიუხდა ჩჳწნცა მიუშჳით,
მიბრძანდა ზოგნი მივწყუევით, და ზოგნი ტბაში შეუშჳით,
დაიჭირნეს მოუტიეთ-ცა, შესმახა თუ კა გაუშჳით.

109.

შავარდენი მასვე წამსა, დედალს მოხჳდა შეცა-იპყრა,
სხჳა ფრინჳლებიც დედლებს იჭერს, მამლებს იწყებს
მათს ჩამოყრა,
მეფე მისდევს სიცილითა, მასაშჳწლად იწყო წაყრა,
წაეხჯვნეს და იჭერდეს, ჯარმანც იწყო იქ შემოყრა.

110.

გადანამც გამხიარულდა, მეფეს მიეცა შჳებაო,
იცინის ლაღობს კარგად ვჰქმენ, ამათი არ გაშჳებაო,
ბაზიერთ-ხუცესს უბრძანა, დღეს ბევრი გეშოებაო,
ამისგან უკეთ შექცევა, არ-ოდეს არ ეგებაო.

111.

მას აქეთ კახეთს მომრავლდა, ოდიშსაც მუნით მოშენდა,
ქალს გაატანა ზითევად, მოგართჳ იყოს მოშენდა,
არა აკლდარა მას მეფეს, ქჳეც წყალობით მოშენდა,
ძმანო, ჟუურეთ გიანბობ, ისმინეთ მოდით მოშენდა.

გაზაფხულის ნადირობისა და შექცევა მხიარულებისა.

112.

იცის ირაობასა, ქორობაც თჳნა მოჰყჳება,
მაშინდელს ნადირობასა, სრულ წჳლილად ვინღა მოჰყჳება,
ზოგი რომ მე ვსთქჳა უფროსი, დამრჩება გარდამეშლება,
თუმცა არ მინდა სათქმელად, მე ლექსი არ მომეშჳება.

113.

ქორობის სიხარულითა, ყჳელამ ბობლები მოლევს,
მშჳლდსა უგდებდენ ფიცხელსა, და ცხენი მოიმალევს,
ქჳეყანას გახარებულსა, ვსჭჳრეტდით ახალსა მოლევს,
მოხუცნიც გაჭაბუკდიან, არ თავი მოემოლევს.

114.

ალონს ვიწყით ნადირობა, და ქჳემორე ჩავჰყჳებოდით,
უკეთ სროლის ბაასითა, ერთმანეთსა ავჰყჳებოდით,
მუნ ნადირი ვინც ვერ დავკლცით, შორს აღარ ვინ გავჰყჳე-
ბოდით,
მოვიდით და ლხინად დავსხდით, ვინ ვის რას ულაყბებოდით.

115.

რა აქედამე წავიდით, კარამდის მოვინადირით,
მუნ განსჳენება სად იყო, ვიმუშაკებდით ნადირით,
ტყეებსა ვრევდით ყოველ-დღე, შამერით ბედიყარს თითრით,
გაზაფხულისა ჭაერი, შჳენოდა კარგა მუნ ნირით.

116.

მცირეს ხანს ბაზარს ვდგებოდით, სალხინოთ სათამაშოთა,
ჩუენის ჯობნისა ბაასზედ, ნუ ჭვონება მალ დააშოთა,
სად მომეცადნა სალექსოდ, მიბრძანე ბრძენო თვაშოთა,
კიდევ ბევრს რასმე უანბობ, ჴელიდამ არსად უშოთა.

117.

მაისი დადგის ტურფად-ვე, ვარდი აყჳავდის ბაღებსა,
ველნი ყჳავილით შეიმკის, ჰგჳანდის წითლითა ნაღებსა,
ბულბულთა ყეფა ისმოდის, ვერ ვსჭჳრეტდით სულ დანაღებსა,
მე ვინ მნახევდის იმ დროსა, ულხინოდ სუფრ ანაღებსა.

118.

აქ მოვიდნიან ლეკები, მებატონენი კაცები,
მოკრძალვით გულს-კელ-მოჭდობით, მშიშრად ვით ცხჳართა ვაცები,
ფეშქაშსა მოცა-ზიდჳდეს, ვერ რბევით რას მომტაცები,
აწ ჰნახე სოფლის სიმუხთლე, ჩემზედა კჳლა და კჳლაცები.

119.

მინდორს ბალახი მომაღლდეს, ხბოს დამალევდის ნადირთა,
იმ წამს მიჰმართის ირემმან, შამბს მალვით მუნ დანაპირთა,
ჩუენც თან გვაჰყევით სიმრავლით, გაწყობით არ მებომირთა,
ალაფანს გვაჰხდით ნავითა, სასროლად ზედ მინაშურთა.

120.

ერთი თამაშა არ ჰსჯობდა, ჩუენს მაშინ ნავით გასლჳასა,
ბაზრიდამ აურას დიდებით, სამინდოროსა წასლჳასა,
კაცი ვერ იტყჳს ენითა, ვერცა იქს თავის ასლჳასა,
დილით მწუხრამდის მკეცს ჰსრჯდეს, ვინ ელის მზისა დასლჳასა.

121.

ოთხმოცს ყათარსა აქლემსა, ცხენსა ჯორსა ზავერს გარდა,
კარვებს მის მოფენილობით, ჰკიდებენ იდჳს მუნ გორდა,
ტყუილი ნურ-ვის ჰგონია, მართალი არის არ ჭორდა,
ნუ ზლიც მრავალი გიახლით, მინდჳრები სოფლებს გაშორდა.

122.

შჳდს რჳას დღეს თუ ნავს გავიდით, რაზომც მალე ვი-
სწრაფდითა,
გამოღმართსა ჯელგას გარეთ, ოდენ ისრევ გადმა მკრითა,
აქათურიც ნავზე დამხჳდის, ნაპირელი ყურნაქითა,
გჳან ვერვინ მოვიდოდა, მისთჳს რომე დავჭბაქითა,

123.

ჯარის სიმრავლე რა გკადრო, დიდებულთა თუ მცირეთა,
ახალ ყაყ-კაცთა სიმრავლე, კარსკჳლავთა ჭგჳანდა ციერთა,
ვინ იგ მოშალა უწყალოდ, მან ღმერთი აღარ იღმერთა,
ვაჲ რა-ზომი სხჳა კარგი, სოფელმან გაწამიერთა.

124.

მენ იყჳს ზედაურთა-ცხენთა, შეკაზმა გამომჩჳჱნობა,
შესამოსელთა კეკლუცთა, შემოსად ტურფა ჩჳჱნობა,
ქარქაშის გაწყობილობა, ისარს ორჩის ფთით ჭშჳჱნობა,
ყაყ-კაცებისა ხუმრობა, მენ ჩჳჱნს კელთ იყო ჩჳჱნობა.

125.

ასე დადგიან კარვები, კაცი თჳალს ვერ გარდაწჳდენდა,
იყჳნიან შჳჱბით მშჳდობით, ვერვინ ვერავის აწყენდა,
მესისხლე ჭყჳანდა ვინ ვისმე, მენ სისხლსა ვით დაადენდა,
დჳთის წყრომით მოხდა თჳარემდა, მათ აგრე რა წაახდენდა.

126.

თორმეტი არის მინდორა, სხჳჱბისგან უკეთესების,
ირმისა ჯერნის დათჳსა, ღორისა ტურის და მგლების,
აფთრისა მშჳლისა ფოცხჳრისა, კურდღლის მარჩჳსამელების,
ბევრს ჯარს რომ მოინდომებდა, მათი სახელი ესების

127.

წინა მინდორი შირაქი, და ორივ ტარბანაები,
ორი ელდარის მინდორი, ჯერან ჩუღურში დაები,
ყაჯირლიუ ჩაიდი გოლი, სამგორი ჩადივარები;
ყარაიაზედ დაშჳრიან, მესროლნი კარგ-სადავები.

128.

მივიდათ მინდჳრებს მივადგით, დავუწყით ჯელგას რიგებს,
შუა ღამითგან უწინვე, ნადირთ ვერ ექმნა შეგება,
ასრე შეჰკრიან სამგზითვე, მჴეცნი მათ ვერ გარდეგებს,
დაიწყეს მოსჳლა კარზედა, პირს ვერვინ ვერ შეეგებს.

129.

დილა გათენდის შეიქნის, დაწერით დავარებანი,
ვინა-რ ვიახლნი ჩემთანა, ვერა ჰქნის მოვარებანი,
შეიქნის სროლა უცდერი, დანაცდენთ მჯრად მეზანი,
კარგ-სადავენი მომხმარედ, ვჰყვ ავის შორს განმებანი.

130.

ასრე უნდა მშჳლდოსანი, არ ჰკრევდეს ყოვლსა ას-ასოს,
მართალს მკარსა შუასა ჰკრას, წინ გარდამხტალს თეთრს დასოს,
მჴეცი სადგომს წამოიდოს, მწყურჳალს მინდორს სისხლი ასოს,
ერთს გაზავხულს მთიბათჳცმდინ, ოთხმოცისგან უვრო ასოს.

131.

ნადირზედ აზე მივიდეს, გულნოს შეემგერა,
მერე სადავეს გამოჰკრას, რას ჰქვან გულის მჯერა,
კარსა და ვაცსა მოჰკლევდეს, ცუდის მელა მჯერა,
მოუწონებდეს მივიცხეს, ანატროს მისი მზერა.

132.

რა ნადირობა გათავდის, გრემისკენ წავეყრებოდით,
მენ მოყჳარულნი ქალ-ყმანი, ერთმანეთს შევეყრებოდით,
ვარდი დაგვხჳდის გაშლილი, ვჭრეფდით და შიგ ვეყრე-
ბოდით,
ასე გჳამის იქ მისლჳა, მალ-ადარ გავეყრებოდით.

133.

გრემსა იყო ბევრის ქჳეყნის, უცხოები იქ მოსული,
ბაღებ-შიგან კჳპაროსი, ალვის-ხითა ამოსული,
ფშოდა სუნი სუნნელისა, ყჳავილთაგან ამოსული,
მისის ნახჳთ გაყრმდებოდა, სიჭაბუკის მალ-წასული.

134.

ერთი ბაღი და სასახლე, გრემს იდგა ლევან მეფისა,
მას შენობაზედ ეტყობის, გაცემა სიიეფისა,
ყოველი ყჳავილ-ხეხილი, გარ-მოცულ იყო სეფისა,
განცჳფრდებოდა მნახავი, იქმნის სიბრძნისა მკრეფისა.

საზაიკჳულოს ალაგებისა და შექცევისა და სამოვ-ნის ამბავი.

135.

ბალობა იქავ მოვისთჳლით, მერმე მივჰმართით ზეგანსა;
ბაღ-შიგან დაცხის ამად რომ, მზე წამოვიდის ზე განსა,
ჭოედ ჩაავდე ეს ლექსი, და მოგახსენებ ზეგანსა,
არას დავაგდებ უთქმელად, ბან-ზედ მოვაბამ ზე-განსა.

136.

უწინ შუა-მთას მივიდით, ცოტას ხანს იქ დავჰსდგებოდით,
რა დაცხის უფრო და უფრო, ზედ ადრე შევუდგებოდით,
ორს კჳრას გომბორს ნამყოფი, საერწოდ ავიყრებოდით,
ვმწყერაობდით ვჰკურდღელობდით, სტუმარს წინ მივე-
გებოდით.

137.

ერწოა კარგი საკურდღლე, მრავალი მწყერი დაჯდება,
ჩალებში წერო ბევრი სხედს, კჳფრცხისა უნდა დადება,
წჳრიმალს ტყეებში ნადირი, ბევრს ჯარს არ უნდა მოდება,
მერმე თიანეთს ვინც მივა, კალმახით იქ გაჯერდება.

138.

თიანეთს სხჳა მთის ალაგი, ვერ შეადარონ მას შურით,
სალხინოდ და საბურთლათა, ერწოდამ იქ მივა შურით,
კალმახი დაულეველი, ბადებითა თუ წყალ-წურით,
ლხინებს ვჰნახვევდით ასეთსა, შორს მყოფს იქ მოსჳლა
ვასურით.

139.

ლეკს ზეით სხჳა მთის კაცები, იქ მოვიდიან ვინც მუმობდა,
დიდონი, თუშნი, ჴევსურნი, ფშავლები ვერ მეკობრობდა,
ქისტი, ღლიღჳ და მურმუკი, ერთ-პირად მდჳცნს შე-
მამმღხოდა,
ჩოხას, ნაბადს და ლისას, ფეშქაში არ უნახლოდა.

140.

თიანეთს ეს სჯირს სიკეთე, დიდია მერმე გაშლილი,
მოედანს მწჳანედ მოსილს, მობურთალი ჰყავს შეშლილი,
მწყერაობაში რას ვარგა, უსეფო კაცი მოშლილი,
ქალები მკიან ტან-წჳლილნი, პირ-თეთრი შავ-თმა ჩაშლილი.

141.

ერთი წყალი საკალმახედ, იორს ჳრსად შეედრება,
სხჳა არა სჯობს იმ დროს რამე, იმის წურვა გახარება,
მოწყენილმან კაცმან ჰნახოს, ჯავრი სხჳაგან გაეყრება,
მთითგან ნადირს მოიტანენ, ხროა-ხროად დაეყრება.

შემოდგომისა და მეჯრალობის ნადირობისა და შექცევის ამბავი.

142.

აგვისტოსი იქ გათავდის, ლხინითა და უკუყრითა,
მერმე კახეთს წავიდოდით, გარიგებით მუნ აყრითა,
მხიარულად ჩავიდოდით, მექორწილე ვით მაყრითა,
აწ მზადებას დაიწყჳან, სამეჯრალოს შემოყრითა.

143.

ღჳთის-მშობლობას შუა-მთასა, მივიდით იქ გარდვიხადით,
შევეხჳჱწვით სასოებით, მის მეოხად იმას ვძხადით,
მოძღჳართ-მოძღჳარს მასპინძლობა, იმ დღესაცა ქჳჱვრთა
ახდით,
ჩჳჱნა ვართო ამ ყოფასა, მტერნო, აბა თქჳჱნ-კი წახდით.

144.

ჯჳართ-ამაღლებას ალავერდს, ჩავიდით იქ ავამაღლით,
ივილიშმე ალავერდელი, ლხინით ვერავინ მოვღალით,
მან საჩუქრითა აავსის, მუნ მყოფნი მდაბალ-მაღალით,
ნაზარხოშევნი ვიყჳჱნით, არ მთჳრალნი ღჳნით მომბალით.

145.

ერთს სიტყჳასა ის იტყოდა, არ ვარ სხჳსგან განაგონათ,
ასრე იტყჳო საქონლითა, ვერ გავძღებით უყჳართ მონათ,
ამდენი მაქჳს, აღარ მინდა, ოქრო მიჩანს ჩალის წონათ,
ბევრი გასცის უცხო-ივერად, იყჳს ყოვლთა მოსაწონათ.

146.

მაგას ნუ ეჭჳ რასაც კაცსა, მალად რამე გამოგართჳთ,
ასრე მე ის საშუნდობლოდ, არ მინახავს არ მომართჳთ,
მან მამცის და მე რაც მავსცი, კჲდევ სხჳა-რამ ზედ
დაურთჳთ,
ლოცჳა მქონდა წესისაებრ, მერმე ჯარის ლხინის წართჳთ.

147.

მოკლედა ვჰსთქჳა მუჴრალობასა, ყლონს კიჲჳთ მას-ქე
წესით,
უჭირჳმლად ვნადირობდით, ლხენით ვმყჳთ არა ვჳნესით,
ჯავრ-ცხენს ჰზიხარ ჯავახურად, წოთს კარზედა მოა-
წევ სით,
ეს თჳმც წავა კაის ყოფით, აწ ზამთარი მოაწევს სით.

148.

მოვიარით ტყეები და, რაც მინდჳრები გითხარ უპირჳმლ,
ვირდრო მქონდა სიხარულსა, ველი ვჰყარე მწჳმრჳალს
აველ,
მუჴრალობა გავათავე, აწ საჯერნედ მინდჳრად წაველ,
ყარაიას მივადექით, გარესჯიდამ მტჳრის-პირ ჩაველ.

149.

იქ ჯელგას არ წავიტანდი, ქჳმვითს თუ არ ცხენოსანსა,
ქისიყით წამოიყჳანდნენ, თორმეტ-ჯერ ათას-ოსანსა,
სულ კარგს ულაყზედ მჯდომელსა, ვინ ნახავს მათ ჯა-
კოსანსა,
მარტო იმ სოფლით იტყოდეს, შჳდ-ასსა ჯარმაგოსანსა.

150.

ერთის სოფლით ეს მივიდის, ნახე თუ სხჳა რამდენია,
შჳდს წელიწადს ასე ვიყავ, სათქმელი რამ არ მწყენია,
უტკივარად და უჭირჳლად, ცხჳრთა სისხლიც არ მდენია,
ბოლოს საქმე გამისინჯე, რა-ზომნი ავნი მმენია.

151.

პირჳჩლოს დაშესა დიდს ვარცლას, მივიდით სრულად ჯარითა,
დავუწყით ჯელგას რიგება, ერთმანეჲს დასაჯარითა,
მაშინ იქ მყოფმან ჯელგამან, თავი არ გასაჯარითა,
გათენებისა მომლოდნემ, იქ მილი იაჯარითა.

152.

ალიონმა აიზიის, შევსხდით ცხენსა დაუვარდით,
წუნარა-წუნარა მივჭყუჳჩბოდით, ცუდ-მადს არას გაუვარდით,
ვისაც ჯოგი მოუვიდის, კარგს სადავეთ ზედ მივარდით,
სროლითა და სიკჳდილითა, დავიღალით და დავარდით.

153.

სულ დიდი ჯოგი მოვიდის, ანგარიშს ვერ ავიღებდით,
ვირ-არ მოვიდით ნადირზედ, მშჳლდს აქ არ ამოვიღებდით,
შივესროდით და მივჭხოცდით, მინდორს სისხლითა
ვმღებდით,
ამდენი მოკჳდის ნადირი, სრულ თან ვერ წამოვიღებდით.

154.

მაშინდელთ კარგ მშჳლდოსანთა, ამად არ კამბობ სახელებს,
საბატონოთა კაცთა და, კაჟ-კაცთა ბევრს ასახელებს,
კაცთა შიგ-რჩევით მოჭკლევდეს, ვერ მომკჳლელთ მგონ
ეს ახელებს,
ზოგს უქებ მშჳლდოსნობასა, უცოდნსა დასდებს სა-
ხელებს.

155.

ყხჳა მინდჳრები ირმით სავსე, უარაიას ჯერანია,
კარგს მშჳლდოსანს გაახარებს, გულის გასაჯერანია,
ვერვინ სრულ-ჭყოს ჯოგთა რიცხჳ, ესე დასაჯერანია,
თუ იმდონს ჯოგს შეეყარო, მოკლავ კახი-ჯერანია.

156.

ზოგნი იტყოდეს აქა ვჰკრავ, მიუყრეთ უსაცილოდა,
სხჳამ თქჳს თუ იმ ვაცს მე მოვჰკლავ, შეუდებ ისრის კილოდა,
კჳლავ ამ დიდს ჯოგში ხუთს მოვჰკლავ, სროლა არ ვი-
თაკილოდა,
მალიანს მშჳლდსა მოვზევდე, მკლავო, არ ისარ წჳლილოდა.

157.

მაღალს ავრევდენ ფრთეებსა, გრძლებს ისრებს მათთა
მკლავთასა,
იტყოდეს ახლოს ესე სჯობს, უკეთ იქს კორცთა ფეთსა,
სროლას შორს არა სადავე, ახლო სჯობს ეს უკეთესა,
ბევრ-ჯერ მინახავს იქმოდეს, მსხჳლ-ბარკლის სულ მოკჳეთასა

158.

უმაწჳლები არ არჩევდეს, არც კჳრასა და არც ნადირსა,
თუ სადგომსა ბევრს მივიტანთ, ოსტატობას ჩჳენ-რა
გჳრჯისა,
დასულებულს ვინ ნახევდა, სიცილითა იმათს პირსა,
ის დრო იყო რომ წავიდა, სხჳა ვეღარ-ვინ ვერ ეძირსა.

159.

მინახავს ბევრჯელ მინდჳრებში, მოკლული უფროა ათასი,
ჩემს მოკლულს სხჳანი გეტყჳან, მე მოგახსენებ სხჳათასი,
ერთს ზაფხულს ზამთრის პირამდინ, ჩემი თქჳან ვეჭობ
სხჳათ ასი,
ლხინსა ვნახევდით ამოსა, ზოგთ-ჯამითა სჳემს სხჳათ თასი.

160.

ერთს დიდ-მარხჳასა ნაგებს ვსდევ, რომელ-არს ბოსტან-
ქალაქი,
აღდგომაც იქ გარდვიხადეთ, ჩჳენი ახალი პაწაქი,
რას აქნევ ინდსა არაბსა, ესე სჯობს შენცა ეს აქი,
ვეღარ თამამად ბაასობს, დაუჩდა ცილების ბაქი.

161.

ამ აღდგომის-დღის ლხინები, მნელის გამოსათქმელად,
საღმრთო წესი და რიგები, ნათელ არს არ დასაბნელად,
ბურთობა ყაბახის სროლა, გაცემა მქონდა არ მნელად,
თუმც კიდევ ბევრჯელ მინდოდა, აღარ დამცალდა საქმნელად.

162.

ქურმუხელთ კახთა სიმრავლე, ამით გასინჯე კუხოსი,
ყაბახს ესროდეს ოთხმოცი, მარტო ჩერქეზი და ოსი,
მე არ გავუშვ იმ დღესა, ჩემი ყმა მენ შეუმოსი,
ხილზედ ვესხუმდით გავაზურსა, ხურუტა არ იყო იქ დოსი.

163.

ამ დღეს გავეც სხჳს გარდაის, ასი ჯილა ასი ტყავი,
ქულავ ცხენები ბედაური, ან თუ ზურგზედ განატყავი,
ამას გარდა აბრეშუმი, სამოცს აქლემს ნატვირთავი,
არ დავაგდე უბოძვარი, ღარიბები მოურთავი.

164.

მანამდის არ ჩამომეხსნენ, არ მათქმევინეს მე ვირეს,
მიქებდეს მეტად სიუხჳს, არ მიზრახჳდეს სიმვირეს,
კაცი ამ ყოფის პატრონი, რად შეგედარო მევირეს,
ჩამოგიყარე ყურები, ჯობნისა მენ დანაპირეს.

165.

თუმც არის წელიწად-შიგან, ესე დღეც გასახარონი,
აივსებიან ყოველნი, ჭურნი და ბეღელ-ხარონი,
შიმშილისა და წყურჳლის, არ-ვის აქჳს თავის ხარონი,
სიმსუქნე სჭარბობს სიმჭლეთა, არ-ვინ არ შენაზარონი.

166.

სულ გამდებიან ღარიბნი, გლახა და მუნ მდიდარია,
თავს-საყრელად აქჳსთ მთხოვართა, მათ მათი სამუდარია,
ანგაართაგანც მიიღონ, წყალობა სათხოვარია,
ამ სიკეთესა მოუსწრონ, მერმე ზამთარმა დარია.

167.

ვით წესია ამ თოჳჱების, მის-მის დროსა ველსა ვჰყრიდით,
მუჯრალობა რა წავიდის, ქორებს ზარშია შევჰყრიდით,
ვარემ წყალი არ გაყინის, ვერ მოგჳყჳანდა სიცხის რიდით,
რა აცივდის მოვიყჳანით, ფრინჳჱლ-ზედა ველს წავ-
ჰყრიდით.

168.

აწ ზამთარი შემოვისწრით, თორდასა და ბოეთანსა,
შამერსა და დანუხშია, სხჳას ვინ ჰნახავს იმისთანსა,
ყოვლი რამე სანადირო, ასრე ახლავს ინი თანსა,
მაშინ მე რას ვახსენებდი, ხანებსა და ან სულთანსა.

169.

სრულ წჳლილად ვჰსთქჳა ვერ გავუალ, არ-ვინ მართლა
დაიჯერებს,
იჳარემ ვიტყჳ ბევრს ასეთსა, კაცისაგან გასაჯერებს,
ცრუვი არის ეს სოფელი, ბოლომდისინ არ მაჯერებს,
ფიცით მითქომს დამიჯერეთ, მცილეს ფიცი დააჯერებს.

170.

რაც მინდოდა ყჳჱლა მქონდა, მე ნაკლები გულს არ მამე,
მუნ სიმრავლე სჳა ლაშქართა, ჩემნი მტერნი ყოვლით ვამე,
ჩემის სახლის მეფეებსა, წარვემატე არ წავჰბამე,
ეს-კი მაკლდა მართალს გითხრობ, ძმა არა მყჳა და არცა მე.

171.

ჩემის სახლისა ჩემს მეტი, კახეთს არ მოიმეოდა,
მოწყალემ მომცა ორს წელსა, ყრმა-წული ორი მეოდა,
შემექმნა ლხინ-სიხარული, ვჰსთქჳ დავდექ ახლა მეოდა,
მათის იმედის ქონება, ვი ადრე დამელეოდა.

172.

მაშინდელს მახარობლობას, სულ კაცთა იქ შემოყრასა,
მათ სიხარულსა ლხინებსა, იმათს იმ დრომდინ მოყრასა,
მოსალოცავთა ტურფათა, თჳალთ გუარს-თავს გარდაყრასა,
მეობა ღამის-თევასა, მილად არ-ვისგან წაყრასა.

173.

მომეზარდნეს ორნივ შჳლნი, ხუთის წლის და მეორისა.
ტურფანი და ჭიკჭიკანი, ორნი ნორჩნი სამოთხისა,
ძლივ ღირს ვიყავ გამეზარდნეს, ტანად ნაქჳთნი სამ-
ოთხისა,
ცხენს ჰსწდებოდნენ ყინჩიყურსათ, ცრემლი დაწჳს არ-
დაენთხისა.

174.

ვით წესია სოფლისაგან, ლხინსა არ ვის გაუთავებს,
ჯერეთ მამყჳა მწჳფთ მაამა, აწ საქმესა მიზამს ავებს,
ლხინთა ნაცჳლად გლოვასადა, სიმღერის მუქაფად მავებს,
ლხინს შემიცჳლის გლოვა-ფლასად, წითელ-ყჳთელს გა-
მიშავებს.

მეფის თეიმურაზისაგან დედოფალსა ზედა მწუ-
ხარება და მგლოვარება დიდი.

175.

ჟამი გარდახდა შვებისა, მოვიდა გლოვა-წჳხილი,
ლხინმა მიმრიდა შემქმნა, გულს ურჩა თჳალთა წჳხილი,
ღჳარი მდიოდა სისხლისა, ცრემლით ისმოდა წუხილი,
ნადიმი აღკრბა სერობა, ვეღარ მაჭამეს წუხილი.

176.

მოვჴსთქჳ წმდი, მზეო დამაგდე, ცეცხლი მომიდევ წამალი,
მე გლახ უშენოდ ობოლმან, შენი ვერ ვჰპოვე წამალი,
ბროლი და ლალი შეთხზულნი, მიწათა-შიგან წამალი,
სუფევა ჰპოვე უკუდავი, წმიდათა-თანა წამალი.

177.

წამწამთა რაზმმან დამწჳარა, თჳალწი გიშრისა დარულსა,
მშჳლდი შავისა კემუხტით, შემოსით ვით მოზეულსა,
თმა ამბრის-ფერი შეწამასნით, მიწამდისინ ჩაწეულსა,
ვითარ ვჰსთქჳა საქმე საზარო, ჩემზედა რა მოწეულსა.

178.

ბაგეს ვით ვარდის ფურცელსა, აწ ვხედავ გაყჳთლებულად,
მას შიგნით თეთრსა კბილებსა, სადაფ-მარგარიტებულად,
ენას შაქრისა უტკბოსსა, ვჰხედავ უძრავად დებულად,
ეჰა ვაიმე რადა ვჰქმნა, აქა ვზი ცეცხლ-მოდებულად.

179.

ცხჳრს ზომიერად ჩამოწჳდილს, სუნი იფშჳს სუნნელებისა,
პირი ერთ-პირად შექმნილი, უალოდ გამთჳარებისა,
რომელმან ენამ აღმოსთქჳას, სინაზე მკლავ-ჴელებისა,
ვითარ დავასჳცნ გაწირჳა, შენ ჩემი გულ-ნალებისა.

180.

ვაჲ წაუხდა ვის ჰქონდა, ყელი ბროლისა სურათა,
ვერ გამოჰხატოს მხატჳარმან, ჩინელმან მისი სურათა,
მჭჳრეტელთა სატრფიალოა, უნახოს მოსახურათა,
ვაჲ გამხადე უბრალო, სისხლის-ცრემლს გასაცურათა.

181.

ვაჰ რად მიეცა შავს მიწას, პირი ვარდი ბროლ-ფიქალი,
ბრწყინჳალე და შუქთა-მფენი, აწ ეთერი ფერ-გამქრალი,
შენს საქციელს ვერ აიღებს, ბევრის ცდითა სხჳადა ქალი,
შენ გამხადე დასაწჳცლად, ვარ მოჰგვნა მე აქალი.

182.

რად დაავგდე ეს სოფელი, რამცა გაკლდა მისი ნივთი,
საჴელმწიფო, ქმარი, შჳლნი, რად გახადე ოხრად ვითი,
სამუდამო ლოცჳა-წირჳა, ფსალმუნებს ან დავითი,
პირსა შენსა შუქი ჰკრთოდა, ეგე აგრე რად წაირთი.

183.

მე გამწირე საყჳარელო, ლევან რად ჰყავ საბრალობლად,
ალექსანდრე ნებიერი, ვით დამიგდე მე ეს ობლად,
შენ უბრალოდ ტახტს იოხრებ, ზედისა და სოფლის მგმობლად,
მე გამხადე მტრის-გულისად, სიცოცხლისა დასაგმობლად.

184.

გჳრგჳნის ნაცჳლად ჩაჩს მბურავ, სკიპტრად მაძლევ შავ-
სა ჯოხსა.
პორფირად მაცმევ ძაძასა, ტახტად დამიდგამ შავს ქოხსა,
გამაბედითე დამაგდე, მიკჳრს მე გუშინ დამნახსა,
უდროოდ ამ ყოფისათჳს, ებნობენ სოფლის ნაზრახსა.

185.

ვით წესია გარდვიხადე, გლოვა დიდი სულთ-წესები,
სულ-თქმა ახი სამუდამო, და კივილი საკჳნესები,
ვიჯექ ბნელსა ცეცხლ-ნადები, ნათელ-შრეტით დანავსები,
ნაღჳვლს ვჰსჳმდი სამსალითურთ, გული მქონდა შე-
ნავსები.

186.

ორმოცამდისინ ბნელს ვიჯე, სინათლეს მჳლ სად ვნახევდი,
თავსა ვიცემდი ვსტიროდი, ცრემლითა დაწჳთა ვიხევდი,
შენც შემიბრალე არითვო, მოდი და ჩემთან ახევდი,
ნუგეშინის-მეც სიტყჳთა, ღონეს რას მომინახევდი.

მეფის თეიმურაზის ყაენისაგან დაპატიჟება და მგლოვარებითგან გამოსლვა.

187.

მე მგლოვიარე ყაენმან, მიმიხმო მიმიპატიჟა,
თუ გლოვით გამოსასვლელად, კვლავ უფრო გამიპატიჟა,
გახდა მიბრძანა შავისა, და ჴორცი მან დამპატიჟა,
უარი არ მათქმევინა, არც ხანი დამიდარია.

188.

ვით მმართებდა მასთან მისლვა, მან და ჩემსა სიდიდესა,
ყოვლი-ფერი თან ვიახელ, ვინ იცის რა მომინდესა,
მას ვჰმეტობდი გარიგებით, ვინ რომ დავარ მაშინდესა,
მე ჰსჯულ მტკიცედ შეზღუდვილი, იმათ თავი გაინდესა.

189.

წაველ მიველ მომაგებას, ომარები კარის კაცნი,
ბედაურის ცხენებითა, არ იახლა მათ საკაცნი,
სიმრავლესა ჯარისასა, წინ უძღოდეს ვითა ვაცნი,
გაეკჳრვნეს სიკეთესა, ჴელთა ჰქონდეს მალ-მალ ტკაცნი.

190.

მაველ ვნახე მიალერსა, ჴელმწიფემან ვითა შჳლსა,
მიბრძანა თუ მწჳცედ მიმძიმსო, გხედავ აგრე შემოსილსა,
მაგრამ რა ვქმნათ რა გავაწყოთ, ღჳთის ბრძანებას ვინ მოშლისა,
გლოვასცდა რათ წაჰხბამე, შენ ჭკჳანმან სხვათ შემშლილსა.

191.

დაჯდა ნადიმად უცხო-რამ, მას ლხინს რაც გაეწყობოდა,
მუნ რამდენ-ფერი საკრავი, ერთმანეთს შეეწყობოდა,
გაყრას ვინ მოინდომებდა, გული იქ დაიტყობოდა,
მას დაფარული მტერობა, მაშინ არ შეეტყობოდა.

192.

გათენებამდი ნადიმად, იჯდა და არც მე გამიშო,
მიბრძანა გამხიარულდი, ჩემგან არა ხარ საშიშო,
ბევრს კარგს გიზამ იცოდე, საქმე არ გიყო საშიშო,
გულს სევდა და ნაღჳელი, ჭკუ იყარე მოშიშო.

193.

ჭირჳელი ნახჳა გათავდა, მერმე მიმიხმო ხალვათათ,
მითხრა ლუარსაბ მეფესა, გამოჭყურებ მალ ამლათათ,
ორნივ მეფენი გაერთდით, ის შენთჳს იყოს შენ მათათ,
ჩემაცა ქჳსლი იქმნები, საქმე არ დარჩეს სახლათათ.

194.

მოვახსენე ჴელმწიფეო, ეგ ჩჳენს სჯულში არ მოხდება,
ახლო არის ნათესავი, საკანონო დამედება,
თუ შევირთო ნათესავი, საბოლოო წამიხდება,
უარი არ გამიგონა, ცუდიაო მიდ-მოდება.

195.

არ იქმნება დამიჯერე, ქართჳელთ-მეფის უმოყჳრობა,
სხჳას უკეთესს ვერ შეირთავ, მეც მასმია დიახ ქება,
ზურგად მე გყავ ის მოყჳარედ, ვის-და ძალ-უძს შენი ვნება,
მე მწადს მერმე თქჳენ მოგხჳდებათ, ლხინით შეყრა ერთად ხლება.

196.

კიდენ რამე მოვახსენე, მე ეგ საქმე არ მექმნება,
არა-ფერი არ გავიდა, უარისა მოხსენება,
კჳლავ მაბრძანა ნუღარ იტყჳ, თუ არა იქმ არ იქმნება,
რადგან ისრე მოინდომა, რაღა მექმნა დავჰრთე ნება.

შააბაზ ყეენისაგან აბელის-შჳლის ადამის თხოვნა და არაკის მბობა.

197.

მერმე მითხრა აბაზ მამეც, აბელის-მე კარგი ადამ,
თუ არ მამცემ არ იქმნება, ვერ დაიხსნას მაგისმა დამ,
გამიჭირდა მისაცემლად, იქ მისულით და მერმე ხადამ,
ჩემს სიტყჳასა დააჭარბა, კელმწიფისა მოსწადამ.

198.

მოვახსენე ვერ მოგართჳამ, ნუ მიბრძანებ ცრემლს ნუ მადენ,
ნამსახური კაცი არის, მამით ბიძით თავით რამდენ,
გამორთმასა ნუღარ ჰბრძანებ, წყალობა ჰქმენ შენი ამდენ,
მამა მისი პაპა-ჩემსა, ძმიან ორნივ თავს დაუკჳდნენ.

199.

პასუხს გეტყჳ მაგისასო, დაჯექ მანდა მომიცადე,
კარგი არის არ მოგცემო, მართლა ჰსთქჳ თუ გამომცადე,
თუ გიყჳარ-ვარ კაცი მამცემ, წამომგჳარე გამომცადე,
მაგრამ კიდევ არ წამოვედ, კიდევ ხანი დავაცადე.

200.

არაკი მითხრა მართალი, სიტყჳა რამ დასასმიო,
ერთს კელმწიფესა ვეზირნი, მუდამ გჳერდს უსხდენ სამიო,
ერთი გჳარად და თჳთანცა, და ორი არს სასმიო,
უფროსი ყოვლის სიკეთით, გულ-ქჳწლი ვით სასმიო.

201.

ერთმან მონამან შეჰკადრა, ჴელმწიფეს ღარიბობითა,
ათასი მომეც თუმანი, არ მითქჳამს სათნოებითა,
ასეთი რამე შევიმკო, შენ იყო არ ქონებითა,
რა ის მოგართჳა გაჰკჳრდა, ბევრი სხჳაც მამცე ნებითა.

202.

ჴელმწიფეს დიდად იამა, უბოძა დაუყოვნებლად,
ხანმა არ განვლო მოჰქონდა, რაც ჰქონდა საიმეძებლად,
ბრძანა მამგზავრეთ იმათუერთ, ლხინს აკეთებს თუ სა-
ლებლად,
მივიდეს წამოიყვანეს, პირი შეექმნა ნალებლად.

203.

მივიდა მონა უბრძანა, რა ჰქმენ რა გამიკეთეო,
მან მოახსენა ჴელმწიფევ, მწადს თავი მე მომკჳეთეო,
ღარიბობამ და შიმშილმა, მირჩივა ეს მკეთეო,
ყჳელა დავჰხარჯე შევჭამე, გინდა ცეცხლს შემიკეთეო.

204.

სანამდის მქონდა ამ სოფელს, ყჳელა რამ მე ვიამეო,
თუ ის არ მექმნა აქამდის, ვერ მივაწევდი სამეო,
ამისთჳს ვჰქმენი მეფეო, თუ ღმერთი გიყჳარს დამეო,
თჳარე რაც გინდა ისე ჰქმენ, შენ მანდ ზიხარ და აქ მეო.

205.

ერთხან დაფიქრდა ვეზირთა, უბრძანა ჰხედავთ ამასა,
რას არჩევთ რისხჳა რა ვუყო, ერთსა თჳალის წამასა,
ესე მონამ ვით შეჰბედოს, შჯული ვერ უზამს მამასა,
შიშით არა მრწის თავს იდებს, მისის ტყუილით ჯამასა.

206.

ხანაზის შჳლმან შეჰკადრა, თორნეში გამოაცხვეთ,
მზჳარეულისამ ესე ჰსთქუა, შეწჳ და ზედა წასცხეთ,
კჳლა გჳარიანმან ურჩივა, მწიფე კარგად შეინახეთ,
მას მიემოწმა ჴელმწიფე, ეს უკეთ დავინახეთ.

207.

მეც მაგისთჳს გთხოვ ამ ადამს, გჳარად კარგი და თავადა;
უგჳარო კაცი ასე იქმს, თუ მირად არ ითავადა,
ამ ვეზირთ სიტყჳსა გასინჯე, რომელმან რა ჰსთქუა ავადა,
ჩამომაველობით სიკეთე, კარგი ბევრად იგი ვადა.

208.

კაცი უნდა ან გჳარად, და ან ჰსწავლაში გაიზარდოს;
თუ სიბრძნეში გაიწურთნებოს, უგჳარომანც გაივარდოს,
თჳარ უგჳარო გჳარიანსა, ცუდად ვინმე შეუთვარდოს,
უგჳარო თუ არას იწურთის, სიკეთე ვით გაიმარდოს.

209.

რაზომ ვიტყოდი უარსა, მან უფრო დაინიქაო,
ტკბილის სიტყჳთა წამართო, არ ბაქით შემაშინაო,
აღარ მაცადა პასუხი, სულ იმან დამიშინაო,
მიველ რა მექმნა ვიტყოდი, ნეტამც დამეგდო შინაო.

210.

გამომიტუმრა წამოველ, კაცი თან გამომატანა,
მეც ნება დავჰრთევ დავასკუენ, მე მისი აქ წამოტანა.
კიდევ მას-ვე მაბარებდა, სათუო არ დამატანა,
მოველ დავმოუჭრდი მეფესა, პირად-მზემ ალვა მატანა.

211.

რა მოველ მეფეს ლუარსაბს, ვემოუჭრე მაის ბრძანებით,
მან თურე სხუა ვერთე არჩივა, და საქმით კიდევ განებით,
ჩუენ სულ მართალი გვეგონა, კიუავით სხჳს არ მგვანებით,
ვინ რას მიუხუდა ლიქნით იქმს, ან რასმე მოანაგუანებით.

212.

ავემზადე საქორწილოდ, მას ქალს ჩემად მოსაგუარად,
პირუელითგან უკეთეს-ზედ, თავითგან და მერმე გუარად,
ქორწილიცა ეგრეთი ვჰქმენ, შესაფერი მის-მის გუარად,
ყოველი ნივთი მრავლად იყო, არა მქონდა მოსაგუარად.

213.

მას თურე მაშინ უნდოდა, რაც ბოლოს ჰქონდა საქმნელად,
გუნებაშიგან ნარჩევი, პირად არ გამოსათქმელად,
მაგრამ ორნივე მევენი, ჩუენ უნდით მას დასანთქმელად,
არ სიყუარულით შეგჯავრობს, ჩუენ-ზედა გული ათქსნელად.

214.

ყაზახის ხანს მოჰსწერა, მეფე ლუარსაბ მოჰკალო,
თავი იქ გამომიგზავნე, ქართლი გალეწე ვით კალო,
მეფეს სხუა წიგნი მოჰსწერა, ეგ ხანი მალვით დაკალო,
შიშით დახეთქე ყაზახი, შეაქენ თრთოლას კანკალო.

215.

მას ეგონა თუ ყაზახი, ხერხით ამას აჯობებდა,
მოიგონის უცხო რამე, ლიქნით ასრე გააგებდა,
მაგრამ მეფე არ გაება, ის რომ საფრხეს მოაგებდა,
მეფემ მოჰკლა გაუგზავნა, თავსა შუბზედ ააგებდა.

216.

თუ მე მაბრალებს პაპისას, ძუელს რასმე დანაშავებს,
ლუარსაბ მეფეს რაღდა ჰკლავს, პირად მზეს არ თუ შავებს,
სჯობნ მეფემან ჰმსახურა, ურუმებს ჰსთხოვდა დავებს,
ქართლი სულ ურუმთ ეჭირა, გაუყრის მათს ფაშაებს.

217.

ურუმთ ეჭირა ქართლი და, ადრიბეჟანი შირვანი,
ასრე მათ ეპყრათ ციხენი, ვით შიგნით ბასრა იქ ვანი,
უცილობლად და უომრად, არ ვისგან ჰქონდა მით რჯანი.
არიგებდიან მათს წესზედ, მათი აქ ჰსწერდა მდივანი.

218.

ვინ არ მივიდის მათთანა, ყეენთან მიდის მჩივანი,
დაიპყრეს არდაველს აქეთ, ერანელთ მოსაყივანნი,
აქა-იქ დაიმალვოდეს, ამაყად ვეღარ მყივანნი,
ზოგთა განერეს ივლტოდეს, შორს ყოფნი იყუნეს სჳანი.

219.

ეს როდის იყო დედასა, მცირე ყრმა ჰყუანდა შააბას,
სჳმონ-მეფესა უბრძანა, ტყუეს ჴრმალი უნდა შააბას,
ქართლის გამოჰგზავნა სამრად, ურუმთა უნდა შააბას,
არეს ნადულობდნენ სჳმონის, თუ ბოლოს ვინმე დააბას.

220.

ბეგუმმა ჰსთქუა მეფეს სჳმონს, შეუძლიან გამებანი,
ამის მეტსა არ-ვის ძალ-უძს გურგასლანის ბაძებანი,
კაცი ჰკადრა შინ გაგიშუებ, იქმენ ჩემი ძმა-მებანი,
მრავალს მოგცემ რა იქ მიხუალ, აღარ გინდა ჯართ-მებანი.

221.

სჳმონ მეფემან შეჰსთუალა, საქმე ვჰქმნა არ უკადრის,
რაცა გმსახურო მოგესმას, მოწმად მყუეს თქუენი სადრის,
ღუთის-მადლით ქართლში ურუმნი, მოვჰსრნე განუამო ადრის,
გმსახურო არ დაისწავლით, ეს თქუენი რა საკადრის.

222.

ძუელი რამ ვიცი ამბავი, მე ვახტანგ-გორგასლისა,
სპარსთ-მეფის ლაშქართ წაყოლა, და სინდეთს მისი მისლუასა,
მისგან გოლიათთ დაკოცა, და მერმე ვინ მოშლისა,
მასავით მიზამთ მე ვიცი, მოდგმაა თქუენ ასლისა.

223.

დიდმან-ვახტანგ სინდთ-მეფისა, გოლიათი ამოსწყჳდა,
ციხე ჴელით გამოუღო, მეფობისგანც გამოსწყჳდა,
მერმე უთხრა სინდთ მეფემან, ვახტანგ შენთჳს ავად ჰყჳდა,
მისი ჴელი დაგემართჳს, საქმესა იქ რაც ყუავილა.

224.

ერთმან ყვავმან ქორის ქუდა, ნახა სადმე დავარდნილი,
მიიყვანა თავის ბუდეს, რად შემცდარა ავარდნილი,
მოიზარდა ყვავმან ნახა, ბახალუმზედ მიკარდნილი,
დაუწყამს ახლა დარჩა, ყვავზედ დრო შემოკარდნილი.

225.

რა ბახალუბი დაჯდამა, გაშალა ბოლო მწყწრყალი,
ახლა ყვავს გამოუყვარდა, მან თავის დასდოს ეს ვალი,
რად მოწყვეტ ჩემ-ზედ ამასა, გრძლად გქონდა აქეთ სავალი,
მე გამათავა აწ შენ-ზედ, მოიცდის არ აქვს ზავალი.

226.

მისი არ იყოს მე ვიცი, ჯერ სამსახურის დამაცლი,
დღითით მე მგონია ურუმთა, ქართლიდამ ადრე გაგაცლი,
ჩემ-ზედ მოიცლით მას უკან; მათგან ციხეთა რად დავწყვიცლი,
გამომიმატებ ადჯლად, წყალობას მსტკივს ამაცლი.

227.

მათ უთხრეს ივაცი სამაშო, და გამოგზავნეს კრძლიანი,
გამოისტუმრეს მეზრმოლი, ყაირათ-ნამუსიანი,
მოვიდა ბევრ-ჯერ შეება, ურუმთა უყო ზიანი,
მუდამ მას გაემარჯვოდა, ბოლოდ ვერ არის სჯანი.

228.

რაც ციხე წქონდათ აიღო, არც ერთი არ დაანებს,
ურუმნი ქართლით განწსდევნა, ყაენისა წქმნა მან ნებს.
ქართლი იმათვე უშოვნა, თავის-თავს უყო სავნებს,
მისი არაკი ლუარსაბს, მეფეს არ მოეგონებს.

229.

გორის-ქალაქი სამშჯლდე, ადჯაყალა და დმანისი,
ურუმთ ეჭირა ერთ-პირად, ვით კარი ანუ ანისი,
სულ საჯომ-მეფეებ აიღო, რას გადრეკილა ან ისი,
მალე ჩაივლის მათ წინა, ნაქმნარი ეს საჯონისი.

230.

მერმე ურჩმთ დაიჭირეს, მეფე-სჯმონ ალგეთის ფარცხის,
ბევრჯერ ომი კარგად მოხნის, ხან დარჩის რომ ვერ
დაფარცხის,
სისხლი იცხის მტერთა მისთა, და თავისი მას გარდაჰსცხის,
ბოლო ამით გარდაუწყდა, ჩაიყვანეს სტამბოლს მარცხის.

231.

ასრე იყო ნამსახური, მამათა და თჳთონ თავით,
ჰმსახურებდის ამებდა, მაჰყეჩბოდა ვით სადავით,
არას-ფერსა არ აწყენდა, არვის ახსოვს მას-ზედ დავით,
მათ რომ ბევრი კარგიც გიყონ, ბოლო მოაქჳს დიახ ავით.

232.

ამას ნუ ბრმანებთ ნურავინ, მე მისთჳს რამე მეწყინოს,
უარი მეთქჳას რისამე, ან წყენა მე დამეჩნიოს,
მაგრამ ესე ჰსწადს საკუთრად, კახეთი მან დაირჩინოს,
ბაგრატიონნი გაჰსწყჳტოს, და არსად არ მოარჩინოს.

233.

პირველ მიველ მმა მივართჳ, მერმე დაეც იქ ჩავ-
ჭგჳარე,
რაც უმა მთხოვა უჩჳლა მივეც, იმას რამცა წამოვჭგჳარე,
არ დამჯერდა არას საქმით, ვერა-ფრით ვერ მოუგჳარე,
თუმც უფროსი ავი მიყოს, მაგრამ მეც რამ გავაჯავრე.

ამბავი პირჳჱლი: შაჰაბაზ ყაენისა კახეთსა და ქართლს მოსლჳა, და ორთავ მეფეთა იმერეთს წასჳლა; ქართჳჱლთ-მეფის ლუარსაბისა და კახთ-მეფის თეიმურაზისა მეფეთა და ქჳჱყნის წყრომა; რბევა, ტყჳჱობა და აოხრება მოუკლებელი და დაულევ-
ნელი.

234.

ოდეს შაჰაბაზ ჩემ-ზედა, საქმე ჰქმნა ეს მისეული,
დაიწყო ჩემი მტერობა, ბოლომდის არ დალეული,
ქჳჱყანა ამომიწყჳტა, თავადნი მუნ ბევრეული,
არ გაძღა ჩემის სისხლითა, ვირემ არ მოკჳდა წყეული.

235.

განჯას მოვიდა მოჰპარჳთ, ამბავი ვერ ვჰსცანთ მოსჳლისა,
სატყუჳა რამ შჳმოეთჳალა, იქიდამ სხჳაგან წასჳლისა,
გამწარდა საქმე სოფლისა, მზე მიდრკა ქედად დასჳლისა,
გჳპირებს ბნელი დაფარჳას, ჟამი ჰსჩანს ნათლის ჩა-
სჳლისა.

236.

დამიწყო თხოვა შჳლებსა, უფროსი ერთს დედის-ერთსა,
მივეც უჳჱლა რაცა მთხოვა, არა ვჭრიდე ცოდჳას მათსა,
დედა-შჳლთა გაყრისათჳს, მარისხებდეს ცათა ღმერთსა,
ჰგჳანდა მაშინ კახეთ-შიგან, მეგიპტურსა რისხჳას ათსა.

237.

მაინც არ იქმნა არ დასცხრა, ზღჳა ქარით იძულებული,
პირ-ცეცხლიანი უწყალო, ვეშაპი განმძჳნებული,
მრავალ-ჯერ გამარჯჳებული, მტერ-ზედან ამაღლებული,
მომხრჳელი, ამომწყჳეტელი, დამწჳელი ცეცხლ-მოდებული.

238.

აწ ესეღა ვჰსთქჳა ამბავი, ვაჲ ამ დღის მონახსენებს,
რა დიდი მტერი ამკიდე, ბოლომდის არ მახსენეს,
რაცა დანასკჳე ჩემ-ზედა, არ ოდეს არ გამამხსნეს,
რომელიც დამრჩეს ჭკითხვდით, ამისსა თქჳენ მომხსენეს.

239.

დედამ მისმა ჩემთჳს შობა, იგი ისრე ჩანასხამი,
მუდამ ჩემის სისხლის-მსმელი, გესლიანი ჩანასხამი,
ტახტ-ზედ იჯდა სამესისხლოდ, არ ესჯა ჩანასხამი,
ტანთ-იცჳემდა სასალუქოს, სხჳაგან ედჳა ჩანასხამი.

240.

სულ მოვიდა ქრანითა, თურქ-ლორითა და არაბითა,
ზახი რა თან მოიტანა, ურმებით და არაბითა,
ღჳნოს ჰსჳემდა, სისხლად ჰსჩემდა, თრიაქს ჰსჭამდა არაბითა,
ჩემიმც ცოდჳა თქჳენ გკიდია, ვინც მოუშჯთ არაბითა.

241.

ხჳანი ბევრნი უამრავნი, ერანიდამ მას მოასხა,
ჩჩჳლნი მოსრნა ვით ჭეროდემ, მოწიფულნი თან წაასხა,
მან მჳცლათგან ჩათესილი, გესლი მაშინ წარმოასხა,
ერთ-გულები დამიხოცა, ორ-გულთ ტუავი წამოასხა.

242.

მოვიდა მძლავრი უწყალო, არად არ შემიბრალებდა,
დამიწჳა სრულად კახეთი, საკმილსა გამიალებდა;
ვერ-სად დაუდგნო ციხემან, სიმაგრით თუმცა სალებდა,
მას ქერუმთაგან ნასწავლმან, საქმეს მე მაბრალებდა.

243.

შჳლი ეთხოვნა მომეცო, გავზრდიო შენებრ სათუთად,
სიტკბოთ და სიყჳარულითა, არ მჟავედ ვითარ ჴარ-თუთად,
მოიწივოს და მალ მოგცემ, ასპარეზ-შიგან საბურთად,
მესროლა მწარე სიტყჳანი, წინ უჯე სროლად ვით ბუროსად.

244.

ვიცოდი არას-ფერითა, დაშლიდა-აღარ მოსლჳსა,
რაც ჰქმნა ეს სწადდა საქმნელად, ტყუოდა სხჳსაგან წასლჳსა,
მირჩევდენ შჳლის მიცემას, ჩემთჳს მზის შექთა დასლჳსა,
შეხჳეწნას დედის გაგზავნას, უთუოდ მის წინ მისლჳსა.

245.

მივაგებე დედა-ჩემი, ალექსანდრე თან წაჰგჳარა,
ეს ცოტაა არ მინდაო, დაუწუნა რა მიჰგჳარა,
აწ უფროსი უნდა მივჰსცე, საქმე ასრე მამიგჳარა,
ეს ჰსწადიან ამომწყჳტოს, თავ-შჳლიან გჳარის-გჳარა.

246.

ეთქჳა თუ ასე ცოტასა, რას ვაქნევ არ ვარ ძიმაო,
რა გჳარათ მე გაგიზარდო, ვითამც ვჰყოფილ-ვარ ბიმაო,
გულში სხჳა უმეს ენითა, მან ჭლიავჯ გაქინმაო,
მწარესაც ტკბილად იტყოდა, ბადენი დამიხინმაო.

247.

მერმე კაცი მომივიდა, მათის საფიცრით მტკიცითა,
ერთი ღმერთი და მეორე, ჩჳენ ფეღამბარი ვიცითა,
აქაც მუოფვი და უოველგან, ქჳეყნად და კჳალად ვიცითა,
თუ ლევან მომცე ეს მოგცე, ეს დამიჯერე ფიცითა.

248.

დედა-ჩემს შემოეთჳალა, კჳლავცა მინახავს ესეო,
წამოსლჳა ავად ვირჩივე, მოვიმკე დანათესეო,
უწინ რომ მაპატივებდა, არ-არის მის მოწესეო,
რას ჰქჳან ებეც არ მოსცე, თჳთ არის უკეთ ესეო.

249.

ვიცოდი უსაცილობით, რაც იმას ჰსწადდა საქმნელად,
მასრულებს ამოსწყჳტად,ამოდ,წყნარად და ნელ-ნელად,
მაშინ თამამად წახდენა, მას ჰქონდა გულ-გასამნელად,
ორთავე თჳალთა სინათლე, უნდა შემექმნას მე ბნელად.

250.

უთხარ კახნო დამეხსენით, თქჳენი რჩევა არ ივარგისა,
რა ამასაც გამომართმევს, ჩჳენ გავასწრებთ ვეღარ ბარგსა,
შემოგჳტევს მასვე წამსა, სრულ წამოსცლის მისსა დარგსა,
ლევანისა და ალექსანდრეს, რად მივარგავდ ორსავ კარგსა.

251.

გარდაიცჳს თავს სახელი, კახთ სულ ასე დაიჟინეს,
ქჳყნისა და თავისათჳს, რათა არ დასთმო თქჳა ეს ვინეს,
მერმე კიდევ უარი ვჰსთქჳ, გამოჩენით მათ იწყინეს,
გამომართჳს გაუგზავნეს, გაზავხული მომიყინეს.

252.

ორივ შჳლი გამომართჳს, მერმე მეც ხომ დამიბარა,
თუ მეც მასთან მივსრულ-ვიყავ, ჩემ-წილ აქოდა დამიბარა,
რა არ მიველ შემოვიდა, ბარი მთა-ჭყო მთა მიბარა,
სულ კახეთი ამიოხრა, სამირკჳლიც დამაბარა.

253.

დამიჟინეს მეც ზოგ-ზოგმა, თუ არ მიხჳალ თემი წახდა,
შიში ათქმევს უთქმელს საქმეს,თჳარ გუნებას ვინ ვერ ჩახდა,
თუ მეც მასთან მივსულ-ვიყავ, კიდევ უფრო არ გაოხრდა,
აგჳრის შიგნით საქმე, ღჳთის-რისხჳთა ასრე მოხდა.

254.

მაშინდელი საქმეები, არ იმბობის სრულად-წჳლილად,
ასრე განზობ სრულ ნაკლულად, ვითომ იყო რამე ჩრდილად;
წყნარა-წყნარა მოგჳცასლა, იგი სადმე, სიტყჳა რბილად,
ვინემ მართლა არ მოვიდა,მოსლჳა ჰქონდათ ზოგს საცილად.

255.

აწ მგზბის ქს გეგონოსთა, მაშინ ვერას ვერ შევძლებდი,
ქჳწყანასა დანდობილსა, არც-სულ ასრე ავაკლებდი,
ჯავს გავრჯიდი სასიკჳდილოდ, ზოგს მასაც რას დავა-
კლებდი,
დაგჳამშჳდა ტკბილის-სიტყჳთ, ჯებირს არსად არ ვა-
კლებდი.

256.

რა შევიტყე მართლა მოსლჳა, სხჳა ვეღარას გავაწყევით,
მეკუზნიდამ გადმა მთამდინ, სულ ჯებირი წავავლევით,
გავსჯებირეთ ორს მთას-შუა, უკან რაზმი დავაწყევით,
რა შეიგნა მოკჳაშურა, ვითა შმაგი მოვაწყევით.

257.

ზოგი კიდევ მისლჳას მირჩევს, და ზოგ-ზოგნი არჩევნ
შებმას,
სჯულისათჳს სისხლთა დაღჳრას, კჳლად საომრად
კრმლის შებმას,
ასე მოაქჳს რჩევაშიგა, ერთმანეთის სიტყჳს აბმას,
ომი ვეღარ გაუმართეთ, რა ლამოდეს ჩემს იქ დაბმას.

258.

ვინც ან ღმერთი შეიყჳარა, და ანუ მე მიერთგულა,
წამომყჳეს და წამოვედით, ჯებირს კარი დავეგულა,
ვინც აქ დარჩა სიავ-კაცით, ზოგნი ავად-დანერგულა,
ამოწყჳტეს დაატყჳევეს, დარჩნენ დამწჳარ-დადაგულა.

აქა ქალაქთს ჯარის გასჳევა, მეფის წინ დახუედრა და მისი გამარჯუება.

259.

რა შეიტყო ჩუენი წასლუა, ჯარი ქალეთს გარდგუაგება,
მივედით და წინ დაგუხუდეს, რაც მათ უნდა არ ეგება,
მივახლოვდით შემოგუებნეს, ჩუენიც წინა მიეგება,
დავამსხჳრივეთ ზედ შუბები, მერმე მათიც მათ ეგება.

260.

უზიანოდ შევანანეთ, წინ დასხდომა მერმე ხლტომა,
წავიქციეთ წინ მეოტნი, შევიქმნენით კლდეთა ხლდომა,
თუ კაცი მხნედ დაუხუდებათ, აგრე იცის მათმან ტომმა,
პირუელ ესრე გაგუემარჯუა, მახალის ამა ომმა.

აქა მეფის ლუარსაბის და ქართჳელთ-დარბაზისელთ, მეფის თეიმურაზის და კახთ-დარბაზისელთ მე-ყრა მუხრანს, თავისა და ქჳეყნის საქმის რჩევა თჳთოეულისა.

261.

გავკლეთ ერწო და არაგვ, შევეყარეთ მუხრანს მეფეს,
მომილოცა გამარჯჳება, მე მუნ მათსა სისხლსა მჩქეფეს,
კარგს დროს დრო რამ ავი მეხჳდა, ჩჳენ ორთავე ვარდთა მკრეფეს,
მერმე მითხრა სიცილითა, არ უჯობდა შენსა სეფეს.

262.

მიბრძანა თუ როგორ დახჳდი, მცირეს სტუმარს უცებ მოსულს,
პურადობას იჩემებდი, არ უჭერდი სტუმარს სულს,
მხიარულად დახჳდებოდი, აწ გემებენ სადღაც წასულს,
პურად კარგს და გულად-უხჳს, ახლა გხედავ შენ და-ნასულს.

263.

მოვახსენე შენც ძეწჳწვა, გაგიჩნდებს ვით დაჱხჳდები,
თუ შენც მაშინ ლხინს აჩჳენებ, ჩემგან უფრო გაუ-ხჳდები,
ან გაიცდი თჳალით წინა, ანუ ჴელში მოუხჳდები,
ნუ დამცინი შენმან-მზემან, ჱგავს რამ მარტო მე არ ვჱხდები.

264.

შეგჳჱქმნა აქაც ორჩევა და, ერთად რამ შეურილობანი,
გაგრძელდა ორჩევა ქართული, სიტყჳა და ვეზირობანი,
ჩჳჱნ ყმათა მის-თანა ყოფა, და ჩჳჱნ მეფეთ მით
მცრობანი,
უცოდნი გჳაბრალებდიან, გჳზრახეს მარტ შემცრობანი.

265.

ქართჳჱლთა დიდებულთაგან, უფროსი ამას ჰყოლოდა,
არაგჳსა და თჳთ ქსნისა, ერისთჳჱბი მას ჰყოლოდა,
ანდუყაფარ და ფეშანგი, აღათანგც ამას ჰყოლოდა,
ნოდარ და დავით კახი ჰყჳა, მე ვიღა წამამყოლოდა.

266.

მორავიდოდა ესენი, უწინვე მასთან წავიდენ,
ჩემნი ყმანი რომ ვახსენე, ჩემგან გაგზავნით ჩავიდენ,
ვჰსთქუ სიკჳდილს ვერ ავსცილდები, სისხლს-ვადენ ანუ
დავიდენ,
კორცი აქ მიწად გარდიქცეს, სულები ზეცასავიდეს.

267.

ვერც-არა ერთად გავაწყეთ, რადგან ეს სწადდა ღმერთსაო,
სხჳაზედ რაზედამც ვიქადო, ვაბრალებთ ერთი-ერთსაო,
ვეღარც სად ქართლში დავდეგით, და ვეღარც ქჳჱ ერეთ-
საო,
ავიყარენით ვიარეთ, მივჰმართეთ იმერეთსაო.

268.

გარდავვლეთ ლიხა მივედით, ადგილსა იმერელთასა,
გიორგი-მეფე მობრძანდა, სამყოფსა წერეთელთასა,
წინ მოგჳჱგება გჳჱსალმა, საჩხერეს ადგილს ველთასა,
დავივანენით სამყოფსა, მუნ მყოფთა კარგთა ქჳჱლთასა.

269.

შიგჯშპტიჟა ქუთაისს, მენ ტახტს მეოვეთ დგმულებსა,
გჯალერსებდა ვით მკლთა გჩანაცჩალებდა სულებსა,
შეჭირჩცბისა სევდასა, უკუ-გჩურის შუნ მისულებსა,
მათ-თანა მეოთნი მეფენი, ვჩგჩანდით მარტო უფლის-
წულებსა.

აქა შაჭაბაზიასაგან გორს მოსჳლა და მეფეს გიორ-
გისთან მოციქულობა.

270.

მყის-ვე შაჭაბაზ თან მოჰყუჳა, მოვიდა დადგა შიგ გორსა,
მეფეს დაუწყო ელჩს გზავნა; ნუ შეიხიზნავ შენ გორსა,
რაც გინდა ფიცით აღგითქჳამ, თუ კელთა მომცემ მაგ-
ორსა,
თჳალ-მარგარიტსაც ესეთსა, მოედანს ბურთებრ იგორსა.

271.

თუ არ მომცემ უსაცილოდ, მთის-მარს მოვკლავ სომანეთსა,
კარგი თურმე არ გნდომია, მაშ შევებნეთ ყრამანეთსა,
სხჳა რაზმი რომ აქავ იდგეს, წინა მოვა სავანეთსა,
მანდ-კი ვეღარ დამიდგები, წაბრძანდები თუ სუანეთსა.

272.

მეფეს ასმოდა მუნ მჯდომსა, ჯანდარს-ქუეშ სდგმოდა
სულია,
გაჭკურდებოდა ამაზედ, ელჩი რა მოსასმენელია,
კაცი გაგზავნა მობრძანდენ, დადიან გურიელია,
უმათოდ ელჩს არ შექიყრი, მათცა ჰსცნან რა ყრიელია.

273.

მოვიდნენ ბებუთს სამნივე, მეფენიც მუნვე ჩავქდით,
გიორგი-მეფე მაშინდა, მდიდარი იყო სჳფ ბედით,
სხჳას მისებრ მჯდომსა კელმწიფეს, ტყუის ჯინ აქებს
გაჰქდვით,
ჯავრი კაშ ჭერმავდა ცეცხლს-ჭყრიდა, ჩუენ მოგჯდებდა
აბედით.

274.

მერმე ელჩი მოიყვანეს, ჩჳჱნ რამ საქმე ეს მოგჳხდა,
მოახსენა რაც იცოდა, მას სიტყჳს-თქმა არ მოუხდა,
უბრძანა თუ ვაჲო რა ჰსთქჳ, მეფეს აგრე ვინ მოუხდა,
ნუღარ იტყჳ მაგ სიტყჳასა, ჯავრით გული შემიწუხდა.

275.

ვით მოჰხდება ეგე აგრე, ძმა და შჳლი ადჳლ გავჰსცე,
ლიხს-იქით საქართუჱლო, ავიღო და პირქუჱ დავჰსცე,
ჴელ-შეკრული არათუმცა, ამა ყმასა მე ვითა ვჰსცე,
სმა ლხინი და გახარება, უამათოდ მე თავსა ვჰსცე.

276.

არჩიეს მეფემ დაასკჳნა, თავის ელჩისა გაგზავნა,
აფხაზთა კათოლიკოსი, ვინ ანგელოზსა ეგჳანა,
სხჳა აბაშიძე ლევანცა, თჳთ სიტყჳთ მას შეეგჳანა,
დილას გათენდა ელჩიცა, მოიხმეს სადა ევანა.

277.

აბარებდა მოახსენე, ჴელმწიფესა მას მაღალსა,
სამართალი მეფეთ ეს არის, შენახუჱწს კაცს შეიწყალსა,
თუ რამ ამათ დააშავეს, ვჰხედავთ თავსა დანაბრალსა,
რისხჳა დიდი გარდაჰხდის, გეხუჱწები აწ წამალსა.

278.

თჳთ იცით დიდო ჴელმწიფევ, ჩჳჱნცა კაცნი ვართ სეფენი,
გჳარი გჳაქჳს დავითიანი, მას ჰმონდა ყოვლა მეფენი,
აწ უპატიოდ ნუ გაგჳხდით, ხჳჱწნით ვართ შემომყეფენი,
უბომე ორთავ თავისი, უხჲო ჰქმენ სიიეფენი.

279.

აწ ეს შეიმღჳჱნ ფეშქაშად, ხჳჱწნა და მუდარებანი,
შენ ბრძენო კარგად ისმინე, ეს ჩემი უმეცრებანი,
უხჳად წყალობა მოჰფინე, ჴმა-ტკბილი ვითა ებანი,
პატივი დამდევ წაბრძანდი, ამათ ჰქმნან მანდეთ რებანი.

280.

დაასრულა ესე სიტყჳა, ფეშქაშიცა გაუგზავნა,
ესე არის ჩემი ხჳეწნა, ნუღარ-არის ძალით თხოვა,
სულ არც რბილი შეუთჳალა, ნება მალსა დააგჳანა,
ესეც ჭკადრეთ ბოლოს სიტყჳა, არ იქმნების მალად შოვნა.

281.

მერმე უთხრა კათოლიკოზს, ვის ეწოდა მალაქია,
მაღი სიტყჳა გაუსინჯე, ბრძენი ხარ და მალაქია,
ამათს ბაღსა ვარდი დაჭრგე, მოგესწრების მალაქია,
ჭკადრე თუ-კი არ უბოძებ, ოხრად გახდეს ქალაქია.

282.

რა მივიდა კარგად დახჳდა, კათოლიკოზს და ელჩებსა,
აწ უყურეთ მას გრძნეულსა, ვით მოიხმარს ხალათებსა,
უალერსებს ტკბილად რასმე, სიტყჳას ეტყჳს საამებსა,
ძალის საქმე გარდასწყჳტა, კელსა მიჭყოვს ილათებსა.

283.

მოახსენეს ელჩთა მათი, და თჳთონ არს ამის მთქმელი,
ლუარსაბის სამდურავსა, კათოლიკოზო ნუ მელი,
ჩემი არის თეიმურაზ მჳწლათგან-ვე სისხლის-მსმელი,
პაპამ მისმა ქალი მომცა, რად წამართო რად მყო მელი.

284.

რადგან ორნივ ადარ მომცა, მაშ ლუარსაბს შემარიგოს,
თეიმურაზს ნუ აჭყჳწბა, მეფემ ასრე დაარიგოს,
ფიცი მივჴსცე საშინელი, გრძლად რაც სიტყჳა წაარიგოს,
ქართლიც მივჴსცე სხჳა წყალობაც, შევანატრო აწ არიგოს.

285.

აევსო საჩუქარითა, ბერი და ერი ორივე,
ჭოი ბოროტო მაცთურო, სიმართლეს ვითა მორივე,
გული დამგჳრიმე საკჳდავად, ლახჳარი ესრეთ მორივე,
ამხანაგსა და მოყჳარეს, რათა მერი, ხნით კართ სწორივე.

286.

ქსენი გამოისტუმრა, და აწ მიიხმო შადიმან,
ბარათა-შჳლი სუფრაჯი, უბრძანა შიგნით შადი მან,
მეფე სახელით ახსენა, ცრემლსად ადინა შადიმან,
ეს რა ჰქმნა ჩემმა ლუარსაბ, აღარ მახსენა შადიმან.

287.

უბრძანა მისო გამზრდელო, რა ყუავ ლუარსაბ-ხანო,
რად საყოლე კაწ-მეფეს, ჭირუტყუპო დასაზრახანო,
ჩემი სევ გული მისიდა, ჩემის გულისა საივხანო,
უბეს აგივსებ ცრემლითა, სამუდმოდ არ ხან-და-ხანო.

288.

აწ ამათ წაჰყევ ამ ფიცით, მაჰმადამც მამითხრიაო,
დორიმცა მისსა საფლავს, ჩამიკლავს ჩამიყრიაო,
ის საკელმწიფოს წამართმევს, და ჭკუაზედ გადამრიაო,
სიტყუჳთ ეს უთხრა დაწერა, რაყამში განამრიაო.

289.

მალ-მისლუასა აბარებდა, სხუასაც მივჰსცემ ქართლს ვინ
უჭერს,
პაპის მისის შჳლის-შჳლი, აჰყოლია რად ის ჩემს
მტერს,
მას არ ახსოვს სჳმონ მეფემ, თუ რა უყო ურუმთა ერს,
არა ჰსჯერა ამ საფიცარს, ამან მივჰსცემ რას ის და-
ჰსწერს.

290.

ერთი ხოჯა მუსაიბი, შანად ჭმალი მურასხობდა,
ამათ-თანვე გამოგზავნა, ერთმანეთთან ამგზავრობდა,
არა ჰგუახდა გათავებას, ძლოდამ ჰსჩანს რასაობდა,
მანცა წიგნი მიუწერა, ვინ ყაენსა ბაასობდა.

291.

რა ეგონა შადიმანსა, კაცი თუ ცრემლს ტყუილ დაჰღვრის,
წამოვიდნენ მხიარულნი, თან სულ იწყეს მათ წანამძღჳრის,
გარდმოვიდნენ იმერეთსა, დამკვიდრებელნი ქართლის სამზ-
ღჳრის,
ბოლოდამ ჰსცნა ცრემლის წჳრთა, ჯავრით თურე მან
ამღჳრიის.

292.

რა მოვიდნენ ეს ბრძანება, ჩჳენ და მეფეს მოგჳტანეს,
ლუარსაბის შეწყნარებას, სათუო არ დაატანეს,
მალ დაჰპირდა ესეც წასჳლას, სხჳა სიტყჳა არ გაატანეს,
მეფე უშლის ასე მალზედ, მართ კელებიც წაატანეს.

293.

არ დაიშალა მან წასჳლა, მეფის თქმით და ჩემის
ჭკჳთა,
ამ სათვიცარს ვით არ ვენდო, შეუშინდე ნეტარ ვითა,
ანუ ქართლი აღჴაოხრო, დაკოცით და მერმე წჳთა,
გჳთხრა წავალ უსაცილოდ, აბა თქჳჱნ-ვი აქ სჳთა.

294.

ლუარსაბ მეფეს ადამის, ერთი არ ჰსჯობდა ნაყოფი,
თჳალად და ტანად უცხო რამ, მართ მზისა გამონაყოფი,
უხჳ ზნე სრული მამაცი, ლახჳრულებრ მოფერთა ნაყოფი,
მაგრამ მას დაუინებაზედ, დაედგა მისი სამყოფი.

295.

მეფე უშლიდა ამ ამბავს, ვრცელად თქმა გამოვიდება,
გული განფიცხნა მაშინ ჰყო, ცეცხლმან ნავთ გამოვიდების,
არ დაიშალა ავად ჰქმნა, ჩჳენგან მან გამოვიდება,
უთხრა ჩემს ვრისალის უმისოდ, აწ ვით გაამოვიდება.

296.

რადას ვუშჳცლი ამ ამბავს, ხქმით რა გულსა უსვვდა,
მტერზედან ეხმარებოდა, მის-წილად თავსა უსვვდა,
თჳთ ლევან-დადიანიცა, წაუსჳლელობას ურჩევდა,
და ამლია და მოუჳრობა, მაგრამ ის კიდევ ურჩევდა.

297.

რა ბრალია ბევრს კარგ-შიგან, მცირე ავი გაერიოს,
ანუ სჯულის სიმტკიცესა, წჳალება რამ შეერიოს,
ან რიტორებრ ლექსის-მთქმელსა, ზოგან სიტყჳა აერიოს,
ზჳაობა და ამაყობა, სხჳას სიკეთეს მოერიოს.

298.

სიჩქარით კარგად ნაქმნარი, საქმე არ მოვა ბოლოსა,
ვინც აუჩქარდეს სოფელსა, აკომლდეს აებოლოსა,
დაჟინებისა მოუჳასი, დაემხოს დაებოლოსა,
ჰსჯობს ავის საქმის შემცოდეს, კარგსა არ დაებრკოლოსა.

299.

ზოგი სხჳა-რამ იმწჳტინა, მისგან იყო არ საწყენი,
მეფე გჳჯდა შუაშიგან, არ-ზეზედ წამონაყენი,
ერთ-ხან ქუდი მოიხადა, იქმნა ამით მონაწყენი,
თქჳა თუ არის ამჴსნავი, რად შემექმნა ეს ყეენი.

300.

მოვახსენე თავის წინა, არ ჰსჯობს ეგრე გაიზიდო,
თუ სოფელი შენ არ მოგუჳცს, შენ გიხმს მის-კენ მიიზიდო,
აქამდის თუ მაღლოდი, ახლა ცოტა დაიზიდო,
გულიცგქონდეს ფოლადისა, ზოგ-ჯერ მშჳლდებრ მოიზიდო.

301.

რა მომხდარა მაგისთანა, სათუოში თავი იგდო,
შენ წახდე და საბოლოოდ, საზრახისი რამ დაიგდო,
დამიჯერე ეგრე ვიჯობს, გულიდამე გარდაიგდო,
ეგ-ზომ მტერნი შენნი მოჰსწყუდეს, ადრე შენ დრო შემო-
იგდო.

302.

შიხის-შჯლთ და ყიზილბაშთა, ამბავი თუ შენ არ იცი,
მამისმინე უჰწლასა გითხრობ, თუ როგორ შესწამსთ ამათ ფიცი,
მეწლად უთქჳამსთ მათ ანჯერმად, სიტყუჳა ესე დამამტკიცი,
რითაც მტერი მოატყუო, ნუ უზოგავ და მე ვიცი.

303.

ამას ბრძანებ თუ არ მივალ, ქართლს-კახეთებრ წაახდენენ;
შენის მისჳლით რომ წახდების, თუ არ მიხჳალ არ მაგ-
დენენ,
რას წამს მიხჳალ თან წაგიყჳანს, თჳალთა ცრემლის და-
გადენენ,
ქრისტეანეთ მეფეთა წილ, კჳლა ხანებსა დაადგენენ.

304.

თუ შენს მეტი სხჳა პატრონი, ქართლს რამ უჩნდეს
შენიანი,
ანუ ძმა-გუჳწს ანუ შჳლი, გიყჳაოდეს შენიანი,
არ დაგიმლი მაშინ წადი, სიტყუჳა მჭევრი ენიანი,
არა გუაჳსრა თავის მეტი, სოფლია სენიანი.

305.

მართ ეგრე-ვე მე გამხადა, რაცა მყჳანდა ჴელთა მივე,
მაგრამ არად შემიწყნარა, რა-ზომ მისკენ მივიზივე,
დავრჩომილ-ვართ ორნივ მარტო, აწ შენც მის-კენ გაი-
წივე,
თუ ეგ კარგად მოგივიდეს, მემც მოვჰკჳდე და შენ-კი
მივე.

306.

აწ მეფემან დადიანი, გურიელიც თან იახლა,
მოვიდეს და დაუშალეს, მის წინ იწყეს თავის-დახლა,
ბევრ-ჯერ უწინც მოგახსენე, დაგჯჯერე მოდი ახლა,
ნუ წახჳალ და მოგჴმარე, მან მეწლივე განაახლა.

307.

მან მადლი ჰკადრა მეფესა, წყალობისაგან მართებული,
ღმერთმან ადიდოს ვით დიდ-არს, სუფ თქუენი დოვლა-თებული,
ვით თქუენს სიკეთეს შეჰფერობს, ეგრეთ ხარ მასზედ მმებული,
მაგრამ რადა ჰქმნა მას-უკან, ქართლი ჩუონ ცეცხლ-მოდებული.

308.

ქალაც უთხრეს ცუდი მიზეზით, ა იწყე დაჟინებული,
შენს იქით ქართლსა რას კელს-ჰყრი, რა დარჩე სახლ-დავსებული,
მიხვდე მოგკლას ან ტყუჱ გყოს, შენ იქმნე დანადულებული,
ნუ წახუალ ეს ჰსჯობს კრძალი ჰქრათ, განუსმოთ ვა-გლახებული.

309.

რას უშუელდა გრძლად სიტყუა თქმა, თუ კაცი არ გაიგონებს,
კაცი ბრძენი გონიერი, ურთის წურთნითაც შეიგონებს,
დანიშნების მოლზედ მჯდომი, მასვე მისსა წაიგონებს,
დასჯერდების მისს რჩევასა, სხუას აღარას მოიგონებს.

310.

დაშლის სიტყუა არ ისმინა, ვერ დაამშვრეს დგომის ღონე,
წამოვიდა თან გამოჰყუა, მეფე მისი წინა-მძღონე,
ქალავ-და ჰკადრეს არ გვსმინე, შენის წასლვით დაგუადონე,
რადგან წასუალ გაემშუენე, თავი კარგა მოაწონე.

311.

გამოგუესალმა წავიდა, დაგუიარნა დუმლ-დავრდილნი,
ვინცა გჯვრეტდეს იტყოდეს, ერთად ყოვილან და-ზრდილნი,
მზე გარდეწარა გორს-სამე; ქუეყანა იქმნეს აჩრდილნი,
ეგრეთ დაბნელდა ჩემთვის დღე, ბანდად ჩნდეს დილასადილნი

312.

მივიდა გორს დგა ყაენი, შექმნეს თურ მეყრის ცილება,
არ მივეგებოთ ცხენითა, ვით შევჰქმნათ ცივთა თბილება,
მივეგებოთ და არ ჰხამდეს, მით საქმე დაიჩრდილება,
ეს თურმე გამოარჩიეს, იქეს მათ მათი ზრდილება.

313.

დილას შეესხდეთ სამინდჳროთ, და მიზეზი ნადირობის,
ისრე ცხენზედ შევიყაროთ, ჯარი შესხდეს ერთ-პირობის,
განით სითმე მოვიყუჳანოთ, ვითამ ზედა მოგჳჱსწრობის,
მიგებებად ჩამოგჳართჳამს, და სხჳათაცა არა რობის.

314.

შეიყარა ამ წესითა, მიიჩნივა თავის სწორად,
პირჳჱლ უჳჱლა გაიგონა, სიტყჳა მისი არ-ჭეუო ორად,
მუსიივითა ლხინობდიან, არ დაისჳს მისგან შორად,
თურმე უნდა სასიკჳდილოდ, დასტურობით არ-თუ ჯორად.

315.

დაჭყჳჱს ხანი გორს მტირედი, ლხინითა და დიდის შჳჱ-
ბით,
მგოსნებით და მუშაითით, მწუხრი ჰქმნიან გათენებით,
ალერსით და ტკბილის-სიტყჳთ, თჳერობით და პირის-
თნებით,
რაც იამის აამებდის, ჴელს-უწყობდის მოსჳჱნებით.

316.

ვეჳჱ თუ თავი შეგაწყინე, გრძლად სიტყჳსა მოხსე-
ნებით,
აიყარა გორიდამე, მეფეც მიჰყავს ვითამც ნებით,
აწ შეექმნა მწუხარება, ბევრ-გზის ჭირი ცხროთ და სნებით,
უთხრა ქალაქს დაგაგდებო, მტერთა შენთა მოყივნებით.

317.

ქალაქითგანც წაიტანა, ყარაის ხანადიროთ,
ყოჩრა არმით ვმნადირობთ, მნათობით წინა თავთ ვჭვმიროთ,
რაც ვისურვილოთ ჩვენ ორთავე, ვარდ ხადავედ მკეცნი
ვჭვმიროთ,
ნუღარ მოვშლით ამ რჩევასა, ესე ასე დავაპიროთ.

318.

აიყარნეს და წავიდეს, მათ შექმნეს მინდორობანი,
გარს შემოერტყნენ ველებსა, ნადირთა უწყეს ჭსწრობანი,
თითონ შუაზედ დავარდეს, სროლით ჰქმნეს მკლავთა
შრობანი,
ქალნი ციხითგან ჭჳრიტეს, ვინც ჰქმნის ისრისა სრო-
ბანი.

319.

მათ მოსწყლოდათ ჯოგი მრავლად, და ესროდნათ ქალთა
ჭჳრეტით,
უცხოდ თურმე მოიწონეს, შექმნილ-იყჳნენ ცნობა-რეტით,
მჭუმსგავსა როსტენ მეფეს, ენადირა რომ სპასპეტით,
იმ ერთის დღის მეფის მოკლულს, დასთჳლიდიან ოც-
ზედ კვნტით.

320.

უბრძანა თუ მეფე გხედავ, ნანადირევს კარგს დამალით,
ამ მინდჳრისას შენ შექცევა, დაგავიწყო ყარაბაღით,
იქამდისცა თან მიახელ, იქ ვისროლოთ კჳლავ ნასადით,
რა ეს ესმა ჩემი სიტყჳა, მოავონდა გულსა ლადით,

321.

წაიყჳანა დაბრუნება, აღარ მოხდა გამოშჳრებით,
აწ აშრაფი მაზანდარა, უქო ლხინზედ ისხდეს შჳრებით,
ისიც ნახე ვინადიროთ, იქ ვისროლოთ კჳლავ დავჳებით,
ამან სულ-თქჳნა მე არ მინდა, მაგრამ ვიცი არ მეშჳრებით.

322.

ყარაბაღით ჩუჱნ წატანა, გავიგონეთ დასტურობით,
ჰსთქჳა თუ მივჴრს იმერეთსა, რა მიჭირდა მე სტუმრობით,
ღმერთმან იცის კარგად მითხრეს, ზოგთ ჭკუით-და ზოგთ მოყჳრობით,
მაგრამ რა ვჰქმნა წასულს საქმეს, ახლა რითღა მოვესწრობით.

323.

მიიყჳანა მაზანდარას, მუნ შეიტყო მან სიკჳდილი,
უთხრა თურე თჳსთა ყმათა, სიკეთითა ვით ვარ ზრდილი,
მომიტირეთ ცოცხალი-ვე, მერე გიჩნდესთ ჩემი ჩრდილი.
გამიცუდდა ყოვლი კარგი, და მალისა მე ქადილი.

324.

დაჯდა ყმათა მიუტირეს, გამზრდელთა და ვინ ჰყუა ზრდილი.
ყოვლთ ჴელმწიფეთ უმჯობესო, ადგჳსრულე ჩუჱნ წადილი,
უბინდოვ და მოწმენდილო, ვით ჰღამდები მოღანდილი,
ოდეს მოჰსრენ თათარხანი, ჴელთ-მახჳლი გქონდა წჳდილი.

325.

ეტირათ ვით მართებოდათ, უქეს საქებსა საქები,
მშჳდო მდაბალო მოწყალეო, კჳლავ უჩრს გალევდა ბაქები,
ვინ შენი მჭურეტი ეტყოდა, მჭურეტთა ნუ მისჳალ აქები,
ყოვლის სიკეთის უკლებო, რადა ვჰსთქჳათ იქი-აქები.

326.

ეზიარა გარდასწყჳტა, სიცოცხლისა მან იმედი,
ემდუროდა დაჟინებას, დაიწყევლა ჭჳრ და ბედი,
ვინ მირჩიეთ აქ წამოსლჳა, რა მწუჱ ავად დაიყბედი,
ყმათ გაჰყარეს მზეც ჩავიდა, დააჩრდილა აქეთ ბედი.

327.

რაცა ჰსწადდა გაათავა, მტერობისა მან დაასრო,
კორცი ჩჳმნი მამღრივ ჭამა, და სისხლიცა ხარბადასო,
მავრა ქართლს და კახეთშია, საპატრონოდ ვერ-ვინ დასო,
ემდურობდეს მას ქალები, ვინ ნესტან-ჯან მაშინდასო.

აქა ნოდარ ჯორჯაძისაგან და დავით ასლანის-შჳლისაგან პატრონის მეფის თეიმურაზის კახეთს ჩაყჳანა.

328.

კახეთი ნოდარს და დავითს, მან მიაბარა სრულობით,
მაგრამ მათ მისი ბრძანებას, მალ გაუცუდეს წბილობით,
მესამეს თთჳესა ორთავე, მოგზავნეს კაცი ყრილობით,
მობრძანდი შენსავ ტახტზედა, მონა ვართ გჳარის-შჳ-
ლობით.

329.

ა მოვიდნენ მოციქულნი, და ეს სიტყჳა გაგჳაგონეს,
ოგთა შექმნეს სიხარული, ზოგთ იჭჳ რამ მოიგონეს,
რამ მე ვჰსთქჳ ყმათა ჩემთა, რად არ თავი დამამონეს,
აწ მეფეც მოახსენეს, მათნი თქმულნი მოაწონეს.

330.

მეფემ ბრძანა კარგად ქმნილა, ამ ამბისა ასე მოსჳლა,
მეცა თანა წამოგჳყვები, ადრე გჳმართებს იქითა-სჳლა,
დადიანსა და გურიელს, მალ-ვაცნობოთ ჩჳენი წასჳლა,
ორთავ კაცი გაუგზავნე, არ ვაცალე მზისა დასჳლა.

331.

იგინიცა მალ მობრძანდენ, მათის ჯარით დაკაზმულნი,
თავს შეეღჳათ ჩჳენი სიტყჳა, ვერა ვნახეთ ხან დაზმულნი,
შეიყვარნეს მუნ სიმრავლე, დიდებული ცხენთა სმულნი,
აღარ ვჰპოვნეთ წამოველით, ვეღარც გჳნახეს მუნდა სმულნი,

332.

გარდმოვიარეთ ლიხის-მთა, ქართლისა სიგრძე ჩავლევით,
მივისწრაფოდით მალ მისლჳასა,არ ხან-ყოვნებით მალევით,
ყოვლგნით გაისმა მოსჳლის კმა, მე მაშინ დავიმალევით,
დიდს-ხანს ყოველი ორ-გული, შიშითა მეჳანდა გალევით.

333.

თჳთ არაგჳამდის თან მომყჳჱს, მეფე და სხჳას ბატონები
იგინიც იქით გაბრუნდეს, მათიც ჯარ მონატანები,
არაგჳს გამოველ გამომყჳა, მაჩია სარო-ტანები,
მითხრა-თუ მათ ზჳედ მეტი ვჭქმენ, მე არაგჳს გამომყჳანები.

334.

რა კახეთს ჩავედ დამიხჳდა, დამწჳარი გამჭჳჱრებული,
ვჭჳრობდი გუნებაშიგან, რად მექმნა ამტერებული;
რაც მორჩომოდე სმოვიდნენ, მტირალნი დამტერებული,
ვერას ვარგებდით თჳარემდა, ვიყჳჱნით გაგლახებული.

335.

რაცა ხამდა გარიგება, მაშინ ქჳჱყნის ჩჳჱნისა,
გავარიგე და გათავდა, მენ სიმამიდი წყებისა,
აწ არაგჳს ომზედა, კმარებს გჳხამს ენისა,
მრავალთ ყიზილბაშთ გაწყჳჱტა, სისხლი რუდ მიმდენისა.

აქ: ერან-კელმწიფის ყაენისაგან მეფის თეიმურაზის იმერეთიდამ გადმოსვლის და კახეთს ჩასულის ცნობა; ალი-ყული-ხან და სრულ ყიზილბაშთ გამოგზავნა და არაგვზედ წინ დადევნება; შებმა და დიდი ომის გარდახდა, და ბოლოს ბატონის თეიმურაზის გამარჯვება.

336.

ესმა შაჰაბაზს მეფ ჩასვლა, გაწყრისხდა უსამართლობით,
ალი-ყული-ხან მოიხმო, დიდას ართურე მოჰრალობით,
კვლავ თეიმურაზ მოსულა, უყურე თავის მალობით,
სრულ ყიზილბაშთა გაჰხლებ, თარე მეხლთა-მალობით.

337.

მიდი და წინ გარდაუდეგ, შეუკარ კარგად გზებია,
იმერეთს არ გარდაგასწრას, დაიცევ ანუ გზებია,
მეც მოვალ ადრე შევიმყრობთ, ცეცხლით ვწყოთ ხნაგზებია,
მის ყმას მას-უკან სათქმელი, რადა აქვს მიზეზებია.

338.

გამოგზავნა ერანითა, არ დააკლო ყელის მეტი,
თოფხანა და ჯაბახანა, მოემზადა მეტის-მეტი,
სხვას წამოარს ხარალსა, მოუმატა რჯანის-ვეტი,
მაგრამ ღმერთი განუწყრისხდა, არ შეწყალდა ნათლის
სჳეტი.

339.

ალი-ყული-ხან არაგჳზედ, მოვიდა დაიჳანებდა,
კარავს და ოთახს იდგემდა, სხჳსას წინ მოიგჳანებდა,
ვისიც ეგონა შევიპყრობ, ის უფრო დიდად ავნებდა,
მცირედ მაცალე გიამბობ, მისლჳას ვინ დაინანებდა.

340.

რა შევიგნეთ მათი მოსჳლა, ავემზადეთ ჩჳჱნც საომრად,
შეყრილთ მუნჳჱ მივაშურეთ, არ გავჰყავით ჯარი ორად,
ყარაული დაეყენათ, მათ ახლორე არ-თუ შორად,
მაშინდელი ჩჳჱნი სიმხნე, თუ უჳჱლა ვჰსთქჳა შენ ჰსთქჳა ჭორად.

341.

შუა-დღისას მიუხედით, მათ ცხენიდამ გარდამხდართა,
მაგრამ მაშინც ადრე იცნეს, და გაეწყჳჱნეს მარცხნივ მკართა,
ჩჳჱნ მივედით მეწინავეთ, ზედან შევჰხჳდით დიდთა ჯართა,
ქისიყელთა გაუჭირდათ, მიკჳრს ანკი ვით შეჰმართა.

342.

მიეშჳჱლნენ მემარცხნენი, ენისლელთა დროშა მალე,
კჳლავ შეიქმნა ცემა დიდი, ვეღარ ჰმოვეს მათ წამალე,
ასწავლიდეს ერთმანეთსა, მკჳდარში თავი მოწამალე,
გულნი მათნი გავაცჳლე, ჩემთა ყმათა გავასალე.

343.

შევჰსმახე თუ ჩემნო ყმანო, თავნი თქჳჱნნი ისაამეთ,
მოიგონეთ მოწამენი, თქჳჱნც ეწამეთ ისაამეთ,
არ ისმინოთ ესე სიტყჳა, მას ჟამ-შიგან მელამდამეთ,
მათ რომ შუბი ჩჳჱნთჳს ჰსწადის, ბარემ თქჳჱნი თქჳჱნვე დამეთ.

344.

მათ მიუგეს ჰე მეფეო, ნუ ეჭჳ თავი დავიზოგოთ,
ამოვსწყჳტოთ უმრავლესნი, არ წჳლილად გამოვიზოგოთ,
თუ სრულ თავს ვერ აუვედით, ღჳთით მგონი რომ გან-
კაზოგოთ,
მჴედართა მათთა მკეცნი ჰსჭამდენ, საფლავი არ განუ-
ზოგოთ.

345.

პირველ შუბი მოვიქნივე, მერმე მივჰყავ კრმალის კელი,
კრმალ-მოწჳდილი გავერივე, ვაქმნევინე ომსა კელი,
კჳლავცა ლახტი დავამსხჳრივე, ვინ ახლოს მყჳა მონაკელი,
სულ ლაშქარი გაცაჰკჳრდეს, თქჳეს არის ესე ხელი.

346.

მომეხჳვნეს ერთ-პირობით, ვითა ვეფხჳ კანჯრის-ჯოგსა,
დავჰკოცეხით ამოვჰსწყჳტეთ, არათ ჰგჳანდეს დანახოცსა,
მოლებისაც უწყალოდ ვჰკოცდით, თილისმიანნი მათსა მოგჳსა,
ამის მთქმელი მართლად უბნობს, ნურვინ ჰგონებთ ცუ-
დად ჰბორგსა.

347.

რაც გადავჰრჩა მალ გავჳექცნე, ვინ-ვის წინა გაუსწრობდა,
ჩჳენ შეგჳექმნა ცა უღრუბლოდ, მათზედ მეხი ავ-დარობდა,
გაქცეულნი წივწამურის, ღელეს ღრმასა აავსებდა,
ცხენით ზედა გარდავჯარით, ვით ვაკეზედ ეგრეთ რბევდა.

348.

ბინდამდის არდა მოვეშჳთ, ვჰკოცდით მეტად ჩჳენ უ-
წყალოდ,
არ შეგჳწყალდა ნაჯაგრებთა, რაზომ ვჰსჭრიდით მათ
საბრალოდ,
ცხენნი მათნი მუხლად-მალნი, დაუზანტდეს მათ სამალოდ,
იარაღსა გადმოჰყრიდეს, გჳთხრეს სიკჳდილს აღარ მალოდ.

349.

ნაომარია და ნადევნითა, გჳშტერობის მაშჳრალობანი,
ვის რა ენების იშოვის, ვის-განმთა ჰქონდის ცნობანი,
შური იმიეს მტერზედა, ჰქმნეს მრავლად ლაშქარსობანი,
გამარჯჳებულთა გჳხარის, რადგან არ გჳყჳეს ნდობანი.

350.

მამილოცვდეს მასხმიდეს, ქებასა არ გინებასა,
მგონი მეფე ინანდეს, ყეენი შენს გინებასა,
აწ ამას იქით მებრძოლე, ნეტარ ჰსთქჳათ ვინ შეგებასა,
ნიადაგმც გაგამარჯჳებია, ასე ნუ შეიქმ ვებასა.

351.

მას დღესა მოყმე მართალი, დამაკლდა არც-ერთი არა,
კაცთ შეანანეს მათ ლაშქართ, მოსჳლა თუ ადრე იარა,
ლამწჳართა ამოწყჳეტილთა, მათ ჯირნი გაუზიარა,
ამოსწყჳტეს და დაჰკოცეს, ვინ ზეით ვერ მოიარა.

352.

მას დღესავე გაამაყდნენ, იწყეს დიდი სეფურობა,
უსაზომოს ლხინს შეკიდნენ, მათ ჰქმნეს საამოჳრობა,
დიდ-დიდითა როქებითა, აქჳნდათ ფრიად მოსმურობა,
ჩანგთა მღერა კაცთ-სიმღერა, და ოდესმე თან ხუმრობა.

353.

უწინ მოსლჳასა ყეენისსა, თქჳ თუ ომსა ვით შევმლებ-
დით,
აქ გასინჯეთ თუ ვიკჳეხდი, ან სიტყჳასა ცუდად
ვსდებდით,
გალახულთ და ამოწყჳეტილთ, მარტო კაცთ ჰქმნეს, ვინ
სხჳა ჰკჳდებით,
ყჳელა განვკლით ამ სოფელსა, თქჳენც სახელსა ემი-
ებდით.

354.

აღივსნეს სრულად ლაშქარნი, საჭურჭლე ცხენ-აქლემითა,
მეტყოდენ შებმა კარგად ჰქმენ, ჯარითა შენ აქლემითა,
სხჳა არ ვინდ ომე მის-მეტი, სარდლის კარავი ჰემითა,
სრულ მისის გაწყობილობით, ვერ-ვინ ვერ დაეჩემითა.

355.

მიუვიდა ეს ამბავი, სადა იყო ყეენს მყოფისა,
ამოსწყჳტნა სულ ლაშქარნი, თეიმურაზ შეა-ჰყოფისა,
კრმალი ბასრი მძიმე ლახტი, უფროს მასჳლს შუბსა
ჰყოფისა,
თუ გაგზავნი სხჳას ლაშქარსა, კიდევ კრმალსა ჴელს
მიჰყოფისა.

356.

გაგულისდა წამოვიდა, მასვე წამს გულ-მეხისხლე,
თქჳა თუ ჩემთჳს მისი კორცი, ივაშლე და განა იმსხლე,
თეიმურაზ, თეიმურაზ, კახთა ჯარი აქ გაისხლე;
ჰე შაჰაბაზ გაგიჩნდება, ყიზილბაშნი ვით ისისხლე.

357.

რა მოვიდა განჯას აქეთ, გამოჰსცილდა დაგჳასხლოვდა,
ვინც შეიძლო აიყარა, წამოვიდა მეზლ-მაღოდა,
ვინც იქ დარჩეს საბრალონი, თავთა შჳლთა მათთა ჰგლოვდა,
ამოსწყჳტნა სამესისხლოდ, აჰყარა და დაბოლოვდა.

358.

კიდევ ბევრი გარდაურჩათ, თეიქარ-ხანს მიაბარა,
კჳლავ ქართლს დაუთ ხანის-შჳლი, ბაგრატი ვჰსთქჳას
აბა არა,
ორთავ ჩემის მტერობისა, საქმე ამან დაუბარა,
თჳთ გაბრუნდა თავის გზასა, ჩემი იყო ვით უბარა.

მეორეთ მეფის თეიმურაზისაგან იმერეთს გარდასჳლა·

359.

წამოვედით იმერეთსა, ისეჳ ჩჳენის სახიზარის,
ჩჳენად დონედ იგი გჳქონდა, ვით ჯურს ქონი სახიზარსა,
მეფეც წინა მოგჳეგება, ჩჳენს მისლვასა არ იზარის,
რა მივედით მოვისჳენეთ, ვით ქორი ჯდეს სახიზარსა.

360.

რა დავწყავით ხანი რამე, სასყიდელი დაგჳმჳრდა,
ვერ ვიშოვნით დიდის-ფასით, ნახევრად რომ არა ღირდა,
ხჳანთქარს ელჩი გავუგზავნე, და ფეშქაში მნახავთ
ჭკჳრდა,
მას ებოძა სანჯახები, კიდევ სხვასაც ბევრს დაგჳპირდა.

361.

აქ გასინჯეთ ღმერთისა, სასყიდლისა დიმჳრება,
ვეღარ გავწსმლეთ უდომობა, გურიისკენ ვიწყეთ რება,
რა მივედით მუნ მამია, გურიელი იფერება,
რაცა ჰქონდა არა ჰშურდა, ველს გჳწყობდა იფერება.

აქა გურიიდამ საათაბაგოს მოსლჳა და იქიდამ სჳანთ-
ქართან წასჳლა; ოლთას ამირ-გურხანისაგან დედო-
ფლის თავს დასხმა, და დედოფლის სალთ-ხუცის
ნოდარ ჯორჯაძისაგან გამარჯჳება მათ ზედა: უყუ-
რეთ განგებასა მოსამართლისასა, თუ რას მცირეს
კაცით გაემარჯჳა.

362.

ოლთას მივედით დავკჭყარეთ, მუნ დედოფალი ქალებით,
დიდროვანთ კაცთა ჯალაბი, დედამთილი პატარძლებით,
წუნარნი, მშჳდნი და ტურფანი, საქციელ განაკრძალებით,
ნოდარ დავაგდეთ სახლისა, გამგებლად გულით სალებით.

363.

დედოფალი ოლთას იდგა, და ვინც ახლდეს ბანოვანნი,
თუმც დარიბათ ვის ვეგონეთ, მაგრამ არ გჳყუჳფს უმ-
ცნობანი,
ტურფანი და დარჩეულნი, ლამაზნი და არსად ავნი,
მლოცავნი და ღჳთის-მოშიშნი, ცუდის საქმით არსად ავნნი,

364.

ესე უჳწლაჲ შაჭაბაზს, მიესმა მართლ-დასტურობით,
ერევანს იმირგუნხანს, მოჰსწერა მონაშურობით,
იქ თეიმურაზ არ არის, მიუსწარ მტრად არ სტუმრობით,
ქალები ვერ შეგებმიან, ვერც დაგჰჳდენ კაის-პურო-
ბით.

365.

ესე ჟამი ზამთრის იყო, ჩუჱნ იმედი თოვლის გუქონდა,
ერევნის და ოლთას შუა, მთებს შეკრავსო ვჰსთქვთ ოღონდა,
ჩუჱნ იმისსა მოთმედეს, არც სრულ გული შეგჳღონდა,
მაგრამ თოვლის გასაოხარად, ნიჩბებიცა თან მოჰქონდა.

366.

გარდმოთასრა სადაც დახუდა, თოვლი ცხენთა დასაყენად,
მაგრამ ღმერთი მათვე შექმს, მხიარულთა მოსაწყენად,
უჟერთ ოჲ ვითარ ჰქს დება, მათ ჩემი ყმა სისხლთა-მდენად,
მოგასხენებ ამ ამბავთა, ყური უგდე შენ მოსმენად.

367.

დედოფალს სიზმარ-ჩუჱნებით, ენახა რაც იქმნებოდა,
დაბლა ქალაქით ციხეში, მას ასლჳა მონებებოდა,
ვინც ასლდა თან აეტანა, არვისთჳს დაენებოდა,
ვაი რომ იქ არ ვიყუჱნით, ჰსცნობდით თუ რა ექნებოდა.

368.

ნოდარ იყო სალთ-ხუცესი, დედოფლისა განა ჩემი,
მისანდო და გულითადი, არ თუ ცუდი განაჩემი,
მართალია ეს ამბავი, ნუ გგონია განაჩემი,
იმასაც მწუჱდ გაემარჯუჱა, იგინი ჰქმნა განაჩემი.

369.

გამარჯუჱბოდა მას არე, მათ მიჰყოლოდა კარამდი,
ურიათ ჯარნიც მშჳჱლობდეს, იგ რაზმინანი კარამდი,
კუჱლავ ზოგნი წინ გარდაყუდგეს, გზა უყუჱს განა კარამდი,
შუბი ვინ ნახის გარდუჱარდის, მისლუამდის შინა კარამდი.

370.

შჳდასი მოყმე ჯილიდა, და მარქაიკებით თან ჩამყუჱა,
რა მავალ ისრაიმ-სულთან, ყიზილბაშთ ბრძოლად არა მყუჱს,
სხჳს ქუჱყნისაკენ ლაშქრობდა, მადალი დაბლა არ დამყუჱა,
გამოვჰბრუნდი და წამოველ, რაც ჩამყუჱა თანვე გამამყუჱა.

371.

მიჰომა სასოწარკუეთს, რაც მაშინ მისთჳს ხსნობდა,
გონის ყარა ძარი, სხუა სანჯახები ახობდა,
სხჳა საბოძჳარი ხალათი, თქჳენ თუ ძლივ დაიკავსობდა,
მაგრამ კახთ კახეთის გაყრა, გულსა ლახჳარი ასობდა.

372.

წამოველ გზაზედ ჯალალნი, შჳდ-ჯერ შემებნეს ერთს
დღესა,
შჳდ-ჯერვე მე გამემარჯჳა, ვამჴსგავსე ცუდს მებეგრესა,
ვერც ყმა დამაკლეს ვერც-ვინ სხჳა, ვერცავინ დამა-
კოდესა,
თუმცა მოეგდოთ კარები, იმათვე მალ გაადესა.

373.

მოვედით ოლთას დავჴხჳდენ, უჭირჳელად ყოვლ-საყოლი,
იქაც უნებლივ მოვიდეს, სულ ჯარი ჩემი თან-მყოლი,
გახარებულნი მმადლობდეს, თქჳენს მოწყჳა აქეთ წამყოლი,
ადიდეს ქრისტე მოქენეთ, მსმენელთა მალ ჩამამყოლი.

374.

რა მივედით კახთა გული, არ დასჯერდა სანჯახებსა,
ემდჳროდეს ამ სოფელსა, აქა-იქა გჳაჯახებსა,
ჩჳენ კახეთს ვართ ლხინ ნაჩჳევნი, რას ველსა ვწყრით
ჯავახებსა,
გულ-დიდობა მარად მოუდგსთ, ეს არე ჰსჭირსთ ჩემს
კახებსა.

375.

წამოვედით ოლთიდამა, ჩამოვედით გონიასა,
კიდევ ბევრი ყმა მიახლა, ნუ ეჭჳ ოთხმოც გონი ასა,
რუსეთისკენ გავემგზავრე, ეს რა მოსაგონიასა,
შავს ზღჳა-შიგან ნავში ჯდომა, დიდად დასაღო-
ნიასა.

376.

ამ ხანშიგან ბაგრატ-მეფე, სომხითს მოკუ̂და გარდაცუ̂ალდა;
ვით თავს ვინმე შემომავლო, ასრე ვითა მერაცუ̂ალდა,
მოურავმან ქართუ̂ელთ კითხჳთ, ჩემა ჯობნა მან გაცუ̂ალდა,
მემსახურა უსაზომოდ, ვაჲ სოფელმან არ გჳაცალდა.

აქა ყეენისაგან მოურავის, ბაგრატის-შჳლის სჳმო-ნის, ყორჩიხან და უსუფხანის გამოგზავნა კახთა და ქართჳელთ ასაკლებად; მაგრამ განგე-ბამ და უსამართლოდ ქჳეყნის ამოწყჳეტის მონ-დომებამ რა მოახდინის ისმინეთ, და ყური მიუ-პყარით ამბის მსმენელნო.

377.

ყაენმა წარქჳა მოურავსა, გული მართლა მე დამყარე,
წადი კახნი ამოწყჳტე, და ქართჳელნი ამიყარე,
კახთა ცოცხალს ნუ დაარჩენ, და ქართჳელნი აქ მოყარე,
მე ამისი აღჯრი მიცს, შენ გენუკჳ ეს წამყარე.

378.

ფატარას სჳმონს გაგატან, ვითომ ქართლსა დაიპყრობდეს,
ჩემს შჳლის-შჳლსა ყორჩიბაშს, ქალს მივსცემ და მე მმოყჳრობდეს,
ყორჩიხან და უსუფხანცა, თან გაახლო ვინ აზრობდეს,
ამ მიზეზით ვერას მიხჳდნენ, თქჳან ესენი მათ მა-ურობდეს.

379.

დაასუქჳნეს და გამოგზავნეს, ამ მიზეზით სულ ესენი,
აწ უყურეთ მოურავსა, ვით შეჰყარის მძიმე სენი,
ზურაბს თურმე იქივ უთხრა, ვერ ჰსჭჳრეტ არის რის მთესენი,
მე სხჳა რამე გამიგია, კრძალი იქავ მოვლესენი.

380.

რა მივიდნენ იმ ჯარითა, თქჳჱს თუ ზეკრი მაყარია,
მაგრამ სიტყჳთ დაამლაშეს, ეს საწყენი არ-არია,
კახნი მეხრანს შეიყარნეს, ქართჳჱლებში არ-არია,
უღალატეს ამოსწყჳტეს, არ უთხარეს საშარია.

381.

უთხრა თურმე მოურავმან, ზურაბ კარგად ყური მიგდე,
მტერობა და ამოწყჳჱტა, მე ბოლომდის ვით დავიგდე,
კახთა ჭყჳა ყათლანიო, ქართჳჱლთ ზედა ცხენი იგდე,
რა ესენიც იქ ჩავწყარო, მაშინ ვისდა შეურიგდე.

382.

ზურაბს ეთქჳა რას აპირებ, მითხარ ბრძანე გამიმხილე,
საქმნელია თუ არა ვქმნა, ჩემი საქმე მუნ იხილე,
მაშინ ჩემი სისხლი შესჳ, კორცი ზედან გაიხილე,
კრმალი ჩემი ბასრი არის, გაატყჳე გამირბილე.

383.

რასაც ჰაპირებით ეს საქმე, არ არის ჩჳჱნგან საქმნელი,
ამ სოფლის შემარცხჳჱნელი, და საუკუნოს დანმთქმელი,
მან დაგჳატყუა რად შეგჳქმნა, ჩჳჱნ ჩჳჱნის კორცის ავ
მქმნელი,
დამამჴობელი ქჳჱყნისა, ჩჳჱნის ქჳჱყნისა დამქმნელი.

384.

კახეთი რომ ამოვსწყჳტოთ, კჳლავ ქართლიცა იქ ჩავ-
წყჳაროთ,
მონასტერნი ავაოხროთ, შერცხჳჱნილთა გჳარის-გჳა-
როთ,
მაგას ნუ ვიქმთ ნურას საქმით, სხჳა-ფერ რამე მოვა-
გჳაროთ,
ჯერ ამ ლაშქარს უღალატოთ, მერმე მეფე აქ მოვ-
წყჳაროთ.

385.

ზურაბ უთხრა მართალია, მაგრამ რასთჳს იქარ მითხარ,
ცოლიც თანა მომეყჳანა, ავ მრჩეველი შენ ამით ხარ,
აწ რადა ვჰქმნა ცოლის სირცხჳლს, თავს მადებ და სამარს მითხარ,
თჳარემ ქართჳელთ-სისხლს დავიდებ, არ ვიქმნები გასაკიცხარ.

386.

შენ ამისთჳს არ გაცნობე, ცოლს თან არ გამოჰყვანდნენ,
ვჰსთქჳ თუ უთხრა და არა ჰქმნას, ბოლოს რასთჳს დავინანდენ,
აქ მივიყჳან საქართჳელოს, წახდენაზედ ცრემლს დავადენ,
მე შჳლს დავსთმობ ქჳეყნისათჳს, შენ ესე ჰყავ იყოს ესდენ.

387.

ტკბილის სიტყჳთა ეხჳეწა, თავს მას ადებდა ყჳელასა,
საქართჳელოსთჳს დაცა-ჰსთმე, დამხსენ დამესა ბნელასა,
ცოლს უკეთესსა გიშოვნი, ბატონის-შჳლსა ლელასა,
აქ მოვჰკლავ ყარჩიღა-ხანსა, კახეთს ფეიქარ-მელასა.

388.

ზურაბ უთხრა შენ შჳლს დასთმობ, მეც მოვითმენ ქართლისათჳს,
მაგრამ როგორ გაარიგებ, თქჳ მართალი შენ ღჳთისათჳს,
უთხრა ზურაბს შენგან მიკჳრს, ეგ მიბრძანე მე რისათჳს,
გამიგონე ყური მიგდე, ტკბილი გითხრა მწარისათჳს.

აქა მოურავისა და ზურაბისაგან ყორჩიხანისა და უსუფ-ხანის ღალატის გამორჩევა და ქართველთ განდობა; ანდუყაფარ ამილახვრის დაჭერა: ნახეთ თუ როგორი გამარჯვება მოჴსდების და ან რას მნელს განსაცდელს მორჩებიან ყაენი და ქართველნი მო-
წყალის მალით და შეწევნით.

389.

ასრე ვჰქმნათ უთხრათ ქართველთა, რაცა ჩვენ დაგვე-
ბარებია,
ვათვიცოთ ღმერთი რომ არ ჰქმნან, საქმენი საზარებია,
ანდუყაფარი შევიპყრათ, უთხრათ შენ არ მასწვებია,
ქართველთ რისხვისა დრუბელი, შევჰქმნათ ღვთითა და-
რებია.

390.

მე ლაშქარშიგან ვიქმნები, მარტო ოთხისა მოყმითა,
ვერას იზრებს საქმესა, რა სუბათ მნახავს ამითა,
როს ჰაემანი დაგიდვა, თქვენ მოდით შუა-დამითა,
ღმერთმან მათ მიჰსცეს მიხვდეთ, გავჰხადო რას სიამითა.

391.

სულ ქართველნი შეითვიცეს, რა ეს საქმე დაასჰირეს,
ანდუყაფარ არაგვზედა, მიიყვანეს დაიჭირეს,
მოურავი ლაშქარშიგან, იყო მათცა მყუნ ითირეს,
აწ უყურე მას ლომ გულსა, და ოთხთ მოყმეთ ვით
იგმირეს.

392.

პაატა ხერხეულიძე, ავთანდილ მჰგავს თჳსითა,
ელია დიასამიძე, პაპუნა კაშაყასითა,
ოთხის კაცითა ესე ჰქმნა, რას ეჭუ იქმოდა ასითა,
ამის მქმნელს კაცსა სხჳა ვინმე, ვით შეუდარო ფასითა.

393.

მოურავი მასთან დადგა, ზურაბ ქართჳელთ წინ წაუძღჳა,
მიახლოვდეს ლაშქარს შავად, იდგეს ჰკჳრდათ ვით არს თუ
ზღჳა,
დჳთით გჳგონია მცირეთა ვჰსძლოთ, დრო მოვიდა კახთა
სისხლთ მოზღჳა,
რა ამათი ხმა შეიგნა, ყორჩიხანსა უწყო დაღჳა.

394.

გაიგონეს ყიზილბაშთა, მათ კიჟინა ქართჳელების,
უთხრა ჰკადრეთ მოურავსა, ეს ხმა მასცა ეყურების,
თეიმურაზს გონიადამ, ასრე მალჳთ მოესჳლების,
მიუბრუნა მოციქული, უთხარ აგერ გიახლების.

395.

მოურავი შეკაზმული, მივა ოთხის ცხენოსნითა,
რა მივიდა სარდალთანა, შემოსძახა მან კჳნესითა,
უთხრა მითხარ რა კმა არის, ან ამ საქმეს ვით დამ-
ხსნითა,
ჰკადრა არის თეიმურაზ, არ გჳცხსნების არას გზითა.

396.

ამგრია რა ლაშქარი, მან შეჰსძახა ყორჩიხანსა,
შუბი ჰკრა და მუნვე მოჰკლა, ჯარს ასმენდა მუნ ჩახანსა,
გულს დაასო სამესისხლოდ, არ თუ ცოტად კორცსა
ფხანსა,
გააქცივნა მან ლაშქარნი, არ აყოვნებს მუნვე ხანსა.

397.

იმის შჯულსა მოურავის, შჯულმა უყო საქმე ესე,
მამა-ჩემმა მამა-შენი მოჰკლა, მე შენ სხჳას არ გისევ,
საქართჳელოს ამოწყუჳეტის, მდომო, ბევრის ავის მთესევ,
მანცა შუბი მალიან ჰკრა, შეუმახა მაგრა ესე.

398.

კრმალს ქჳეშ დაავლნეს ლაშქარნი, აივსნეს საშოვარითა,
უკან მისდევდენ მეოტთა, თუ აქეთ გააარითა,
კიდევ უარესს დავმართებთ, სიცოცხლე გასამწარითა,
მიდით მაჭაბაზს შესჩივლეთ, მალ უაზმინს ჩაუსწარითა,

აქა ომი რომ გარდასწყჳტეს ფეიქარ-ხანზედ წავიდნენ; ბატონის-შჳლი ლელა, მეფის ლუარსაბის და, უნდა ეშოვნათ, და ზურაბისთჳს შეერთოთ; ვეღარ მიუსწრეს და ბარდამდინ ჰსდივეს, და მრავალი ქჳეყანა მოირბიეს, და დიდად გამარჯჳებულნი და საქონლით სავსენი მოიქცეს ქართლადვე.

399.

რა ეს ომი გაათავეს, გამობრუნდეს ლომნი მხნედა,
ფეიქარ-ხანს კახეთს მჯდომსა, მჰსწრაფლ მიუხდეს იმას ზედა,
ადრე ეცნა კასწრობოდა, ვერ მიუსწრეს, დარჩეს ქჳელა,
ზურაბს იგი ვერ უშოვეს, ფეიქარ ხანს ვინ ჰყჳა მზედა.

400.

ვერ მიუსწრეს ფეიქარ-ხანს, უკან ჰსდივეს ბარდამდისა,
მოარბიეს არეზს აქათ, მოსრეს თქჳან სისხლი გჳდისა,
მათ მტერობა უკენისა, თავს დაიღჳეს მარადისა,
თავი კარგად მოიხმარეს, ვერ ჰსცოცხლებდენ აქამდისა.

401.

ესე საქმე მოურავმა, უცხო ჰქმნა და საკჳრჳელი,
ვით შეჰმართა ამ საქმესა, არის თუმცა გულად რგალი,
ეს ყჳელასგან უმნელეა, სხჳა სახელიც ჰქმნა მრავალი,
უსაცილოდ მართალია, არ ტყუილი არ საკრმალი.

402.

სახელისთჳს მათ ცოლ-შჳლი, ორთავ დასთმეს ეს იცო-დეთ,
ვინ არ მივჰყუჱთ მათ საქმესა, არ იცით რომ დიდად ჰსცოდეთ,
ჰსჯულისა და ქუჱყნისათჳს, რა იქმნების რასაც ჰყოფ-დეთ,
აწ ეს ჰქმენით ქართუჱლებო, ანდერძსავით შჳლს ე-ტყოდეთ.

აქა მოურავმან ზურაბ და ქართჳლთა მეფე თეიმუ-რაზ ჩამოიყჳანეს გონიადამ და ქართლ-კახეთი ორი-ვე დააჭერინეს; გააბატონეს და დაემორჩილნეს; და მოურავმან მრავალი საჴელმწიფო იარაღი ოქროსა და ვეცხლისა, კარავი, ორხუჲ და ბედაურნი ცხენ-ნი უძღჳნა.

403.

გარდასწყჳტეს რა ეს საქმე, გამოგზავნეს ჩუმთან კაცი,
მობრძანდიო გჳპატრონე, ჩჳენ ლომებსა არ ვართ ვაცი,
ჩჳენ მოგართოთ სალაროდა,საჭურჭლენი თქჳენკი გასცი,
მოგჳკვიდა ღჳთის-წყალობა, გახარება ჰელ-სატაცი.

404.

წამოვედით მხიარულნი, რუსეთს წასჳლა მოიშალა,
დედოფლიან-ქალებითა, თმა გიშერი ჩაიშალა,
დაკაზმულნი განჩჳენებით, ტან-საცმელნი არ იშალა,
ჩჳენ ვიმღერდით ბულბულთაებრ, მაისს ვარდი გაეშალა.

405.

მოველ მცხეთას მომილოცეს, ღმერთს ვჰმადლობდი მან მაღირსა,
მათ მომართჳეს ბევრი რამე, თქჳან ქართლად ესეც ღირსა,
მერმე მითხრეს მიგჳსივე, ვინ სამტეროდ კრმალს გა-ღირსა,
არ იქადდენ ცუდ კაცურად, ათავებდენ დანაპირსა.

13

406.

შემომივიცეს დიდებულთა, თავადთა და გინდ მომცროთა,
შენის-მეტი ჴელმწიფეო, არ გუნდოდეს ჩუჱნ შენს დროთა,
ვირე გჭურეტდეთ შენ ცოცხალსა, პირად მზესა ტანად
ზროთა,
ჩუჱნი თავი მტერთა ზედა, გამსახუროთ დასაზროთა.

407.

დავიჭირე ორივ ტახტი, სამეფო და ქუჱყნის გარე,
ვუთხარ სოფელს მუხსნათო, გამითავე მოდი ბარე,
ხან სიმაღლე ხან სიმდაბლე, ეს ზნედა გჭირს მოსა-
გუარე,
ახლა ყუჱლა დამავიწყე, რაც წამართჳ რაც წამგუარე.

408.

გამოვიდა ხანი რამე, სიმდიდრეს და სიხარულში,
ლხინს ნადიმს და გახარებას, იქ რა უნდა მილს რამ რულში,
ბურთობას და ნადირობას, აქა-იქა სიარულში,
ჩუჱნ კაცის შეჰფერება, რასა ჰქუან, გუქონდა გულში.

აქა შაჰაბაზ ყეენისაგან ისაკ-ხან ყორჩიბაშის გამოგზავნა, სულ ყიზილბაშის ლაშქრით და ბევრის ხანებით, და ალგეთზედ მარაბდის თავს-შებმა ქართჳელთა, თთჳესა ივნისსა, და ორგნითვე მრავალთ დაკოცა, და ამოწყვეტა, და ბოლოს ყიზილბაშთ გამარჯჳება.

409.

მაგრამ კიდევ ჩჳენ შაჰაბაზ, არ დაგჳეხსნა მტერობითა,
ამ ყოფაზედ ყორჩიბაში, ჩჳენ მოგჳხდა მოსწრობითა,
სრულ ერანი შეეყარა, სოფლებიან მას ობითა,
გაუჩნდების აწ შუბებსა, თუ არ გატყდეს დასობითა.

410.

ის მოვიდა ალგეთისედა, ჩჳენ მივედით ტაბახმელას,
მე გიამბობ თუ მომისმენთ, ომის საქმეს საქებელას,
მოდი დაჯექ გაიგონე, ახლო გიდგამ მაღლა სელას,
რაც არჩივა ათაბაგმა, ქართჳელთ და კახთ გეტყჳ ყჳე-
ლას.

აქა დავით-ხანის შჳლის და აღათანგის ხერხეული-
მჲს ყარაულათ დაყენება, რომელნი იყვნეს კაცნი
მეომარნი; ორთავ თჳთო თჳალი აკლდა, მაგრამ გულ-
სრულად და მხნე კაცადკი იბრძოდეს, და ორნივ
ამ ომში დაიხოცნენ მეწინავობაში მისლჳთა.

411.

დავითისა და აღათანგის, ორთავ აკლდა თითო თჳალი,
ყარაულად იგინი გჳყჳნენ, რა ჭკჳა იყო თქჳ მართალი,
შემოსთჳალეს თუ არ მოხჳალთ, ჩჳენ შევებმით არ
ვართ მთჳრალი,
არ გიკჳრსთ რომ დავიჯერეთ, ნახევარზედ დანათჳალი.

412.

აღათანგის ყორნელითა, დავითს ეთქჳა გლდანელებით,
შევებნათო რა გგონიათ, სიმრავლე აქჳსთ აქლემებით,
დაესხოცათ მათ თათრები, გამოგზავნეს მკჳდარ დილებით,
წამოდითო თქჳენ ამათგან, დაკარდილთა სადილებით.

413.

შეიქმნა რჩევა ომისა, იქ შებმისა და მოცდისა,
კაცისა მხნესა და ჯაბანისა, დღე ამისთანა დაჭსცდისა,
ზოგი უცთურად არჩევდეს, და ზოგსა კიდეც დასცდისა,
ფენა არს გამმარჯჳებელი, თუ არ კაცთ რჩევა მოსცდისა.

ჭრჩევა გიორგი მოურავისა, შიოში სააკაძის-შვი-
ლისა.

414.

მოურავმა თქუა დრო არის, მართლის თქმის ხანდახანისა,
ჵმეფევ გასხრო და ქართუელნო, ხან ესე ვჰსთქუათ და ხან ისა,
მაგრამ იცით ხომ ყაენთან, ვარ დამყოფელი ხანისა,
სრულ ერანს გამოჰგზავნიდა, იქ არ დამჯერი ხანისა.

415.

ქჳწითობა იქ არ ვარგა, სიცხეა და მისჭირდება,
ღმერთმან ნუ ჰქმნას დაგჳმარცხდეს, სრულ ერთ-პირად ამოსწყდება,
მართლის თქმა სჯობს ტყუილისას, ცუდი არის მიდ-მოდება,
ეს არ ჰსჯობდეს დაისწავლეთ, რჩევა ნურვის დაგჳწყდება.

416.

მე ამას ვარჩევ მინდორად, ნუ ჩავალთ ნუ შევებმითა,
ჩჳენს აქ დვამასა ვერ ჰსცნობენ, თუ აწვე არ წავებმითა,
ქალაქს ჩამოვლენ თავ წჳლილად, აქ დავხჳდეთ შევიქმთ ვნებითა,
მე ეს მითქუამს და აწ თქჳენ ჰსთქჳთ, თუ იქ ომს არ ეშჳებითა.

წრჩევა არაკჳს ერისთჳს ზურაბ ნუგზარის-შჳლისა.

417.

ზურაბ უთხრა კარგად წბრძანე, თუ იქ ხანი არ და-
წყოვნის,
მაგრამ იცით მათი საქმე, ხან-გრძლივ დგომამ ვერ
აღონის,
არ მოუვლდნენ სიმაგრეთა, ჭკუა მათი მოგჳცწრონის,
ეგ არ მინდა თუღუნიათა, მხნოთ უფრად უკან არ მედევნის.

ჭრჩევა ბარათჲ ბარათაშვილისა, რომელი იყო მათა-თჳსით სარდალი.

418.

ბარათა ბარათა-შჳლი, მეწინავეთა სარდალი,
კარგს სარდლად ამას აქებდეს, მტერს მალ შეაქმნის
ბანდალი,
შეურილის საქართჳელოსა, ყოვლა ჯრს არ სამართალი,
აქა-იქ დაგჳწყვანტკან, უქეს ამან თქჳა მართალი.

ჭრჩევა თეიმურაზ მუხრანის-ბატონისა, და მისის ძმის ქაიხოსროსი,და იესე ქსნის-ერისთავისა.

419.

თეიმურაზ ქაიხოსრომ, ორთავ ძმებმან მუხრანს მჴდომ-
თა,
კჳლავ იესე ერისთავმან, სხჳა ქართჳელთა ომის მდომ-
თა,
თუ შეგჳაბამთ შეგჳაბითო, რაც ჴელსა გჳყრით აქა
მდგომთა,
დროა დაჭსდგეთ ერთს რჩევაზედ, თჳარემ წავალთ
ჩჳენს სადგომთა.

ჰრჩევა ბაადურ ციცის-მჯლისა, და იქ გულოვნად
შებმა და მათდავე შეკჳდომა,

420.

ბაადურ თქჳა ციცის-მჯლმან, ამ რჩევაზედ არ დაჯმუნდა,
აქა არის მუნ სიცხისა, მზე ჰაერი დააბუნდა,
დაგჯმარცხდეს ქჳწითობა, სადა მორჩეს თქმა არ უნდა,
თუ ამოსწყდეს გლეხი კაცი, საქართჳელო დამაბუნდა.

ჰრჩევა კაცთ საპატიოსთა კაცთა და დარბაისელთა.

421.

კაცნი მენ ომსა ისწრაფდეს, უფროსი ჯავრნიც ახსონდა,
თქჳჱნ მათ იქიდამ რა დაჰსმრავს, ჳნახეთ ზახი რა მო-
ჰქონდა,
ორ-ჯერ გალაზხულს თათრებსა, საომრად ვინ შეუდონდა,
დილას შევებნეთ სიგრილით, ამას სხჳა რჩევა არ უნდა.

422.

კაცთა არჩივეს ერთ-პირად, შებმა და მათი ომია,
თქჳჱნ არსად წავლენ მენითა, ეს ადჯლ მისახდომია,
ორ-ჯერ გალახულთ შევებნეთ, ვინცა ხართ ომის-მდომია,
ზოგთა გუწადს ომი ახალი, ზოგს ბევრი გარდაგუხდომია.

ჭრჩევა მანუჩარ ათაბაგისა და მესხთ-დარბაისელთი.

423.

თჳთ ათაბაგი მანუჩარ, ურუმთა გამომებული,
ჩემთან მობრძანდა იმ ხანად, ომ-ნაკუელ სახელ-დებული,
ამ დღეებზედა ნაქები, მრავალ-ჯერ გამარჯჳებული,
სამ-ასის მოუმით არ ბევრით, ჭაც ახლდა მისებრ ქებული.

424.

მოახსენეს ათაბაგსა, რად არ ბრძანებ უმჯობესსა,
თქჳნგან უფრო ნაომარი, არვინ არის ჩჳნში დღესა,
მან უბრძანა კარგად არჩევთ, მე რას ვიტყჳ უკეთესსა,
მაგრამ მჳწლად ნათქჳამია, ომი სამზღჳარს მესამზღჳრესა.

425.

მერმე არის ორი რაზმი, დაასხლოვდეს ერთმანეთზედ,
ვინ მოუხდეს ერთმანეთსა, არ ყოვნებით ამავ დღეზედ,
მისი ჯარი გათამამდეს, მდგომთა დადგეს მლივდა ფეხზედ,
ხან-გრძლივ ჭრჩევა ცუდი არის, გამარჯჳებს არის ღმერთზედ.

ჰრჩევა კაცთა და ქართუელთა ვაჟ-კაცებისა, და ომის წადილი.

426.

ვაჟ-კაცები ისწრაფოდეს, თითქმის კბილთა იმსხუერევდიან,
ჰე რად ჰყოვნით მათზედ მისლუასა, ისინი აქ არ მოდიან,
მეფის-მზემან უსაცილოდ, ჩუენგან იმათ სისხლნი ჰსდიან,
მინდურადა ჰსჯობს ომი ცხენზედ, სიმაგრეში რასა ჰქჳან.

427.

ამ ჰრჩევაზედ ბარათიანთ, წასულის ეჭჳ შეგჳვიდა,
არ ჭორად ჰსთქუეს ეს ამბავი, მედასტურე მოგჳვიდა,
თქუეს თუ ღუთისმცა ამ ჯარშიგა, არამც ეს ხმა გაგჳვიდა,
ამად გჳჯობს ადრე შებმა, თუ ესენი წაგჳვიდა.

428.

დავასკუენით ომი ალგეთს, მივმართეთ გულით მაგრითა,
კაცთა სამების-უცნობთა, მაჰმადიანთა აგართა,
ჩუენ ვეზიარნეთ ქრისტესა, ჴორც-სისხლთა მისთა ამართა,
რისხჳთ მოგუხედნა მოწყალემ, იგ დაცემულნი აღმართა.

429.

ავიყარენით რა მზემა, მწუხრად ჰქმნა დანასულელობა,
დავჰსდეგით ქრისტეს ჰსჯულზედა, ჩუენი ჴორცი და სულობა,
მხიარულად და თამამად, რას ჰქჳან დანახულობა,
აწ გამოჩნდების მოყმეთა, სიმხნისა მართლ ლომ-გულობა.

430.

დღისით ჩავლივეთ ავი გზა, ღამე ჩაველით ვაკესა,
ცოტას-ხანს შემოვიცადეთ, არ-თუ ყანები დამკესა,
კაცნი ამბობდეს ვიაროთ, მიუხდეთ ფურებრ მაკესა,
რაზმი დავაწყეთ ვიარეთ, მეთოფემ ტალი დაკჳესა.

431.

რა ღამეს ბნელსა ნათელმან, მოჰმართა ამა დარიდა,
მზე რა უღრუბლოდ ადმოხდა, სხჳსა ზნით ვინ შევა-დარიდა,
ამ დღეს მოუმესა მამაცსა, სხჳსა ზნით ვის შევადარიდა;
არ სხჳს ზნეობის დრო არის, ჟამი-არს საომარიდა.

432.

გათენდა და დავინახეთ, ერთმანეთი მუნ მორიდამ,
დავაწყევით ორთავ რაზმი, ჩჳენ აქათ და მათ იქიდამ,
მათი იდგა თჳალ-უწდომი, სიმრავლე ჰსჯირსთ მათ გჳა-რიდამ,
მაგრამ ვერც სულ დაგჳადონა, სიბევრისა ჩჳენ არ რადამ.

433.

მან თურე აწე გააწყო, მეთოფე თოფხანიანად,
ჯერ-ზარბაზნები გარშამო, მომართა არაბიანად,
მას ქჳეშ მუხლ-მჯდომი მეთოფე, მეორე ზეზე-დგიანად,
მესამე ცხენოსანია, მეოთხე აქლემიანად.

434.

მივახლოვდით კომლისაგან, მზე დაბნელდა ჰაერიცა,
ჰგჳანდა თუ ცა ჩამოვარდა, ცა ქჳეყანად ან დაიქცა,
მოწმენდილი მზისა შუქი, ჩჳენ-წინ ღამედ გარდაიქცა,
ვირემ კჳამლი არ განქარდა, მათკენ ვერვინ ვერ გა-იქცა.

435.

რა განქარდა თოვის კჳამლი, შეუტკივეთ ერთ-პირობით,
გულ-სრულად და ჯავრიანად, ვინ ვის წინა წაჳსწრობდით,
ვკოცნით ვლეწდით ჩამოვჰყრიდით, ცოცხალთა არ შე-
ვიპყრობდით,
არ მოსწროდა შაჰბადა-ხან, სულ გაწყჳეტას უპირობდით.

436.

გავაქცივეთ დიდი რაზმი, ის მოგჳხდა აწ მოგასნეთ,
მათს ურდოსა გავაცილეთ, მოსულა ერთა-ხან შევასნანეთ,
უკან ჩჳჱნს რაზმს თავრიზელთა, უწყეს ცემა დიდად
მავნეთ,
გაგჳქციეს უკან ჯარი, დაიზახნეს გაათავეთ.

437.

ამას ზედა თაიმურაზ, ვინ მუხრანსა ჰპატრონობდა,
მოჰკლეს თურე დაიმარხეს, ზოგი კაცი ჩემსა ჰსცნობდა,
გამობრუნდეს უფროს ამით, გულსა სულსა დამიდნობდა,
გამარჯჳჱბის სიხარული, აღარ ჩჳჱნთჳს დაფა-დაფობდა.

438.

ორისავე პაატასი, თქჳჱნ თუ მოვა მოციქულად,
ასრე ჯარსა წინ მიგჳმღჳნენ, დაიჯერე უსაცილად,
გაათავეს თავის თქმული, სადგომსავე თქჳჱნ დაქადილად,
ორნივ თოფით ჩამოყარეს, სიცოცხლე აქჳსთ არ სი-
კჳდილად.

439.

ქჳჱითობა ურდოშიგან, ალაფობდეს იტჳრთოდეს,
მართ გლახ თურე ის გგონათ, არ-ტყუოვს შოეს ლარნი-
ოდეს,
დაგჳმარცხდა გამარჯჳჱბულთ, მართ სრულ რითმე მოი-
სროდეს,
სიცხისაგან მალ-წართმეულნი, ისარს ვეღარ მოისროდეს.

440.

კჳლავ მოიხრნეს დიდებულნი, ქართჳელნი და კახნი ბევრი,
აღათანგის სახლის-კაცი, შჳდი მოკჳდა კარგი ყევრი,
სხჳა ბაადურ ციცი-შჳლი, კახი დავით გულათ-სევრი,
კიდევ ბევრი კარგი მოყმე, დამიკაფვნეს ვითა ტევრი.

441.

ჩოლაყას-მე შჳდი და ცხრა, კარგის მაჩაბელის,
სულ ვინ სთჳლის აზნაურ-შჳლთა, რაც მოკლეს საქეჰულის,
სხჳა ბევრი იპყრეს ცოცხალი, მოაბეს ყელს საბელის,
მლივ მორჩა ალავერდელი, გარდაგდეს ხარჯაშნელის.

442.

ათაბაგი ამირგურ-ხანს, იმ დღეს შეხჳდა ერევნისას,
შუბი პირჳლ გასტეხოდა, მინდობოდა ქნევას ჴრმლისას,
სამი თურე ზედი-ზედა, შემოჭრის და შესმახისას,
ვარ მანუჩარ ათაბაგი, თავს არ ვჭოვიცავ ყაენისას.

443.

მოურავმან იმ ომზედა, მუზარადი არ დაიდგა,
თქჳა რა მიცნას ყიზილბაშმან, ბრძოლად ახლოს ვინ მომიდგა,
თუ დავირქჳა აჩაბერი, ვეღარ მიცნან ვინც წინ მიდგა,
არ დამიშჳრეს ჰელი ცუდად, სანამ პირში სული მიდგა.

444.

ზურაბ ადრევ დაგჳკოდეს, თურე სისხლმა შეაწუხეს,
ამისმა ძმამ დათუნამა, და ავთანდილ დაიქუხეს,
რაზმი განვლეს უკან ჭსდევდეს, მუნამდისინ სად გამუხეს,
ჭოვრეწდეს მათსა საჯურჯელსა, ყოვილ-იყჳნეს ვითა მმუხეს.

445.

თუ ჩემიც რამ მოგახსენო, მგონ არ ვიყავ უსჳარი,
საკჳრველად თუ ჩამიგდოთ, ამად ითქმის მაქჳს უარი,
არა ვჰსთქჳა და ისრე დარჩეს, აღარ იყოს მასხსოვარი,
რა უქმნია თეიმურაზს, თქჳან რათ-არ ჰსთქჳა ვით სჳარი.

446.

ამის მეტსა ვერას გეტყჳ, რაცა მქონდა საომარი,
თუ ყჳწლა არ დამემტჳრიოს, არ ვიქმნემცა მეომარი,
შუბი ლახტი კრმალი გატყდა, მოვიხმარე ქჳლავ ხანჯარი,
სომეხამთაც ჩაგიგდივარ, მათებრ ვიყო მეომარი.

447.

მას დღეს მოკჳდა ყიზილბაში, ათოთხმეტი-ათასიო,
ცხრა-ათასი საქართჳლოს, ზურაბის-ყმა ცხრა-ასიო,
მაშინდელთა დაკოცილთა, კაცთა ვით ვჰსთქჳა სათვასიო,
ამოგჳწყჳტეს მაგრამ კიდენ, მინდა ვინმე მიუსიო.

448.

რას ვაგრძელებ დაგჳმარცხდა, და ღჳთის-რისხუა მო-
გჳწვლინა,
არ დაბრუნდეს ღჳთის-ბრძანება, ერთ-კელ თუ გამოი-
ვლინა,
მადლი მასუე ადრე ხანად, კიდევ მათზედ დაგჳწვლინა,
აწ უყურეთ ქსნიდამ მოსულთ, თუმცა რაზომ გარდევლინა.

აქა მოურავის გაბრუნება მესამეს დღესა ნოსტედამ ლიხის ქალაქისა; ციხის თათრების გამოსჳლა, ლიხის დასარბევად, და მოურავისაგან მათზედ გამარჯჳება.

449.

მოურავს ეთქჳა ციხისა, თათრები ლიხს დამირბევენ,
ტყჳეს წაასხმენ ზოგს სახლებსა, ზოგს დასწჳენ, ზოგს დააქცევენ,
არ უშჳელი საბოლოოს, თავსა და შჯულს დამიწყევენ,
მივალ ვნახავ მინბაშებსა, მეთოფეებს რათ მისევენ.

450.

მესამეს დღეს ნოსტიდამე, ლიხს გაბრუნდა მიაშურა,
არ გიკჳრს რომ ამ დიდს ომსა, ბრძოლისგან არ დაუშურა,
გარდახედა ლიხს არბევენ, ჯავრისაგან სისხლი უშრა,
რა გაჭირდეს სიფიცხე ჰსჯობს, სიზანტეს აჯა მაშრა.

451.

დაკოცნა და გააქცივნა, კჳლავ მისდივა ვერამდისა,
რაც გიქმნიათ ის გეყოფისთ, მოვიდოდი ვირემდისა,
ასრე თქჳენ ვით მამაბუნეთ, კიდევ სული ამომდისა,
ყორჩიბაშმა გამაქცივა, ციხის-კაცნო თქჳენ რა გრჯისა.

აქა ყორჩიბაშმა, ანდუყაფარის ცოლის გამოსაყჳა-ნად არშიდამ. ზურაბს სათვიცარი ჰსთხოვა და ზუ-რაბმაც მისცა სათვიცარი; ქალიც მოგცე და არცარა ჩემს მამულში ლაშქარს დაუმარცხდესო, და მო ის ჩემს მამულში ნუ წამოვა, ლაშქართ ქსანზედ ჩა-მოიაროსო; დასჯერდა ყორჩიბაში და გაგზავნა თორმეტი-ათასი კაცი, და როსტომ რომ ქართლს გაბატონდა, დავით სჳმონ-მეფის ძმის-წულსა მა-შინ ხოსრო-მირზა ერქჳა და ის უთავა: აწ უყურეთ, თუ რას ყოფით ჩამოვლიან.

452.

როს შეიპყრეს ანდუყაფარ, ცოლი არშას დაუტყუეს,
ყაენისგან მოცემული, იყო ამით შეატყუეს,
ეს ლაშქარი ამით უფრო, გამოგზავნა ის იპოეს,
აწ დაუწყეს ლაპარაკი, ზურაბის-ძმებს დააყოეს.

453.

შეუთჳალა ყორჩიბაშმა, ზურაბსა და მისსა ძმებსა,
რად არ იცით შეპყრობილსა, ხანუმს ყეენი ემებისა,
თჳთ არის შჳლის-შჳლია, ურჩევნია თავის ძებსა,
მე მომეცით გავჰბრუნდები, თორემ ვერ-ვინ გამაძებსა.

454.

ფიცსა მოგცემ შენს მამულსა, მე ვაწყინო არა რამე,
თქჳენც აგრევე შემომფიცეთ, სათვიცარი მოგცე რა მე,
ჩემს ლაშქარსა თქჳენს მამულში, არა ევნოს თქჳენიდამე,
მერმე დიდს ჯარს გამოვჰგზავნი, გამოვიყჳან ციხიდამე.

455.

როს მოსჳლოდათ ეს ამბავი, ეთქჳათ კარგი რჩევა არის,
მიჰსცეს ამათ საფიცარი, თქჳყს თუ ფიცად ვჰგონებ კმა-
რის,
ჩემს მამულში არა ევნოს, მაგრამ ის გზა არ-თარის,
მო ის ქსანზედ წამოვიდნენ, შიში ნუ აქჳსთ ავის-დარის.

456.

გამოგზავნილთა არაგჳ, შევლეს მივიდნენ არშასა,
გიორგი არჩევს სხჳას თათბირს, და ერიდება არშასა,
ისარს დაუწყებს სროლასა, თოფსა დაუმრავს მაშასა,
ხანებს დაუხოცს ყაენსა, ხონთქარს არც-ერთსა ფა-
შასა.

457.

მივიდა არშას ლაშქარი, გამოიყჳანეს ხანუმი,
საგძალი არ შეიტანეს, ხან მწჳარი ჰსჭამეს ხან უმი,
ავს-დროს შეასწრო გიორგიმ, ქალი გამდელი ხანუმი,
რა გამოჰსცილდეს ლომისას, კმა არის მო დასადუმი.

458.

გამოსცილდენ ლომისასა, უკან მოჰყჳა მათ გიორგი,
გამოიქცნენ არ უყურეს, რაც მოჰსდევდა უკან ბარგი,
მოჰხოცდენ და მოჰსმახოდეს, წინ დამხდომნო აწ ივარგი,
ეს სახელი მე მიქმნია, ნუგზარის-შჳლს ჩემთჳს დარგი.

459.

ეს ამად ჰქმნეს თუმცა ფიცი, გასტეხოდათ ამათ-არა,
მოსწეოდენ სხჳს მამულში, დაემახნათ ამათ არა,
ყიზილბაშთ ჭკჳა დაეცდინათ, არ ხლებოდათ ამათ არა,
კარგად ჰსჯობდა გაესინჯა, მოეზახა მოეთარა.

460.

წინ დაუხჳდა მოურავი, და ისე ქსნის-მპყრობელი,
ქაიხოსრო მუხრანისა, ბატონია კრმლის-მსობელი,
ზურაბ ქჳწლი მეომარი, და დათუნა საქებელი,
წინ დაუხჳდათ გამოქცეულთ, აწყევლინეს მათ მშობელი.

461.

ორთავ შუა ჩაიყარეს, უკან-მამყოლთ წინ-მამყოლთა,
ყორჩიბაშსა აქ რჩევისთჳს, აკინებდეს ვერ მიმხდომთა,
ცოცხალს რადა მოგჳარჩენდა, არშას ციხის ჩჳწნ მიმ-
ხდომთა,
უფროსს ჭკოცდეს მახჳლითა, სხჳათ აქა-იქ კლდეზედ
მხლტომთა.

462.

წასჳლის დონე აღარ ჰქონდათ, მათ მოეღოთ სულ ჴელ-
ფეხი,
განურისხდათ შემოქმედი, მოევლინათ ზეცით მეხი,
ხმას ვედარს იღებდიან, არც ისმოდა მათგან ჭეხი,
ქარქაშიგან მათ ისრებსა, ართმევდიან ჰქონდისთ ჩეხი,

463,

წინ შეუკრეს ასრე გზები, არსით კარი გაეღება,
იგინი დგეს უჩუმარად, ამათ ხმა არ შეეღება,
სისხლთა მათთა მინადენთა, სამ-დღე ქსანი შეეღება,
ცხენი მათი საჭურჭლითა, ამათს სახლში შეეღება.

აქა ყორჩიბაშის წასჳლა, და როსტომ მეფის მმის-წულის ბაგრატ მეფის-ძის პატარა სჳმონის ქალაქ-ციხეში დასმა საბატონოდ.

464.

ამ საქმეებით გაბრუნდა, სჳმონ-ხან ქალაქს დააგდო,
სხჳა ვერა გაარიგარა, ვერცავინ სხჳაგან გააგდო;
ქართჳელთ და კახთა დაჭერა, მართ ისევ ჩემზედ მოაგდო,
ისევ დავიჭყარ ორივე, სჳმონ თქჳა ვეღარ ჩაავლო.

აქა შაჰაბაზ ყეენის სიკჳდილი, და შაჰ-სეფის ტახტზედ დაჯდომა.

465.

აწ გარდიცჳალა შაჰაბაზ, ჯოჯოხეთს დაიმკჳდრებსა,
მას მტერობისა მორიოს, სიკჳდილი მომიყუდრებსა,
მისს მკლის-მკლსა შაჰ-სეფის, მის წილად ამიყუდებსა;
ჰირჳწლ წყალობით მომხედნა, ბოლოსკი გამიცუდებსა.

აქა მოურავისა და ზურაბის დაქიშპება, და მოურა-ვის უკუ-დგომა.

466.

არა ჴსჯირს საქართჳელოსას, დიდებულთ განა მცირეთა,
აზჳავდებიან იტყჳან, უჩემოთ ვინ იმღერეთა,
მდაბალს კაცს არ ახსენებენ, იტყჳან დამიჯირეთა,
კაცი ჴსჯობს საქმე კეთილი, ანგაარ მოგულ-მჳრეთა.

467.

ზურაბ და შიოშის-შჳლი, იყჳნეს სიმე ცოლის-ძმანი,
გაეზარდა მოურავსა, უთვილო-იყჳნეს ვითა ძმანი,
აწ დაქიშპდეს უსაზომოდ, შუა დასჳწს მათ სამანი,
დაემტერნეს ერთმანეთსა, აღარ მიჴსცეს წამ სამანი.

468.

მოურავი უფროსობდა, მას ზედა და ქართჳელთაზე,
თუ ეტყოდა დასხდებოდენ, თჳარ იდგნიან სრულ ყჳწ-
ლაზე,
ქეშიკშიგაც უწჳწბოდეს, თავითაც და სხჳა შუაზე,
ვინც შეჴსცოდის ყჳწლამ უთხრის, დაკარგეო გაალაზე.

469.

მე ზურაბსა მოურავმა, დამამოუჳრა გამიერთა,
ჴსთქჳა უბოძეთ ზურაბს ქალი, გაიგონეთ სულ აშერთა,
მოიყჳანა მჳხლს მავოცა, და გამყარა იმიერთა,
მაშინდელთა ამათს საქმეს, სულ ვერ დავჴსწერთ ცუდად
ვჴსწერთა.

470.

რას უშჳელი გარდიკიდნენ, მე ზურაბსა მიმიყენა,
სულ ქართჳელნი შემომმარცჳა, ერთიც აღარ მომიყენა,
ზურაბს უთხრა შინ წაბრძანდი, ამ სიტყჳსა ნუ მიწყენა,
პირჳელ იგი გაისტუმრა, და მეც უკან წამიყენა.

471.

მე ეს მითხრა ღმერთმან იცის, ქართლი მოგეც ჩემი თავიც,
მაგრამ რა ვჰქმნა არ განდომეს, ჩემი თავი ვით ვარ ავიც,
მაგით თავსა ვერ მოვიკლავ, ან გულს დანა როგორ დავიც,
თქჳენც წაბრძანდით ზურაბთანა, იქიც მოვალ მითქჳამს დავიც.

472.

აღარ იყო გაცლის მეტი, ღონე სხჳა რა მომეღონა,
გავეცალე ჯავრით სავსე, მისმა საქმემ დამაღონა,
მიველ დუშეთს ზურაბისას, იმანც თავი მამაწონა,
მითხრა ჰნახავ კელმწიფეო, მათ ყჳელაზედ არ მოწონა.

აქა მოურავმან იმერეთის-მეფეს გიორგის შჳლი ჰსთხოვა ქართლის საბატონოდ, და მეფემ მამუკა ბოქოულთ-ხუცესი ამილახვარ აბაშის-ძე და ზემო მხრის ლაშქარი მოჰსცა, და ათაბაგმა და სათარ-ფაშამაც ლაშქარი მიაშჳელეს, და ქართჳელნიც მას ახლდენ, ზურაბ ერისთჳსა და იოთამ ამირახორის მეტი; მიუხდა მოურავი და რაზმით შეიბნენ ბაზალეთს.

473.

აქ დაუწყო მეფეს თხოვნა, შჳლს ქართლისა საბატონად,
აჰყჳა მეფეც აიყოლა, ბრძანა არ აქჳს დასადონად,
ათაბაგსაც ჯარი ჰსთხოვა, ქრთამით რისმე მოსაწონად,
ორთავ მოჰსცეს მას ლაშქარი, ჩემად სამტროდ არ საყონად.

474.

მოვიდა დუშეთს მოგჳხდა, ქართჳელთ და სხჳათ ამ ჯარითა,
საკჳდავად გამოგჳმეტა, გულითა საომარითა,
უთხარ ზურაბს და ჩემს კახთა, ერთს ომად თქჳენცა ჰკმარითა,
მე ჩემი ქრისტე შემწედ მყავს, არ ვიბრძჳ მეომარითა.

475.

ზურაბ თქუა და ერთ-პირ კაცთა, ვიცით ღმერთი გჳყავს
მოვარჩჳულად,
ყმას პატრონზედ გაემარჯუოს, არ გჳასმია ასრე მჳცლად,
თქუჱნს წინ თავი სასიკუდილოდ, დაგჳცს იდუას მმო-
ვრი ველად,
ღმერთმან ჰქმნას და სამართალმა, გაგჳმარჯოს მო-
დანდელად.

476.

ედიშამ სთქუა ღუთის მადლს კაცნო, ეცადენით ვინ მას მო-
ხჳდეთ,
საქართუელოს ის როგორ ჰრევს, სხუანი ეგრე როგორ
წავხდეთ,
თუ ვინ მოჰხუდეთ მამაცურად, კარგად გმართებსთ რომ
მას დასჳდეთ,
თუ ცოცხალი გარდგჳრჩებით, კიდევ გაგჳრჯის უნდა
ვვახდეთ.

477.

თუმც არიან უმრავლესნი, ეგრეთ დგანან ვითა ტევრი,
ღუთის-წინაშე სწორე არის, შავი ზღუა და ისრე ბე-
ვრი,
ბევრს კუილსა მოერევის, ჟამ ერთს გალეწს ერთი კე-
ვრი,
ერთმან ჰსმლიოს ასეულსა, ორმან მოსრას ბევრის-ბევრი.

478.

რა მოვიდნენ ბაზალეთსა, მოუკიდეს მათ ცეცხლები,
ავი დარი დაჰსცემოდათ, დაჰკუეთოდათ მათ კელები,
დავინახეთ მჰსწრაფლ მივჰმართეთ, ჩუჱნ სახლებსა ნა-
ტყუილები,
შეჭურვილთა მეომართა, ცხენნი გჳყვანდნენ ივეცხელები.

479.

მე მახლდენ ქართლით ქსენი, ზურაბ და ამირახორი,
ხან წამივიდის როთემ, ხან დამრჩის მწჳე ნამსახური,
მზე კეთილი საჭურჭელად, სრულ კარგი არ უსახური,
ხანჯარით მახლდა ხან ასე, თუ შერჩის ორი მსახური.

480.

მივედით ორგნით შეიქმნა, შეტევა შემოტივილი,
ჴმის ბაიბუი არ იყო, ზახილი არცა კივილი,
დაუკოდელი ვერ მოვრჩით, იმ-წამს არ იყო ტკივილი,
თუმც მაშინ ვერ შევიგენით, მერმე შეგჳექმნა ჩივილი.

481.

მოურავს რა დავენახე, შეჰბრალოდა ჩემნი კახნი,
ჩემი ეთქჳა უღირსი მმა, ამოსწყჳტნა მწივით მკჳახნი,
დჳთით ამათვე მეზარადნი, დაუმსხჳრიეს ვით კჳახნი,
დაჰკოცეს და ჴელს შეიპყრეს, ის წავიდა ცუდ მომკჳახნი.

482.

გოგორი-მჳლს დაუთ-ბეგსა, მისი კურტავი ჩააცო,
თჳსსა ლურჯსა ცხენსა შესჳა, უთხრა აბა გაი-კაცო,
ზოგი შუბით ჩამოაგდე, ზოგს ზურზედა ლახტი სტკიცო,
ვინ მოგიხდეს კარგა დახჳდი, ვითა გმართებს შენ მამაცო.

483.

პირჳელზედვე შემეყარა, ეს დაუთ-ბეგ შუბ ჴელს მქონსა,
შუბი ვჰკარით ერთმანეთსა, მაგრამ ვერც ერთს დაგჳმონსა,
მერმე საამ კობისა-მე, მოგანებით შუბს მოსწონსა,
მოვიდა და გჳერდს შემოჰკსცა, მას მოერევის ჩემსასა.

484.

ვეღარც იმან ჩამოაგდო, და ცოტადრე გარდახარა,
მას კჳლავ ზურაბ შეუმახა, მოურავო თქჳ თუ ხარა,
მიშჳელს ბარკალს ჴრმალი დაჰკარ, ეგრე რეტად რას სდგეხარა,
სრულ მოჰკჳეთა გარდააგდო, იცოცხლადა მან გლახ არა.

485.

მერმე შემხჳდა ასაშიმე, იგ დონენა ქაშხეთელი,
თავი ფარში ჩამოეყო, მოეხარა ვითა თელი,
ფარის კუბოს შუბი მიკრა, მაგრამ ვერ მყო მიწას მთელი,
ხამკლავეცა გამიტეხა, და დამკოდა მუნ ნათელი.

486.

ელიმას თქმული გათავდა, ეპოვნა მოურავის,
გულ-სრულად თურე მივიდა, მან ადასრულა დავის,
ჭმუწარადო ომს შესჳლა, კარგთა კაცთაგან ავის,
ამანც შემოჰკრა მაგრამე, მანკი გაყპო თავის.

487.

რა ელიმა ჩამოაგდო, ადგა უნდა მოსწეოდა,
მან დაასწრო თავსა დაჰკრა, კრმალი მლივდა მოეწჳადა,
შუა პირი მოეხჳელდრა, ართუ მჯიდი მოეწჳადა,
ეს მოჰკლა და ვარდიხჳეწა, გლახ-გრმლად წყლული არ
ეწჳადა.

488.

ერთს ომს უფრო გასაჭირსა, მართლ ადარ-სად დავა-
ჰხდომივარ,
ჩემს ჯარ-მიგა დაუკოდი, მკრად მორჩა და არც მე ვარ,
გამემარჯჳა დჳთის-მალითა, არ მოვჰკჳეცსდი სულ ომში
ვარ,
უმანი მეუჳანდეს ნაომარნი, ვით ამირანს მის ისა ვარ.

489.

მომალოცეს იმერელნი, ქართჳელები მერმე მესხით,
შეუმახე დიდებულნო, რას საქმეზედ თავს დამესხით,
თქჳენგან იყო რა საქმნელი, ჩემზედ ამას თქჳენ მო-
ესხით,
ვჰბრძანე მანდა ნუდარ გიდგან, არე აქეთ წამოასხით.

490.

ხოსუა მაჯავარიანს, მიუყრე რა მოგაწიო,
ყურებს დავჰსჭრი მირ-მიგანა, ნუ ეჭჳ ახლო-დავიწყო,
შემეხჳეწა სულ ნუ დამჭრი, ცოტა იქით მიიწიო,
როდეს დაჰსჭრეს შემომძახა, არ მეგონე გულ-მილწიო.

491.

მოურავი ვეღარ დადგა, ახლა ხონთქარს მიაშურა,
ვერ კარგად ჰქმნა ორ-გულობა, ვერ ომი და ვერ აშურა,
ხონთქარმა ჰსცა მწჳეც პატივი, და წყალობა არ უშურა,
ერთს-თავს ვეზირს გარდაისად, მას წინ დგომით სხჳა
უშურა.

492.

ქაიხოსრო და იესე, კჳლავ სხჳა ბევრი ქართჳელები,
თან გადაჰყჳეს სააკაძეს, თავადები მირ-მჳელები,
იქაც ბევრი სახელი ჰქმნა, მაგრამ თავს გარდავევლები,
იქ დაჰკოცეს ქიშპობითა, ვეზირმა ჰქმნა ეს ნავნები.

აქა ზურაბ ბატონს წაუვიდა და სჳმონს მიუვიდა, ქართლი დააჭერინა, მერმე მოჰკლა, და თავი კახ-ბატონს გაუგზავნა, და ისევ მეფეს თეიმურაზს დაა-ჭერინა ქართლი სრულიად.

493.

რა წარვვლეთ ხანი ზურაბითან, დამიწყეს ჩხუბს ჩა-
მოგდება,
რა ვერ მიუხჳდა ეს მიკჳრს, ცრუს-კაცს თავისა აგდება,
სიმე იყო და მჳლად მჩნდა, მახსოვს კალისა დადება,
ადრე ამყოლი სიტყჳსა, მე აღარ მეიმედება.

494.

გავეცალე კახეთს ჩაველ, ის სჳმონ-ხანს მიუვიდა,
ფიცითა და თავდებითა, ქალაქს ციხით გამოვიდა,
წამოუმძღჳა ზემო ქართლზედ, თან მოჰყუჳა და წამოვიდა,
თუ მე ზურაბ მიორგულა, რად ვერა ჰსცნა თავს მო-
ჰსჭრიდა.

495

ცოტა ხანს სჳმონს ქართლი და, ზურაბს კელს ჰქონდა
ამარად,
ესეც მოსწყინდა ასრე თქჳა, აწ ეს მაქჳს მე საომარად,
მამას უხმობდა სჳმონ-ხან, და ფიცი არ იწამა რად,
მოჰკლა მან ჩემად უგრძნობლად, მიწა მლივ მიჰსცა სა-
მარად.

496.

თავი უფადარს მამწივა, ყაენთან წასჳლის მდომელსა,
ვით გაგიშჳებდა ჴელითა, ვითარ გჩედავ სჳელთ-მდგომელსა,
ყეენთან წასჳლას ქ҆ე ჰსჯობს, ქართლიდგან შემომწყრომელსა,
ბოლო არ გაუთავდების, ბატონის სისხლის მდომელსა.

497.

აღარ წაველ ყეენთანა, ისევ ქართლსა მოუბრუნდი,
აწ სრულ ერთ-პირ დავიჭირე, სომხითითვე არ დავსჭმუნდი,
ხან სიმაღლეს ხან სიმდაბლეს, მიმცა ვინმე ასრე უნდი,
ორსავ კარგა ვიტჳრთევდი, არც-ერთს არას შევუდრონდი.

498.

ამ დროს ვჰსთქჳ ლეილ მიჯნური, ზილიხან იოსებისა,
ქება შჳენება სიტურფე, მიჯნურთა ცეცხლებრ-დებისა,
გაჭრა მინდორად ჴელობა, გულთა ლახჳრულად სობისა,
ტკბილად რამ აღმოვმეტყჳელე, ლექსები სხივ-შუქებისა.

499.

გამოვარჩინე ნათქჳამი, მე ჩემის მუსიკობისა,
არ დაშჳრა ენა მეტყჳელი, ტკბილად მათ ზედა მკობისა,
განმარტკჳთა ვჰსთქჳ ქართულად, თქმული სპარსთ არაკობისა,
საამოდ მჩენი მსმენელთა, მათებრად აშიყობისა.

500.

აღარა მყჳა მტერი მოღმა, მეომარი შემომბმოდა,
დამმორჩილდა ყოველი ურჩი, ჴელთ-საბელი ვითა მბმოდა,
ყოვლგან ისმა ეს ამბავი, და შეიქმნა საამბოდა,
შჳება იყო სამუდამო, ლხინ-სოჰბათი შეიმკოდა.

აქა ბატონმა მეფემ თეიმურაზ ლეკის წახეთის მი-ხდოშა მოინდომა, სარუბაშს, ალონში ცხენი წაექცა, და ამის გამო თჳთონ ვეღარ წავიდა, და ზურაბ უთავა ქართჳელთა და კახთა და მიუხდა.

501.

გამიწყრა ოდეს ყეენი, მას მოჰყჳა წახეთს ვინ ზისა,
ალი-ბეგ სახელ-დებული, პატრონი სარუბაშისა,
მისი მომინდა პასუხი, ჩჳენება ჩჳენის რაზმისა,
მათ შეკანანე სიკჳდილით, მოყოლა შაჰაბაზისა.

502.

ალონში ცხენი წამექცა, თავს მტჳრი გარდავიყარე,
მალიან დამცა მიწასა, მაჯები ამოვიყარე,
ვეღარ შევიმელ ლაშქრობა, ვერ წაველ ვერ ავიყარე,
ზურაბ კახნი და ქართჳელნი, მათად სამტეროდ წავჰყარე.

503.

ქველოთ მისჳლოდეს სარუბაშს, მას შეეტყობრად მყო-
ფარსა,
ასრე შეპარვით მისლჳოდენ, მაღლებსა მათსა მეეფარსა,
ვეღარ გაუსწრეს წახეთსა, გარ ჯარსა შემოიყარსა,
შეუხდებიან ამლევენ, კრმალსა და ფარსა ხანჯარსა.

504.

ზურაბ ცხენსა გარდაუხდა, შეუმასხა სრულ ლაშქართა,
გარდმოჰხედით ყ[illegible]წლა ცხენით, ვინ ბრძანდებით აქა კართა,
ვიდა მიხჳალთ მეფესთანა, თავს ვერ ჰნახავთ განახართა,
ვჰსძლევთ ომითა ვერ დაგჯდგმენ, კრმალ მოწდჳლთა დანა-
ფართა.

505.

ამ სარდლობით მალ ავიდოთ, ჯებირი და სხჳა სიმაგრე,
თავი მოჰსჭრეს ალი-ბეგსა, შეუზახეს იდევ აგრე,
ვით გმართებდა შექმნილ-იყავ, შაჰაბაზის შენ მოსაგრე,
სარუბაშმა ვერ დაგჳდგნა, წასახური გაამაგრე.

506.

მოვიდეს თავი მომართჳჩს, კჳლავ ნაშოვნის ფანჯიავი;
სახლნი მათნი მოეღჳარნეს, შეუღებნეს იატაკი,
ზგი მხარე მოირბივნეს, დაეცალა ცხჳართა ბაკი,
მაშილოცეს მიულოცე, თქჳჩს გათავდა თქმული აკი.

აქა ზურაბ ერისთჳს სიკჳდილი.

507.

ენის მალი შენ გიქჳამს და, ცოტა რამ მეც მოგახსენო,
ტკბილი ასპიდს მოამდოვრებს, მწარე მირში გარდახსენო,
თუ კარგ გჳარად გაგასინჯო, მგონივ აგად არ მახსენო,
ავმა ენამ საქმე მიყო, ავი ღჳთის მადლს ჩამახსენო.

508.

ენას აქჳს გესლი ბოროტი, უმწარეს ასპიდისაგან,
თჳთ დამიცდის აგრევე, ვითა მასმია სხჳსაგან,
წინასწარ-მეტყუელთ ასე თქჳს, დამტკიცდა თჳსთა თჳსაგან,
მათი მესმინა მიჯობდა, ეწჳართა ავს ავისაგან.

509.

ენა მლიქნელი გონებას, მყუდროსა მშჳდად დებულსა,
გულსა განმსჭუალავს და ძჳმლსა, გააპობს სიბრძნით ქებულსა,
ანაზდად აღჰმართავს რისხჳასა, შეიქმს ცეცხლ-მოკიდებულსა,
ადადუღებს ნაღჳლს ცეცხლებრ, ცნობაზედ ზედ მიწებულსა.

510.

ყურსა ლახჳრულად ეცემა, უმაგრეს გრდემლ ნაკრავისა,
თჳალსა აამღჳრევს წმიდასა, ხედჳდეს ავს არავისა,
თმათა აშლის ველ-ფერხთ ფრჩხილებს, გასწჳავს ცეცხლ-განაკრავისა,
შფოთის აყოლებს ვინც ისმენს, უმშჳდეს იყოს კრავისა.

511.

თუ ვინ ჩავარდეს წყალსა და, აღმოჴხდეს დაუსვე-
ლებლად,
წიაღმი მკვრელი ცეცხლისა, ვით დარჩეს დაუმწველებლად;
ან ბადეს ვინღა განერავს, აცილდეს გამოსადებლად,
ვინ უსმენს მლიქნელს ენასა, არ უნდა ცუდად სადებლად.

512.

ვისაც არ უნდა აყოლა, სიტყჳსა ავის ცუდისა,
ვის ნაკვერცხალი კალთასა, დაგეცესთ შეშა უდისა,
ანაზდად თუ არ გადაგდებ, ნატისუსალი უდისა,
აგრეთვე ენას თუ უსმენ, დაგრჩებს დაიბუდისა.

513.

რადგან ეს ვიცი რად ავჭევევ, ენასა ავის მშობელსა,
ლბილისა გამსალებელსა, ივოლადის დამადნობელსა,
უცებთა შეუტყობარსა, ბრძენთაცა მლივ საცნობელსა,
ყელ-შიგან წამჯირებელსა, საბელსა დამარჩობელსა.

514.

რას მიშველა ვინანი და, ღმერთს ვეაჯი მოტევებასა,
მაგრამ მნელად გაემლების, ყმის მატრონზედ აზვავე-
ბას,
ორივ ერთად შემეყარა, ამად ვერ ვიქმ ჯავრთა გსებას,
ავი ენა იგ ამაყი, ასრე შემიქმს მე დავსებას.

515.

ჰსჯობდა თუ ორივ დამეთმო, ღვთის წინ და ამ სო-
ფლისადა,
ვირე ვსცოცხალვარ ვინანი, სამუდმოდ ცრემლი მდი-
ოსადა,
რათ მოვკალ ვით შემოვიკალ, მჯლის უმჯობი მმისადა,
ნამსახური და კვლავ სიძე, სიკეთე ჩვენს მოდგმისადა.

516.

ღჳთისა მეშინის და კაცთა, მჭირცხუჳნის ამისა მყო-
ფელსა,
გული გაშმაგდეს, ჴელი შემახმეს, მე მის ლახჳრისა, გულ-
თა მსობელსა,
სახელმწიფონი ოხრად მიჩნს, რას ვაქნევ მე საყოფელსა,
იმ სოფელს ნუმც მკითხება, გარდამხდეს ამავ სოფელსა.

517.

ამისგან უგრძელ ამის თქმა, ავია ამად გავუშო,
გჳწრდ მიჯდა ვბრძანე სიკჳდილი, სისხლი მან ჩემს
წინ გაუშო.
დედამ მისთანა თავადსა, შჳლი ვეღარ-ვისღა უშო,
რადგან ის მოვჰკალ ამაყი, აღარ მმართებს სხჳაღა
უშო (*).

(*) ამას ზეით ლექსები სამისა ერთ-გუარია, იამბიკოდ რომ თავ-ბოლო ლექსად აქუს; სხვს იამბიკოდ ზეით-ქუჳთითი სტრიქონი, და თავ ბოლო ლექსი აქუს; ცხრა ლექსი ანბანთა-ქებისა ოსეთს არის ნათქუამი ქორონიკონის ლექსით, ორმოცს დღეს.

არჩილ.

518.

ამას ზეით ოსეთს მათქჳამს, ამას ქჳევით ვიტყჳ რუ-
სეთს,
სოფლისაგან არას მიკჳრს, მობალახეც მივლენ მისრეთს,
კარგად მიყო არ ვემდურვი, ასრე უნდა საქმეს ისრეთს,
კიდევ ღმერთი კარგად შეჵსცჳლის, მოწყალებით ისრევ
იმ ღმერთს.

519.

ნაღჳლის რასმე საქარვებლად, მე ეს საქმე ვიმეგობრე,
ქჳეყანაა მჭიდრო რამე, სამესისხლო სამეკობრე,
ზოგთ ვაქებ და ზოგთ ვამაგებ, ავის საქმის მე დამა-
გმობრე,
ასე ამანც შემიქცია, აღარა რაშ ვისალმობრე.

აქა მეფის თეიმურაზისაგან ულუკოსორს მიხდომა.

520.

ამას უკან გავილაშქრე, და მიუხე ულუკოსორს,
თუ ამირან გაჰბედევდა, არ უქმნია ეს არ ნოსორს,
სამს-დღეს შევკლე დაღისტანი, ოთხისაგან უფრო მოშორს,
რას ეჭჳ ამას შემმართჳწლი, შევებმოდი დვალს ან ოსორს.

521.

დავსწჳ დავტეხე კოსორი, უწინ არვისგან ქმნილ-იყო.
თუ არ ისევე ჩემგანვე, უთუოდ სხჳსგან ძნელ იყო,
ნატყუჳწნავი და ალაფი, ჴოის მუხრანსა განიყო,
ვეღარ მემტერნეს მას აქეთ, მერმე მშჳდობა დამიწყო.

აქა არეზს აქეთის მორბევა მეფის თეიმურაზისაგან.

522.

აწ და ჩავედ არეზს აქეთ, მოვაოხრე მოვარბივე,
ორ-გული და ურჩი ჩემი, ვინც გამოჩნდა დავარბივე,
ამ ორისავ ტახტის მჯერმა, მეფეც მოუჴრად მოვიმივე,
ურჩსა მივე არაფერი, ერთ-გულებსა ბევრი მივე.

523.

დაუთხან იჯდა განჯასა, უნდილამე ბეგლარ-ბეგად,
წამოვიდა მამივიდა, თჳთ ჩემთანვე იყო მდეგად,
სრულ ყაჯარი თან ისხლა, იორზედა დადგეს ბეგად,
მერმე კახნი თავს დაასხა, მოსასრჴმლად გარდაგებად.

524.

ყაენმა მთხოვა ბევრითა, წყალობა უზომოთა,
დასწყნარდი მომეც დაუთხან, გამეღ ჩემითა ომითა,
წყალობა გიყო მრავალი, ას ვერვად შემომდგომითა,
ამად ვერა ვჰქმენ ვერ მივეც, რომ ხრმალზედ მომენ-
დომითა.

აქა სააკაძე როსტომ-ხან სპასალარი გამოგზავნა შაჰ-სეფი ყაენმან, და როსტომ ბატონის სჳმონის-ძმის დავითის-შვილი გამოატანა ქართლს გასაბატონებლად და კახეთს სალიმ-ხან.

525.

აწ სააკაძე როსტომ-ხან, ერანზედა სპასალარა,
ჭულავ დაუთხანის-შვილს მისცა, მას როსტომ ერქო სადარა;
ქართლი მისცა და სხვაც ბევრი, საჭურჭლე მასცა სალარა,
მოვიდნენ თუმცა გამაგდეს, მოისჳენებდა მალ არა.

526.

რა მოვიდენ ბარათიანთ, ფიცი შესტქსეს მიუვიდენ,
რა დათუნა ერისთავი, მისის ძმებით შეთაბუნდენ,
ჴრმალი ვეღარ გავუმართე, ყმათ რათ მიყჳეს საქმე ესდენ,
მეც წაველ და ჩემნი ყმანი, იმერეთს ვერ გადმოვიდნენ.

527.

ქართლი როსტომ დაიჭირა, და კახეთსა დასჳეს სალიმ,
ჩემი ქრისტე ადრე მომრევს, გამიმაგროს ის ვერ ალიმ,
რა მივუხე მოარჩინა, ცხენმან მისმან მეხლად მალიმ,
ისევ ფეხზედ დამაყენის, გაზელჳამ და ჩემმა მალიმ.

აქა როსტომ მეფისაგან დათუნა ერისთავს მოკვლა და საერისთოს შეხდომა; დამარცხება, და ზაალ ერისთავისაგან მეფის თეიმურაზისა ანანურს დვალეთზედ მოყვანა.

528.

როსტომმან მოკლა დათუნა, თავი ყეენს გაუგზავნა,
რა შეუხდა საერისთოს, სხუათ ძმათ აღარ დაეზავნა,
ზაალ მისმან უმცროსმან ძმამ, გამოქცევით გამოგზავნა,
რომელიც რომ ახლდა იმას, ისიც დარჩა დიდად ავნა.

529.

გამოგზავნა ჩემთან კაცი, ფიცითა და თავდებითა,
ვერ ვჰსცოცხალ-ვართ მანამდისინ, ჩუენ ამ მარზედ
დავდგებითა,
არ ვიტყუოთ არას საქმით, არას მიზეზს დადებითა,
არ სიტყჳთ და არა ტრელით, არ აქა-იქ მოდებითა.

530.

შემიჯერეს ფიცითა და, წაველ მთისკენ ანანურსა,
დვალეთზედ გარდავიარე, რა გზა მექმნა სადაურსა,
მომეგებნენ მხიარულად, აღარ მჭჳანდეს დანამდურსა,
მერმე წყლილად მაანბობდეს, მენ ამბავსა აქაურსა.

531.

ზალიმის თქუჱნს მოსაზრუნს, დგომა სახლისა აგებს,
კჳლავა როსტომის ტყვილისსა, სამუდმოდ სუფრის დაგება,
გჳმაჩვენს როსტომის მტერობა, ზალიმის მალ გარდაგება,
მაგრამ ზალიმის გაგდება, ჩუგის ჭხთქუჱს ჭსჯობდეს ეცება.

532.

თქჳფს თუ როსტომ ციხესა ჭზის, სალიმ არის კახეთშია,
ესე მესმა გაჯავრებულს, ლომს ნადირზედ მომემშია,
გარდაუხე გავისტუმრე, ფეხ-შიშჳფლა უმაშია,
ჩემთა ყმათა წინ მიმისწრეს, ფანდური-ჭკრეს დუმაშია.

533.

კახეთი იყო უკაცო, კჳფრნა ქჯან და გაღმართი,
ასე მოგჳფშურნენ თათრები, ვითა ისრაელთ წარმართი,
ანანურს ვიდექ სამს წელსა, ვიარე აღმართ-დაღმართი,
მრავალი მტერი ამიტყდა, მართალი არ უკუღმართი.

აქა ოზია ყორჩის დავით ასლანის-შჳლის და გულბადის-შჳლის გარსევან ჭავჭავაძისა ანანურით სანადიროდ წასლვა და ლეკების დახდომა.

534.

ანანურითგან წავიდნენ, გარსევან და მამუკაჲ,
თუმც მამუკა უმჯობეა, მაგრამ არის ისიც კაჲ,
თჳთანც კარგნი მეთოფენი, და იმათი სააკაჲ,
აქათ მივლენ თჳთ ქსენი, მთიულს დახუნდა ბაკაკაჲ.

535.

რა მოვიდნენ სანადიროს, ორნივ წავლენ ორსავ მკარეს,
ლეკნი თურე მზირად უსხდეს, ორმოცია არემარეს,
ბუსუნი ჰქმნეს ჩაცა უსხდენ, არ თუ შორით მოუარეს,
მათ ერთი ლეკი ზეზედ ჰყავსთ, ახლო იყო არ თუ შორეს.

536.

ლეკი ნახეს ზეზედ მყოფი, მისმა ნახუამ გააცინა,
ერთმანეთსა დაჰპატიჟეს, სროლა მისი სისხლთა მდინა,
ჰგავს გარსევანს უსროლია, მაგრამ კიდეც დაეცდინა,
რად ვერ მოჰხუდენ სხუათაც ყოფნას, კარგნი კაცნი რამ აცდინა.

537.

რა თოფის ხმა გაიგონეს, მზირთ ოვარული გაატხადეს,
ორნი დარჩეს მოდაბლებით, ლეკნი ზეით წამოადგეს,
გამოჰქრიდნეს უკან მოჰყვნენ, ვინც დაეცა ვეღარ ადგეს,
აწ უყურეთ მამუკასა, ჭკუა როგორ გამოადგეს.

538.

გარსევანს თოფსა დაცლილსა, ფეხითა წუბრკმა დაეცა,
ერთი უმახის მეორეს, კა მაგას დანა დაეცა,
მამუკა თოფით იგერებს, არ ესჳრის ჭკუა მოეცა,
გიუნა ჭნატრობს მამუკას, კჭხლებოდი ნეტავი მეცა.

539.

მამუკასაც თუ ესროდა, მოეკლამცა მას ერთიმცა,
მას მოჭკლავდენ უსაცილოდ, ჩაივლიდა ამათიცა,
კაცმანც უნდა იმ დღეს ჭკუა, შეინახოს და ღმერთიცა,
მოსულიყო სადგომს ეთქო, დიდი რამე მას ფუჭიცა.

540.

მამუკა ერთად ხოვიცხით, და მეორე ჭკუაც მოურჩა,
ესე ხასირცხოდ დაიდჳა, რასთჳს გარხევან დაურჩა,
თქჳა მე მივსდევ დაღისტნამდის, იმას ველარვინ დაურჩა,
ჯად მიიყჳანენ მივჭეჳწბი, მე თეიმურაზ დამარჩა.

541.

გავიდა გადმა სოფლებში, დავლო ფშაველთ ართანა,
ვინც ჭმოვა არვინ დაგდო, მან არ იახლა არ თანა,
უკან გაუდგა გარსევანს, ამხანაგს ნაომართანა,
იმტოლი კაცი იმ დროსა, მე აღარ მეჳანდა მისთანა.

542.

ლაგოდახსად წაეწივნენ, გარსევან ჭყავსთ ჰელ-შეკრული,
ნახა წინა ამხანაგმა აუფეთქდა მწოველ გული,
მამუკამ ჭსთქჳა არ შეხმახოთ, დაიღევით ასე ხული,
თორემ იმას აქავ მოჭკჳლენ, მეც დავრჩები დაკარგული.

543.

შეიპარნეს ტყჳს ბედითა, რა მივიდნენ შეუმახა,
თჳთონ მივა უჴფლას წინა, სხჳა არავინ წაუმახა,
ჰრმლით დახოცა მან ლეკები, აღარც სუნთქჳა აღარც ახა,
გარსევანც ლეკი შეიპყრა, რა ესენი დაინახა.

544.

ზოგთა თქჳცს თუ ესე საქმე, მამუკამა ვერ ჰქმნა კარგი,
კაი თუ არ მოსწერდა, მას უკან რაღდა ევარგი,
შენ რას იტყჳ მეკი მამწონს, ჩემს წინ იმან კარგა დარგი,
კაი საქმე წახდებოდა, თუ ლეკთ აქ არ დაებარგი.

აქა მეფის თჱიმურაზისა კახეთს ჩასლჳა და შე-
ნობის დადგმა.

545.

რამთენ-ჯერ ლეკთა შევები, არ მახსოვს მე სათჳალავი,
ან რაზმით ან წინ დახდომით, ან მდევრად დასადალავი,
ვერ წაგჳვიდის ჯარია; და იქა აქა მალავი,
უფროსი ერთხან ურჩემოდ, უმანი მეჰფს მათი მშალავი.

546.

ქისიყის ნაცჳალს ჯიმშიტას, ქისიყელთ არ მოურავსა,
ორ-ჯერ ლეკი რაზმის ომში, უყურე სისხლში მცურავსა,
დიახ სარდლობდა ჯიმშიტა, ომის თუალს მოიწურავსა,
ორ-ჯერვე გამარჯჳებოდა, მას სიკრდლის არ მიმწურავსა.

547.

კახეთს ჩავედით ბატონ-ყმით, მემკჳდრე არ თუ ახლები,
რასაც ვით გავსწჳდით დავსახლდით, დავიდგით ყოველგან
სახლები,
არაგჳს და ქსანის, ერისთჳბთანა ნახლები,
იყჳნენ კახნი და ისინი, ერთმანეთს მოყჳარ-მმახლები.

548.

ერთგნით ყაენის ლაშქარი, მებრძოდა არ ხანდა-
ხანდა,
დაუმადლებდა ჩემს წყენას, ასე სულთნები და ხანდა,
მეორედ როსტომ ქართჳელნი, ვინ კარგი ან ვინ და-
ხანდა,
მესამედ ლეკი მმტერობდა, სამუდამოდ ვინც გაშხანდა.

549.

მაგრამ ვერათ შემაწუხეს, ჩემგან იმათ ეშინოდეს,
ვლაშქრობდით და ვნადირობდით, ლხინს ვნახევდი მე შინ ოდეს,
მოვიდაო თეიმურაზ, როსტომს კაცი მიურბოდეს,
ხან გორს იჯდის ხან ქალაქსა, ციხეებში მწუხ ლხინობდეს.

550.

ქართჳელთა ჩემი ერჩივა, მაგრამ ყეენი მას ებს,
არეზს აქათი ლაშქარი, ხან ნაცჳლით ექემიკებს,
ციხეში იჯდა ფრთხილობდა, გაძნელდა მისი გამებს,
რა საქმე დაგჳანდებს, სხჳა რამე დაეწმასხებს.

551.

ხანდიხან დავზავლებოდით, ყეენს შევსმლჳნიდი ფეშქაშსა,
გამომგზავნიდა ხალათსა, მისს შესაფერსა ზარქაშსა,
კჳლავ რუსეთიდამ მოვიდის, ფლურით ავსებენ ბარქაშსა,
როსტომ მეფესაც გავჭრიგდი, ეხარის ჩემსა დამქაშსა.

აქა დიდოეთს მოსაქცეველად წასჳლა ბატონის თეიმურაზისა.

552.

დიდოთ ვჰსჯჳრეტდი ყოვლთ წარმართზედ, უღმრთოთა უჳსჯულესსა,
ღმთისგან შორს და მის უცნობლად, კულავ ემსგავს მემსხჳერპლესა,
არ უსმენდენ ეპისკოპოსთ, რაც რომ მათთჳს დააწესა,
ვჰსთქჳ აწ წავალ მალს ვურჩჳენებ, სულელთა და ჭკჳა მოკლესა.

553.

ამად წავედ მათ წარმართთზედ, მინდოდა რომ მომექცია,
მერმე თუ არ დაეჯერათ, ციხეები მამექცია,
ვაჲ მე მათგან კარგთა ყმათა, სისხლი კლდეთა მამექცია,
მათ ასეთი საქმე მიყჳფს, დასარჩობლად მამექცია.

554.

მიველ ჩავუდეგ ავიდეთ, ზოგ-ზოგი კოშკებიანად,
ვუთხარ არ მოხჳალთ ჰსჯულზედა, ყათლანს არ გიზამთ გჯანად,
მათ დაბალი თქჳფს ერთ-ხანად, ვჰსთქჳ აწ არიან ჭკჯანად,
მერმე მომიკლეს მამუკა, სარგებელი ვჰქმენ ზიანად.

555.

მამუკა მოკლეს თოფითა, ისროდეს შხამიანებსა,
ისარსა მათებრ უკუღმა, უცდურად დასანანებსა,
რუსთჳელი მირჩევს წამოსლჳსა, მე ვეტყჳ მას უარებსა,
მან მითხრა მეფევ ესე ჰსჯობს, ამისგან უარესებსა.

556.

არ დავუჯერე ავად ვჰქმენ, მიჯობდა გაბრუნებანი,
მათ იხმეს ლეკი საშუელად, მალ მოკლენ ექმნათ რებანი,
შეიქმნა ომი სასტიკი, კარგთა ვინ შესძლოს ქებანი,
საგორჯთ გამოაქციეს, მკრდალს დაუკარგეს მცებანი.

557.

ალავერდელი რუსთველი, მოჰკლეს ჩემს წინა და ახლო,
პაპუა აშრაფის-შვილი, კაი ყმა მუდამ სასახლო,
სულხან ბაზიერთ-ხუცესი, ჟამ წარვლილი ვინდა ახლო,
მასთან ნათანელ მდივანი, მისთჳს ვინ შეკრას გაახლო.

558.

რევაზ დაჰსჭრეს სალთ-ხუცესი, მე ცხენი ქუეშ გამო-
მიკლეს,
ქილავ თამაზა ჯაზდანიძე, მათ იმატეს ჩუენთა იკლეს,
მე ცხენს შემსუა გიორგიმა, უკეთესსა არ მუხლ-მოკლეს,
რადგან ბევრი მტერი მყუანდა, რას ვებრძოდი ჭკუა
მოკლეს.

559.

ეპისკოპოსთ დარბაისელთ, ამოწყუეტილი შინ მოველ,
ისინი ღმერთსა ვერ ჰსცნობდენ, ვით გაუმარჯუა სამოელ,
დიახ დავსუსტდი მას აქეთ, ცოცხალი რაღდა წამოველ,
სხუაც ბევრი მოჰკლეს მსახური, მგონივ ერთს ერქუა იოელ.

560.

მამუკა ბოქაულთ-ხუცესს, ლაღობით ერქუა იმით,
იმ მაღლთა ვით შეურჩივეს, დაწუს მცირეს კანჯსა
წურილშით,
რევაზს ლოყას ჰკრეს ისარი, და თამაზსა წყულშით,
აგრე ისპანი ყოფილან, რად არა ჰქონდათ შიშით.

აქა ამილახვარი და ზაალ არაგვს-ერისთავი, მეფეს თეიმურაზს ახლდნენ, კათალიკოსი ევდემოზ დია-სამიძე, გიორგი გოჩა-შვილი და ნოდარ ციცი-შვილი, წიგნით გაუორგულდენ როსტომ მეფესა; და სანამდის ბატონი თეიმურაზ მოასწრებდა, როსტომ უკუ-უდგა როსტომ მეფესა; მოასწრო ნოდარს როსტომ მეფემ და გაემარჯვა.

561.

ამილახვარი იოთამ, და ზაალ მაშინც მე მახლდენ,
კათალიკოსი ევდემოს, და გოჩა-შვილი გაახლდენ,
კვლავ ციცი-შვილი ნოდარ და, სხვა ქართველები ვჰსთქ-
რავდენ,
მიმიშხრეს ლაშქრით რა წაველ, ჩემად მისლვამდე გა-
ცუდდენ.

562.

ნოდარ ფიცეთს შეიყარა, ჩხეიძენიც მასთან იყვნენ,
როსტომს უთხრეს ესე ასრე, ნოდარზედ მალ წაიყვანენ,
ნუ შეგვცდით მივაშუროთ, თვარემ ბოლოს შეინანენ,
ვინ მუხრანსა ჭაპატრონობდა, ცუდ-მადები მოიხმარნენ.

563.

მივიდნენ ფიცეთს ნოდარზედ, უვიცად მოუტყობარად,
მას ყარაული არ ჰყვანდა, ნეტაა ზვართა საბარად,
ჩხეიძეებმა რა ჰნახეს, ესენი მართლ საუბარად,
მოვიდნენ მოიქნივესცა, ზოგთა ჰკრეს მწუხ გასამწარად.

564.

მეც მუხრანნს მიველ მიმასწრო, და გაემარჯჳა ნოდარზედ,
ბექია დარჩა იორამს, მოურავის-შჳლს იმ ომზედ,
ოტია თითონ ოტიას, რატის-შჳლს უჯდა გავაზედ,
საციციანო კაცები, ცხენს სხედან მათის კჳციანზედ.

აქა მაღაროს მისლვა როსტომ მეფისა დიდის ლაშქრითა.

565.

ამ საქმემ გამითამამა, როსტომ წამოდგა საომრად,
ქართუჩლთა მეფე ქართუჩლით, ჩუქანდა ხანებიც თან
ლაშქრად,
მე ბაზარს ვიყავ გაზავსულ, სანადიროსა მათ შორად,
მითხრეს მოვა ლაშქარი, არ დავიჯერე ნაჭორად.

566.

ქალაქიდამ გამოვიდა, მოვიდა მედასტურე,
მალ დავაგდე სანადირო, კარგები და სხვა სატურე,
შვლი ზევით გამოვგზავნე, მეზარადი არ დავჩხურე,
ლაშქრისათვს შესაყრელად, ვერ მამისწრეს მათ ყურე.

567.

მამაშურეს მათ ქისიუსა, ეგონათ თუ მიმისწრობდნენ,
მაგრამ კიდევ მე მიუსწარ, ტოტას კაცით ასით ოდენ,
რა მე მივედ ივინიცა, კელმეჩურში რაზმს აწყობდნენ,
სულ ქისიყელთ ვერ მომისწრეს, რაზომ კაცნი კაცზედ
ჩრბოდნენ.

568.

მოვიდნენ რაზმ დაწყობილნი, ჯოტორის გზითა მაღაროს,
სულ ერთს-გზასა მოაწყვნესო, ჯარი სხვას გზაზედ არ
აროს,
ჩსცემდეს ქოსსა და ხურნასა, ჩგონებდეს მათს სანაღაროს,
გაბრუნდებიან იმ გზარად, ამ გზაზედ მოვლენ აღაროს.

569.

შეიქმნა სროლა ორგნითვე, უმცროთგან ყვირი იყოცხადე,
მოჰკლეს და დაჰკრეს ჩჳენგანთა, სისხლი შენ გარდაისადე,
ყაოვლანს ჰკრეს ზჳჩის საცხვრეს, კმა გამოვიდა ჯახადე,
ჯაჭჭუმა დაუდვა სადგომსა, მიჰყავს და მალე აჰხადე.

570.

ბონელსა ეპისკოპოზსა, ჰკითხჳ რად მოჰყავს ჩემზედა,
მე ქრისტიანე მეფე ვარ, ის არის თათრის ჰსჯულზედა,
თუ უსამართლოდ ბერია, ღმერთი გამივლენს მას ზედა,
თოვი ჰკრეს ორივ თჳალები, წაავრევინეს ქვეშ ზედა.

571.

ორი მქისიყელი კაცი, მსახურები რომ იქ იყჳნეს,
გოგნასა მანგოლა-შვილი, ერთად მსროლნი არ გაიყჳნეს;
გლეხნი იყჳნეს მაგრამ იმ დღეს, დარბაისლათაც კმარ
იყჳნეს,
იმ დღეს იმდენთ მეომართა, პირი მართ იმ ორთ დაუ-
ყჳნეს.

572.

გაბრუნდენ ავად გაუარეს, ბარგი და მაოვრაშებისა;
იმდენთ ლაშქართა ცოტათი, ღჳთით მე მალე შევებია,
ქართჳელნი ახლდნენ სხჳს ხანიც, აკლია თუ ფაშებისა,
ნეტამც გეჭირიტა ვინ მასწლიდენ, შენ ვისმე იქ დაეხსნა.

573.

ვეღარც ლაშქარმა მამისწრო, და ვეღარც შჳლმა თორე მე,
ქალაქამდინ მივჰყჳჩბოდი, მაგრამ რა მექმნა მერე მე,
თუ მათ მოესწრო ამ ადგილს, შემყროდა გლეხი მერე მე,
აქადამჯე გავაქცევე, ვეღარ მივსდიე მორე მე.

ჭსჯა მეფისა თეიმურაზისა.

574.

ეს როდის გითხარ არ მოჰკჳდი, უღმრთოდ თავს ვინ მოიკლავდეს,
ეს ჭკუათ მყოფმა ვინა ჰქმნა, თუ არ ეშმაკი დასძლევდეს,
მაგრამ ლექსთა თქმას რას გიშლის, შენს შორს ვინ ვისმე აძლევდეს,
პატრონი ხარ თუ სარდალი, ეგ სხჳას საქმესა ნამლევდეს.

575.

გამგონეთ აბრჯონ მართალი, ვის ჰმართებს დარჩეს ნაძლევი,
არ გამოგართჳა რასა იქმ, შენ ჩემი შემანაძლევი,
ვა თუ ზამთარმა მოგისწროს, შემოდგომა გაქჳს დამლევი,
ვინ გჳაბაასებს ის არის, შენის სისხლისა დამლევი.

576.

ჩემნი ნაქმარნი წინანი, გითხარ სასჯული ამადა,
გარჯა ჯავრი და ნაღჳმლი, ცნობას წაუხჳამს ავადა,
გულს ჟანგად ასე მიეკრჳს, ვით ოქროს შავი სავადა,
ბოლოსიც გითხრა ყოველი, საქმე ვინ გამითავადა.

577.

მტერი რას უზამს იმდენსა, რომ ყმა პატრონზედ მიიღებს,
მძლავრისა მტრისაც მეგემე, ერთს რასმე გზასა გაიღებს,
თუ კაცი შიგნით საქმესა, აიშლის იმას მოიღებს,
ვინ გარდაჰკიდებს ამათა, სისხლით ჩემით ჴელს შეიღებს.

578.

სალთ-ხუცესი და სუფრაჯი, განაყოფი სახლეული,
კარგნი კაცნი კარგნი უმანი, ნამსახურნი და ერთ-გული,
ვინ ამათში ჩხუბს დასთესავს, წაუწყმდებს იმას სული,
ღუთის გარდაის ამათ წავჭდი, დავრჩი ასრე სახლეული.

579.

სალთ-ხუცესი რევაზ იყო, კაცი სრული ყოვლის ზნითა
სამღრთოთა და სავოცობოდ, მერმე ჭკვითა მწყემ და ზნითა,
ბიმინაცა კარგი კაცი, გულ-მართალი ტოლივ ხნითა,
მათ ოთხ-ოთხი შვილი ჰყვანდათ, ერთი დაკლდა მოდანათა.

580.

ცუდი რამე სიტყუა ითქვა, ამათ ჰკადრეს უკადრისა,
რევაზ ხისგან არა თქმული, სუფრაჯის-მეც მანდ არისა,
დილას ცხენით კარს მიჰხდა, ავს საქმესა საკმარ ისა,
რევაზ გავა ახალუხით, უმჯობესი სავარისა.

581.

უპრალომ კაცმან რა იცის, თუ ავს ვინ რასმე უზმიდეს,
ცხენი ჰკრა რევაზს ივარემეზ, სხუას ვერას ვერ მიურთჳდეს,
შეიგნეს ჯართა საშუელად, უქელა იქ შეკრბა მივიდეს,
აღარ მიუშუეს განჰყარეს, მოსულნი ისევ წავიდეს.

582.

გავაბრჭენ დავჰსხი სრულ კაცნი, არ მართოდ ეს ჰაატიო,
სუფრაჯს დავადევ სალთ-ხუცის, არ სისხლი საუჰატიო,
უთხარ ეს მოგცეს მამული, და ზოგი ჩუენ გუაჰატიო,
ჩუენს სულს ქუეშ ამას მივმხუდარ-ვართ, აწ გინდა
დასჯ რატიო.

583.

ადარ იქმნა გაშუჲლება, უფრო ჩხუბი განძლიერდა,
კაცნიც შუა გაიყარნენ, დიდნი მცირე სულს ერდა,
ზოგნი მისკენ სხუა ამისკენ, კაც-კაცები ან ვინ ბერდა,
რევაზ ჩასწუხდა ამ საქმესა, მხიარული არვინ ჭმზერდა.

584.

ოთამ და ზაალ ორნივ, ხან აქ იყვნენ და ხან იქა,
მოვიდიან წავიდიან, და ჭვმობდიან ავათ იქა,
გულ-მართალი კაცი უჴმლა, უზრახვიდა უფრო მიქა,
ამ ჩხუბმა და მათმა წასჴლამ, საქმე ასრე გაამქაქა.

585.

როსტომ მეფემ შეიყარა, სამძარად მოვა უღლის,
ეს გზა ამან არ იცოდა, ან გაწევა ჩემის უღლის,
ვიცოდი რომ არ შეემლო, მას შემართუა ისრე შუღლის,
ბოლოც ამან გამითავა, გაწყუჲტა ჭკამს აწ საუღლის.

586.

თიანეთს ვიდექ შეყრილი, რადაც რამ ყმა დამრჩომოდა,
ბიმინამ თქუა ერწოზედა, მივლენ აქ ვიყო მეოდა,
მე ნახევარი ლაშქარი, მიბომე მივეშუჲლოდა,
ამბოჲს რევაზის ქიშპობით, მტერობა დაუჩემოდა.

587.

უთხრეს ბიმინას რას ამბობ, რას ჭკუით მოგიყვანია,
ახლა ლაშქრისა გაყოფა, რას ჭკჳსა შესაგუანია,
შენ ჭკუის მყოფი რას ამბობ, მაგ სიტყუას ვით სჯანია,
აქა კარზედ გჳდგს ლაშქარი, ვერა ვართ ათის თავნია.

588.

მან თქუა აქ მოვჭკუდე რევაზთან, ეგ წამხდეს ჩემი სახელით,
რისთჳს ვიქმ მაგას რა არის, დამრჩება არ სასახელით,
მგ თავისსკი ინახავს, მე ჩემი რად გავათხელით,
მგ თუ თიანეთს მოყარს, მე ერწოს წავალ მიიხელით.

589.

რაღას მიშჳელის კარს მტერი, მომადგა ჩემს უმძლავრესი,
წამართჳა შჳლი ლაშქარი, საქმე ჰქონა ავთ უარესი,
დავრჩით თუ კაცი ათასი, არა ვართ მტერთ საკმარესი,
რა კარგი ვალი დამადჳა, მას გაუწყრა საბა ზესი.

590.

ესენი ერწოს წავიდეს, ისინი უღლისს მოადგეს,
მოვიდა კაცი მივიდნენ, თუ ბატონი მზის მო ადგეს,
შევჰსხედით რანიც ვიყავით, მეთოფეები წინ წადგეს,
შენ რევაზ არის სარდალი, თავს მუზარადი დაადგეს.

591.

ყარაულმან თქუა ვიარით, თჳარ მოვლენ უღლისს ჰწინა,
თუ მოგჳსწრობენ არ კარგა, ის სალთ-ხუცესმან უწყინა,
ეს ავადა ჰქმნა ჯებირზედ, მეთოფე არ დაუდგინა,
წავედით იმათ მოგჳასწრეს, რევაზ რა ნახა აგინა.

592.

წაჰდგა რევაზ მესროლებთან, ასროლინეს არიგებდა,
ბრუნავს ჯარში კრმალ-მოწჳდილი, ქარქაშიან არ იგებდა,
ერთგან ჯარი უკუ ივანტეს, ჩუენი შუბსა მათ აგებდა,
გათამამდეს და ისროდეს, ვინამ ამას შეიგებდა.

593.

გაგრძელდა ომი რევაზს ჰკრეს, ორი ივინდიხი ტყუბადა,
შჳლებსა უთხრა მაცალეთ, მე მევეს ვნახავ სუბადა,
მივალ წინ წამოვაყენებ, სისხლი ვადინოთ გუბადა,
დჳთით გამარჯჳება ჩუენის, წინ წავიქციოთ ჯგუბადა.

594.

მოვიდა რევაზ თამამად, მითხრა ძლევა შენიაო,
მაგას ჯარს ნუ დაახედებ, უჩემობით შენ იაო,
წინ წაუდექ კარდი მათი, მოუყინე შენ იაო,
შენმც კახეთს ნუ მოუშლები, ოხერი თუ შენიაო.

595.

მოვიდა ჴელზედ მაკოცა, ვიდრეღა იყო სულ-დგმულად,
მითხრა მანახავ პირ-ნათლად, როს ქრისტე დაჯდეს
მსაჯულად,
შენ ღმერთმან დიდ-სახსნის გაცოცხლოს, გამარჯჳებული
კარგ რჯულად,
გაბრუნდა საცა თავი ჰკრეს, მუნვე გარდახდა სი-
ტჳბილად.

596.

რა ლაშქარმან დაინახა, რევაზ ცხენით გადავარდა,
ვინცა ნახა ერთმანეთსა, უთხრეს ყოვლგან კმა და-
კარდა,
დაგჳმარცხდა გამოიქცნენ, ერთი თავიც არ გავარდა,
რა ზურგები დაგჳნახეს, მათი ჯარი ზედ მოგჳვარდა.

597.

ვეღარ დაუდეგ თიანეთს, და ჩავჳლ შიგნით კახეთსვე,
მომყჳვს უკან ესენიცა, მაშინ წამიხდა სრულა სვე,
ქისიყსაც კმა დაგჳკარდა, ამბობდენ ლაშქრის მოსჳლასვე,
დათუნა იქით გავჭგზავნე, მტერს კრმალი ვეღარ დავჰასვე.

598.

აქათ ესენი მოვიდნენ, ქისიყს მოუხდენ ყაზახნი,
ამას ვინ ახლდენ მაგდენნი, სხჳს ართუ ისევე კახნი,
მაგრამ რაც ახლდენ ყჳწლანი, მამაცნი ჴელითა მკჳახნი,
სრულ ვაჟ-კაცები დაგროვდენ, არ იყჳნენ ბჭკრთა რამ
მნახნი.

599.

შეუტიეს იმავ წამსა, ქჳწითობას არ აცალეს,
ვინ ვის წინა გაუსწრობდა, ან ცხენს ვინ ჯდა მეხლსა მალეს,
ხევი დაჭხჳდათ შუაზედა, მათ თოფები ზედ დაცალეს,
ცოტა ვინმე გაუვიდათ, სხჳანი ცხენით გარდასცალეს.

600.

ჩემი შვილი ხევს ასლოდა, სხჳას მეთოფეს შემოჰყროდა,
შუბი ეკრა ამას მისთჳს, იმას თოფი დაესწროდა,
ეკრა გულსა ჩამოეგდო, ვაჲ რას დროს შეუსწროდა,
თჳთ მოჰკლეს და ყმანი კარგნი, იმ დღეს მასთან მო-
ესწროდა.

601.

ბიძინა დიასამიძე, მიუმღჳა მეწინავესა,
უცხო-ფრად თურე შეება, ელის გულად ჰგავს ესა,
ერთი შვილი მყავს აქ რად ვზი, უყურე ჩემს სიავესა,
რას სამზღჳარზედა მომივჳლენ, სამართლით ვის სა-
დავესა.

602.

ქაიხოსრომ მაყას-შვილმან, მან სუფრაჯმან დედოფლი-
სამ,
წამოსულმან სხჳასა ჰკითხა, მომხოცელმან მან ოფლისამ,
ბატონის-შვილი მორჩა თუ, მოჰკლა საქმემ ამ სოფლისამ,
უთხრეს მოჰკლეს ეს მღიდო, უსაზომომ რისხჳამ ღჳთი-
სამ.

603.

ოქჳა მოჰკლეს დავით თათართა, დედოფალს ვით განუ-
ცხადო,
ამას იქით მე სიცოცხლე, ჩემი ღმერთსა აღარ ვჰხადო,
მივბრუნდები შევაკჳდები, მგონ სირცხჳლი მოვიხადო,
მიბრუნდა და შეცაკჳდა, სასახელოდ თავი დადო.

604.

იესეცა სალთ-ხუცესი, ამასვე იქმს მორჩენილი,
ვირე იარაღს დაუდგეს, ჭსცემენ არვის დარჩომილი,
ბევრი მოჰკლეს სხჳა დაავდეს, მათგან ლახჳარ დაჩენილი,
მერმე თჳთანც ზედ შეაკჳდნენ, რაზომ იუჳნენ თავ-ჩენილნი.

605.

როსტომ მეფე ძე მხევლისა, და არა აზნაურისა,
სჳმონ-მეფის ძმის დავითის, შჳლ გჳარი ჩჳენებურისა,
მას დედოფალი დით ჰხჳდება, სჳმონით მამეურისა,
მხევლის ნაშობმან მეფემან, საქმე ჰქმნა ბედაურისა.

606.

აღარ იყო სხჳადა ღონე, დედოფალი ჰნახავს ძმასა,
მოყიდა და შეეხჳეწა, შეიხჳეწეს ძმა თჳსსა დასა,
იმერეთის გზის მოცემასა, ემუდარა არა სხვასა,
საქმე მან ჰქმნა მოსაწონი, უქებდიან ყჳელა მასა.

607.

უთხრა თურმე დედოფალსა, ღმერთმან იცის არ მინდოდა,
თუმც არ ვღირს ვარ მაგრამ თჳთ ვარ, მე ძმა თქჳენი და შენოდა,
ამათთანას ღჳთის მგმობართა, ჭკჳის მყოფი ვით ენდოდა,
ჩჳენის შუა ჩხუბის მდომთა, თქჳენგან უნდა რომ მენოდა,

608.

არა ჰქმნეს იმ ღჳთის მგმობართა, ურცხჳნოდ ფიცის მტეხართა,
თქჳენ აგიყოლეს ჩემზედა, სამტეროდ მათგანა ხართა,
აწ ზურგი შამოგაქციეს, გრქჳან აქა ნუღარ ხართა,
ესენი მხიარულობენ, ჩჳენ გჳხედჳენ ორთავ მწუხართა.

609.

ახლა რა გიყო მის მეტი, გზასა მთხოვ მომირთმევია,
ვინ გარდმოგყჳების თქჳენი ყმა, არავინ წამირთმევია,
არც შჳლის-შჳლებს გიხსენებ, აღარც ვარ აქ სადევია,
ქართჳელთა შემოგაფიცებ; საკერკო არ ურჩევია.

610.

ქართჳელნი წამოაყენა, და შეაფიცა მტკიცეთა,
ჩემგან ადარა ევნოსრა, თქჳენ ასრე დაიფიცეთა,
კათოლიკოზი აახლო, წინ-მძღოლად გზები მისცეთა,
ამ ყოფით წავალთ იმერეთს, იქ უნდა თავსა ვიცეთა.

611.

როსტომ ამტკიცებს შენს სიტყჳსა, მტრის მორჩილის ყოვნებას,
არ სიკჳდილს მორჩილისას, სადადაც უნდა გაშჳებას,
საბოლოოდაც იხედავს, ვერ ჰხედავს კარგად ჩჳენს ვნებას,
თუ ჩემთჳს ბოლო მოედო, ჰპოებდა ვერ მოსჳენებას.

612.

ზრულ დავესრულე სრულებით, ასრე ჩნდა საქმე ბოლოსი;
მასცა გულ-ჭყოთვდა ყაენი, მოეხმაროდა არ ოსნი,
ის ჩემდენს ვერ გაუძლებდა, ვით მოთხე ტანისამოსი,
ასრეა მე დამიჯერე, მიჰხჳდების კაცი სალოსი.

613.

რა მივედით იმერეთსა, ჩჳენი საქმე მათცა ჰნახეს,
მოვიდეს და მოგჳტირნეს, მათცა სულ-თქჳნეს ჩჳენთა ნახეს,
ცოცხალთ საზრდო მკჳდართ სამარხი, ყოველი ფერი მოგჳნახეს,
დაგჳტირეს გულ-მწუხარედ, სასიცოცხლო შეგჳნახეს.

614.

დამრჩა ოთხი შჳლის-შჳლი, სამი ვაჟი ერთი ქალიც,
სულ უფროსი ხუთის წლისა, ცქჳტნი კარგნი მუხლად მალნიც,
უმაწჳლურად თამაშობდეს, ხან საქციელ განაკრძალიც,
სულ უმცროსსა მეფემ შჳლად, ზრდა დაუწყო არს ობოლიც.

615.

ვიყავ გლოვაში წლამდისინ, გათავდა წელიწადისა,
დადიანს დავეპატიჟე, მეფემანც ბრძანა წადაა,
წაველ უფრორჟ ამისთჳს, სხუა საქმეც რამე მწადისა,
ბატონის-შჳლი მამუკა, ჴელთა ჰყავს ვინ არს დადისა.

616.

ოდეს ლევან დადიანი, აქ ლაშქრითა მოსულიყო,
თჳთ გიორგი-მეფე ჴელთა, დაერჩინა მგონ კმარ იყო,
მას თავი დაახსნევინა, მობრძანდა და მომკუდარიყო,
აწ მეფისა ალექსანდრეს, საქმე მისგან წამხდარიყო.

617.

იყო ამათში მტერობა, ყოველთ მტერთ უბოროტესი,
მიხდომ-მოხდომა კრმლისა კურა, პირისა არა კოტესი,
აწ აქუს დადიანს მეფეზედ, ალი მწუწლ უუმეტესი,
დადიანსა აქუს ნარჩევი, პაატა წუწუკმეტესი.

618.

აწდა კიდევ მოსულ-იყო, და მამუკა დაერჩინა,
დაემინა შუბი მაგრა, სალამაზოს მოერჩინა,
არ მოეკლათ წაეყუანათ, ოდიშს კარგა დაერჩინა,
ჩემს მისლუაზედ დაეტუუწვა, ეს წუწუკეთს გაეჩინა.

619.

წაველ მინდორდა მამუკას, შუა-მაველობა აშუწბა,
ამათი გარიგებადა, იქ ნადირობა აქ შუწბა,
დადიანს ჩამოვიყოლებ, სულ-მადლი არ მოეშუწბა,
წუწკი არ მიჭსცემს თავს ჴელთა, რას ჭქჳან არ გაი-
შუწბა.

620.
მივედ ვნახე დადიანი, ვუტირე და მომიტირა,
მას ცოლ-მკუჱდარსა მე შვილ-მკუჱდარსა, მიუმჩივნეთ მწა-
რედ კირსა,
ჩუჱნმან შეყრამ მოჭქმის ჟამსან, მუნად მყოფნი გაა-
კვრა,
სიტყუჱა ისმა იქით-აქათ, თქუჱს რუსთუჱლი გააკვირა.

621.
რა გარდავსწყჳტეთ ტირილი, კჳლავ იმანჩ მოივა-
ჟოლა,
წავედით სანადიროთა, ტყეები ვჩრეკეთ მუნ ჟოლა,
შემოღობილთა დადგომა, გრძლად ტყეთა ჯელგის მო-
ყოლა,
ჩუჱნდა ძმათ-შვილთა გვხარის, ერთმანეთისა თან ყოლა.

622.
პაპა-ჩემსა ალექსანდრეს, დავემსგავსე მშჳლდოსანად,
მშჳლდისა და ისრის სიგრძე, სიმსხო ჰქონდა ვითა მანად,
სამამაცო ყოველი საქმე, ბევრი ჰსჭირდა კიდეგანად,
მაგრა ვეცხლის მოყუჱარება, გულსა ჰსჳა ჰათა დანად.

623.
ლხინი მიჩუჱნა კარგები, სალაროს კარი გამიღო,
ვჰნახენ ტურფანი ეგზომნი, მე ხნგარიმში წამიღო,
შურასა იარაღები, უანგარიშო საჯიღო,
გამოველ ჯაზაირი და, ერთი სამოგუჱწ მამიღო.

624.
მეცადე მათს გარიგებას, გამეწყობოდა რითაცა,
ზუჱწნით და შემუდარებით, კჳლავ ფიცით მისით რი-
თაცა,
ასრეთი სიბრძნე უამბე, მოამშჳდებდა ჭმითაცა,
წუწკი ეტყოდა პაატა, ამდენი სიტყუჱა კითაცა.

625.
მან მიზეზი ვერა რისა, მითხრა ცუდი ბევრი რამა,
რას უჯერა ერთს კუტს კაცსა, ან შეიპყრა ისრე რამა,
რა შესცოდა მაგისთანა, შჳლს მოჰკლავს მამიდამა,
საქართველოს დასუსტებას, ასე უღმრთო საიდამა.

626.
თუ ისინი შემერიგა, რაც მინდოდა მას ვიქმოდი,
ორთავ ბევრი ლაშქარი ჰყავს, გამიგონე ახლოს მოდი,
ვალაშქრებდი ჩემს მტერზედა, და ბოლოსაც დავიქმოდი,
არ იქმნა და მეც დავეხსენ, ვერ ავიღე ჩემი მოდი.

627.
ამად მინდა მათი შეყრა, ის ძმა იყო და იგ სიძე,
ეს არ იცი ვით ძმა არის, დადიანი და ვისი მე,
მე ძმის-შჳლი ვარ ის დისა, შუაზედ ლობე ისი მე,
დარეჯან მამიდა-ჩემი, და დავით მას გაუბიძე.

628.
არ გაერთდენ არას საქმით, ორთავ ბევრ-ჯერ შევე-
ხჳეწე,
მათი საქმე დაკორდჳლი, რაზომ წმიდად ჩამოვჰხჳეწე,
გარდავჰსწყჳტე მათი ლონე, ახლა სხჳაგნით გარდჳ-
ხჳეწე,
ვამე თუ ვერც რამ იქ ვჰქმნა, და ცუდადრე წავეხჳეწე.

629.
თუ ყმა ბატონს მოერევა, აჯას აღარ გამოართჳამს,
ბევრია რომ ღმერთსაცა ჰგმობს, პირშა სულსაც ამო-
ართომს,
მამუკასა თვალებს დაჰსწჳავს, კარგს ვაჟ-კაცსა არ თჳალ-
სადგომს,
მერმე მოჰკლავს დიდის სარჯლით, ციხესა და ერთა
სადგომს,

630.

არ მომიკჳდა მე გიორგი, მეფე ზრდიდა რომელ მკლად,
ჯერ უმაწჳლი ხუთის-წლისა, უსუარი ისევ ჩჩჳლად,
კრულმცა არის ჩემი ეტლი, არ მომესწრო პაპას ზრდილად,
ჭირი-ჭირზედ დამეტმასნა, თავს გარდავდებ სასიკჳდილად.

631.

ვჰსთქჳ თუ ეტლი უკუღმართი, ჩემი ბრუნავს მუდამ ასე,
არ მაჯერებს ამდენს ავსა, რომელ ათსა უფრო ასე,
რადგან დარჩა სასიკჳდილნე, შენ ლახჳარი მე დამასე,
რად არ მომკლავ რად გინდივარ, დამაბერე დამანასე.

632.

ძნელი არის გამოშჳება, რა შეიპყრობს კაცსა ჭირი,
უკუღმართის ჩალხის ბრუნჳა, მაგრა ექმნას მონაჭირი,
ლხინი შჳება სიხარული, მისთჳს იქმნა გასაჭირი,
ასე ძნელად მოურჩება, გალამაზდეს ვით დუხჭირი.

633.

თუ მოსავალი არ მოვა, კალო რით გაილეწებს,
უბრალოდ ვინმე შემომკრას, ლოყას გამიხდეს ლეწებს,
მარჯჳენეც უნდა მივუპყრა, საქმე ვჰქმნა შესახჳეწებს,
ოდეს ის ბადე შეიპყრობს, მას ვერვინ გარდეხჳეწებს.

634.

რასაც ვამბობ კარგად ვჰსინჯავ, და გაარჩევ ვიცი კარგს ავს,
ეტლმან მიპყრა კირჩხიბი სამ, ჩემთჳს კარგი არასა ჰგავს,
მას მოისთჳლებს მემუშაკე, მირად რასაც ნერგსა დაჰრგავს,
თუ ვერ ვირგებ ამ სოფელსა, ღმერთი მუნ არ დამიკარგავს.

635.

ხსჳე და ბედი გარდმეხჳეწა, ვჰხედავ სხჳაგან განაქცევს,
სახელმწიფო დამეკარგა, ვჰსჭჳრეტ ოხერსა მონაქცევს,
თჳალთა ჩემთა ცრემლთა ხშირად, შიგან ვჰსცურავ მონაქცევს,
ჩემთ ასულთა სიკჳდილისგან, არ მოველი მონაქცევს.

636.

ორნიღა დამრჩენ მისამენი, რომელ ვჰქმნა ამას ვჰგო-
ნებდი,
ვჰსთქჳ ერთსა რუსთ-კელმწიფესა, მივართჳამ წინ მიუ-
ძღუნობდი,
მეგება კარგად მომიხდეს, თათართ წილ იმას ვჰმონობდი,
თუ ორნივ ჩემთან ვამყოფო, ავად მომიხდეს ვღონობდი.

637.

რაც მეჴანდა ყჴფლა თათართა, წამართჳცს მალით თუ
ნებით,
იგ მეტად ავად მომიხდა, ჭკჳთა ვჰქმენ თუ მოცთუნებით,
უჰსჯულოთ წილად მორწმუნეთ, აწ ამას დავემონებით,
ერეკლე რუსეთს გავჰგზავნოთ, კელმწიფის მოსაწონებით.

638.

შჳდს წელიწადს მოვიცადე, კიდევ რასმე შევეცადე,
მაგრამ ბედსა უკუღმართსა, ასრე რიგად დავებადე,
ვერა ვირგე მე მათითა, ღმერთს ამ სვეზე დავებადე,
აწღა რუსეთს გავემზადე, იქით წასჳლა დავიქადე.

639.

ახლა ვჰსთქჳ შჳდის კრებისა, მამათა წმიდათ დასხებს,
ჰსჯულის სიმტკიცე ნათლისა, მათ მიერ შეიმოსებს,
სარწმუნოებს მართალი, მუნითგან დაეთვესებს,
ჯერ კჳალთა დრკუთა მწჳალებელთ, ოდითგან ექმნა
დავსებს.

640.

ვარდს ბულბული გავაუბნე, შემოდგომა გაზაფხულსა,
კჳლავ სანთელს ჭეჭელსა, მისგან დამწჳარ-დადაგულსა,
ამ დროს ლექსი ვით გავაწყე, მლივლა მჰხედავ მე სულ-
დგმულსა,
შენ მაჯამს შეყრილს ჰნახავ, არ აქა-იქ დავარგულსა.

641.

ეს ვეჭობ შენცა იცოდე, კაცს რას დროს სიბრძნე უ-
წყებს,
ოც-ათის წელიწადს იმატებს, მალხა ჭკუაში დას-დასებს,
ორმოცამდისა დადგება, არ იკლებს ამად ითავსებს,
მერმეღა წავა კლებაში, ოდითგან ვეღარ ისავსებს.

642.

დასტურ თქმულა სიკჳდილამდის კაცნი ცოდნას რომ
იწჳრთიდეს,
მაგრამ მოჴმლურებული, ჭაბუკისდენს რას შესმინდეს,
თუ ჴცოდნი დაეწჳართოს, ზოგნი წჳრთილნი დაავიწყდეს,
მე ეს დრო და მწუხარება, შემომესწრო ცრემლნი მდი-
ნდეს.

643.

გითხარ სალექსე დროები, არ ოდეს არ შემომესწრო,
ან მოსჳცნება მენახა, ან ჯავრისათჳს დამესწრო,
მაშინ მნახველი თამამად, თუ შენთჳს მე არ წამესწრო.
ჰელმწიფეს ვჰნახავ თან-ხლება, ვის გმართებსთ შე-
გრცხჳცსთ არ მესწრო.

სიტყუა მეფისა.

644.

ჯან-გრძლად სხჳათა კართა ულოცვა, კაცის ცეცხლად
მოედება,
მუდამ მოყჳრის პირის-ჯვამა, სიყჳარულად დაედება,
რაგინდ რომ არა აკლდესრა, მაშინც გაუგემურდება,
ვედარ გასძლებს მუნ მოცდასა, ამად სხჳაგან გარდეგება.

645.

მომეწყინა ამდენს ხანსა, მე მოყჳრისას პირის ჭვამა,
აწ მივჰმართე რუსთ-ჴელმწიფესს, ვინც მწერს კართ ჩემ-
თჳს მამა,
განვვლე ხმელი და ზღჳსა-ცა, მომაწყინა ხანთა ზმამა,
მისი სიტკბო თავ-მდაბლობა, კაცს ვერ უყოს ვერა მმამა.

646.

მიველ დამიხჳდა ჴელმწიფე, დიდის მოწყალებითა,
სამართლიანნი ჰსჯულ-მტკიცე, სხჳათ მეფეთ უმაღლებითა,
დიდად პატივ-მცა შემიტკბო, გულითა მუნ მდაბლებითა,
ვითა ჰმართებდა მამასა, შჳლურად ალერსებითა.

647.

პირ-ჰშჳლ ნახჳაზედ არ ადგა, ჴელს ვაკოცე თავს მა-
კოცა,
დამსჳა მის ახლო ალერსით, სიტყჳები კარგად ამკოცა,
მომიკითხა და სიტყჳთა, თჳალთ ცრემლი ტკბილად მომ-
ხოცა,
თუ ღმერთს ჰსწადს შენა სასჯელი, არ წახდეს არ დაამხოცა:

648.

მეორეზედ კჳლავ მამიხმო, მიველ იჯდა თავის წინა,
ადგა ტახტით მამეგება, მე ჴელმწიფე კარგა წინა,
ჴელი მიპყრა მერმე ბრძანა, ეს მმართებდა მე უწინა,
ამად ვერ ვჰქმენ მაშინ რომე, დიდრონს რუსებს არ
ეწყინა.

649.

ამიყჳანა თავის ტახტზედ, დამსჳა შუღლი არ შეგჳჱქმნა,
დავითისა ნათესავსა, ვიცი ბოლო არ დაექნა,
არ ღირს ვიყავ გული ჩემი, შემიწყუხდა ვით მექნა,
რადგან ასე მოინდომა, ან მე რადა მალი მექმნა.

650.

მოადებინა ვახშამი, და შეექცა წჳრილად სმასა,
უცხოდ თავ-მდაბლად მომეპყრა, ვით ჭივერობს ტახტ-
ზედ დასმასა,
მუხლ და მუხლ ვეჯექ თუ ვღირს-ვარ, პირს მის ოვერხო-
მტჳჱრთა სმასა,
რაც გარდამხდოდა მკითხავდა, მე მოვახსენებდ ას მასა.

651.

მიბრძანა იმედი გქონდეს, ილოცე ღმერთს ეხჳჱწეო,
მე ჯვარის მოცემა მინდა, მისკენამც გარდვიხჳჱწეო,
არც დრო მაქჳს საქმის მოცდისა, სიბერით დავიხჳჱწეო,
ვერ მოვიცადე წამოველ, ვეღარ ვიშოვნე შემწეო.

652.

ვნახე სიდიდე უფროსი, სხჳა რაც ჴელმწიფე მენახა,
მიბოძა ბევრი სალარო, რა ვყუო რად შემენახა,
შენ სასმენელად გიამბე, რასთჳს ვერ ისმენ შენ ახა,
ასტარხანს მოველ მომართე, სოფელი ვაჲ შენ ახა.

653.

სამოც-და-ათის წლის ვიყავ, როს რუსეთსა გავემართე,
წაველ შორს ქჳეყანასა, ზღჳას და ხმელეთს დავემართე,
რაცა მწადდა ღონის-ძება, იგ ვერც ერთი ვერ მოვ-
ჰმართე,
ცუდ მაშჳრალმა, დაღალულმა, ისევ იმერეთს მოვჰმართე.

654.

აშტარხანს მოველ საზარო, ამბავი მაშინ მომესმა,
აწ ნუღარც შენ შემიბრალებ, გულსა ლახჳრისა მომესმა,
მწუხარებისა საწდევსა, სამსალით მმართებს მასმესმა,
ყოვლი იმედი გარდმიწყდა, რად ღმერთო მისა მომესმა.

655.

თუ პატიჟი სიკჳდილს აწჳევს, მაშ სად არის რად არ
მოვა,
რაც მყჳა ყჳელა დამხოცია, მე გლახ მარტო მისთჳს
მპოვა,
ყმანი ჩემნი დიდებულნი, შემომმარცჳა შემომმოვა,
მწიხნა ფიცხლად საწერტლითა, გაუმღომლად სისხლი
მწოვა.

656.

მეფეს ექმნა საკჳრჳელი, გლოვა დიდი მეტის-მეტით,
განმცხადებელნი მოვიდნენ, სულ იმედ არ გარდაწყჳე-
ტით,
ჭიცი ჩემთჳს ურგებია, წამიშინე თავსა კეტით,
აწ ერეკლე წამომგჳარეთ, სულ არა ვარ ამოწყჳეტით.

657.

მეფის ელჩებიც გავჰგზავნე, და ჩემიც თან გავატანე,
ჴელმწიფეს ვჰსთხოვე ერეკლე, სათუო არ დავატანე,
მწუხარებისა კანკალი, ჩემს გულსა ჴორცსა ვატანე,
რადგან წამომყჳა რუსეთით, სალარო თან მოვიტანე.

658.

მოველ იმერეთს დამიხჳდა, კჳლავ მკჳდარი დედოფალია,
თუ გზას ვკითხევდი კამათელს, სულ მამდის ავი ფალია,
მართ დაჴხდომოდა ლუარსაბს, მიწათა დანაფალია,
დამტირებელთა ვიტირებ, ჭირისა მე უფალია.

659.

აღარ ვიტყჳ მაშინდელსა, ეგებ გული არ მეტკინოს,
ვით გავუმლო ამ საქმესა, მიწა ვინმე გამარკინოს,
წყეულმცა-არის ეს სოფელი, თუ კიდევე არ მერკინოს,
ნამლევი ვარ ამის უფრო, თუღა ვინმე დამაკნინოს.

აქა ლევან-დადიანის სიკჳდილი, და მეფის ალექ-სანდრესაგან ოდიშისა, გურიისა და აფხაზეთის დაჭერა.

660.

დადიანი მომკჳდარ-იყო, მეფეს ეპყრა ლიხს იქითი,
სულ აეღოთ ციხეები, რუს-ნაქალაქევ ჭაქეთი,
სალარო თან წამოეღო, ცუდი მედებს მას იქითი,
აფხაზეთიც დაეჭირა, სრულ სვანეთი საქვეითი.

661.

ვამიყ იყო დადიანის, ბიძა-შჳლი არ მის მგჳანი,
ის დაესო დადიანად, ვინ არს ლიპარიტიანი,
ბატონობის შეუფერი, ვითა დვალი ანუ სჳანი,
ვერ მოევლო ოდიშისთჳს, გლახას ჰმართებს რცხჳნოვანი.

662.

კჳლავ დადიანსა ძმის-წული, ჰყჳანდა მამუკა ლიპარი,
წარსრულ იყჳნეს როსტომ-ხანთან, მოეხმარა მას ლაშ-ქარი,
როსტომ ფაშას ათაბაგსა, კჳლა ამასცა მისი ჯარი,
ქაიხოსრო გურიელი, და ერთ-პირად ოდიშარი.

663.

შეყრილ-იყჳნენ მეფეზედა, ამათ ექმნათ ერთ-პირობა,
მოსრულ-იყჳნენ ბანძას მაგრამ, მეფე წყალსკი გაე-სწრობა,
მეფე მარტო იმერეთად, ჴრმლითა ავად მოეპყრობა,
გამარჯჳოდა სასახელოდ, საქართჳელო მით ეპყრობა.

664.

უწინც ჰქონდა ჭმ ომს უკან, დაიჭირა უფრო მაგრა,
დაეკოდცა ორ-გულები, და ზოგიჯი დაეჩაგრა,
სადმრთო საქმე ახლა ეწყო, სინანული მოესაგრა,
აწ მარგებდა უსაცილოდ, არ დასცალდა ხანი მაგრა.

665.

როსტომ მეფეც მომკჳდარ-იყო, ვახტანგს ეწყო ქართ-
ლის მეფობა,
ქეენმა სიყჳარულითა, უწოდა შაჰნავაზობა,
კაცი მხნე ზნეობიანი, სიფიცხით ვით ავაზობს,
მამაცი კარგი სარდალი, კარგად იცოდა ფაზმთ წყობა;

666.

ამ ხანად მეფეც მომიკჳდა, ვეღარ გასძლო წელიწადი,
ჭკჳათ მყოფნი დიდად ტიროდეს, ემახოდეს თუ სად
წადი,
საქართჳელო დაემხობა, მტერთ მიხჳდება სულ საწადი,
ჩჳენ წახდენად ქჳე დაგჳყარენ, შენ სუფევის ტახტსა
ჯდი.

667.

მეფე მოკჳდა ლიხს იქითსა, საქართჳელოს თან ჩაი-
ტანს,
ალაღდებიან თავადნი, ერთი მეორეს გაიტანს;
ერთი მეორის სიკჳდილად, მოვა ამხანაგს მოიტანს,
ერთმანეთის კოცა დაუწყეს, თავს აშორებენ მოიტანს.

668.

წამოდგა მეფე ქართლისა, და ვამიყ დადიანიცა,
იმერეთზედა ალაშქრეს, მთიდამ ამკლელდა სჳანიცა,
დამოუჴრდენ შუა გაიყჳს, მთაცბათა შუაგანიცა,
მო ისიც გითხრა ვამიყის, საქმენი მოუგჳანიცა.

669.

მე დავრჩი ყოვლგნით ოხვრი, არგჳმის ციხესა სკან-
ცისას,
ვამაყთან როგორ მოვიდე, ჰურს ვჴსჯამდე უკრმლოს
ქაცისას,
ქართჳშლეს ბატონსვე მივენდევ, მისი ვირჩიე იმისას,
გზას ვჴსთხოვდი საივიცარითა, ყეენის კარზედ წასლვისას.

670.

მომცა მეფემ საივიცარი, არ დაგიშლი მე მაგასო,
ამად ვჴქმენ ეს რომ ყეენი, არ უმადლის ამას სხჳსასო,
ჩემის ნებით მივენდობი, ვჴნახოთ რას იქმს მექსავასო,
მაგრამ არჩჳს დამიმადლებს, და დაარქჳამს გაგზავნასო.

671.

მივეღ ვაჴტანგთან ვით ჴმართებს, დამხუდება ეგრე თავ-
მდაბლად,
ველი შემიწყო კჳლავ იყო, ყოფა-ქცევითა საკრძალად,
კრძალი მალ-გული ნამუსი, მას ჴქონდა მისად მასალად,
ნებით გამგზავნა ყეენთან, მე მინდა გარეგან მალად.

672.

რაზომ გამსაჯა სოფელმან, ცდა არ დავაკელ სიკუდამდი,
არ გავსტყდი არც შეუზარდი, ვირე არ მოვჴკუდი მა-
ნამდი,
მოსკოვს სტამბოლს და ისპაანს, მას შიგნით მთა და
ბარამდი,
ჩემის სახელის მეგლეზთ, ქჳშლგან დავასჴ მანამდი.

673.

რაც ვამიყ ჴქმნა ვის უქმნია, სხჳსა კაცს ასე საქმე ცუდი,
აეშალა ამ კარგს კაცსა, ემმაკის გულს დანაბუდი,
მოყჳრობიდამ გაეყარა, ცუდი ავად დანაკუდი,
ამ კრმლიანსა პელმწიფესა, სამამაცო ჴბურავს ქუდი.

674.

ასრე უნდა მტერმან მტრისა, თუ სირცხვილი გარდი-
ხადოს,
ჯერ ეს ჭკუა მოიგონოს, მისად შემწედ ღმერთსა ჴხადოს,
კჳლავ მიუხდეს ზედა მტერსა, ყოივა ავად გაუხადოს,
მტერი მისი შეარცხჳნოს, თავი თჳსი მისთჳს დადოს.

675.

მიუხდა ყჳცლა წაართჳა, სამეფო სადადიანო,
გურია საფხაზეთიცა, ჴე კაცო კრმლიან-სჳანო,
შჳლი მან მეფედ აკურთხა, მოუმე ჯერ ახალიაწო,
ვამიყ და მისნი მიმდგომნი, ქუერე სად დადიანო.

676.

ოდიშს ჩავიდა იქ დასჳა, იესეს შჳლსა ზურგადიდსა,
მოუჴარე იყო იმისი, შეცხრედრე ემამიდისა;
მუნ ინადირა ტუეები, გარ-შემო დანაბოდისა,
აფხაზიც შემოიყარა, შიშით ამასთან მოდისა.

აქა სიბერით მოუძლურებულის ბატონის თეიმურაზ-მეორის შაჰაბაზ-ყეენთან წაბრძანება ქართლიდამ.

677.

გამისტუმრა ყეენთანა, მიველ დამხუდა დიახ კარგა,
რას დღეს მოველ მას დამესვე, ჯერ მართლაც არ და-
მებარგა,
მოვიდა და მიდარბაზა, ეს რასთჳს-და დამიკარგა,
მჭყლის მტრისა სიკეთემა, ბოლომდისინ არ ივარგა.

678.

ის ღამე და მეორე დღე, ჩემს სადგომს ჰსჳა მხიარულად,
დადალულსა შორიელსა, არ მაცალა მილად-რულად,
მიალერსა მამასჳგით, თავ-მდაბლად და ტკბილად სრულად,
კჳლავ მიბოძა ჯუსაზომო, მას არ ექმნა დაკარგულად.

679.

რას ვაქნევ გრძლად მისს ამბავსა, მარხჳსა განა აღება,
მოცემასა ანუ პატივსა, ძნელია ჴელით აღება,
რას ჴელს ვჰყრი ასეთს საქმესა, თუ ბოლო მალ მომეღება,
კლდოვან დირდატთა ადგილთა, ვის შეუძლიან ბაღება.

680.

დღე ერთ იყო ოთხ-შაბათი, როს ჯუარს-მცემელთა ექმნა
რჩევა,
ამ დღეს ერთი დიდებული, ყეენს თურმე ენამლევა,
მას თუ ჴორცი შენ აჭამო, ჩამოგართუას შენ ნამლევა,
ნამლევი ვარ რაც მიბრძანა, ჩემგან წამს ერთს მო-
გერთმევა,

681.

მიველ ხორცნი მომიტაცნეს, მითხრა ხანი ესე ჟამე,
მოვახსენე მარხჳს არის, სად მე სიტყჳს სადიდამე,
მიბრძანა თუ რა იქმნება, დამიჯერე მე მასამე,
კჳლავ ხმა მაღლა უარი ვჰსთქჳ, ვჰსჭამო ღმერთსა არ ვიწამე.

682.

გაგულისდა თასი სავსე, ღჳნო პირსა შემაქცია,
მეც მაღალი სიტყჳს უთხარ, ვინც გნამლეობს თჳალთ მაქცია,
მე როგორ და მარხჳს ჭამა, სხჳსა სჯულზედ ვინ მიმაქცია,
მერმე მოტკბა მიალერსა, კიდე რითმე შემაქცია.

683.

აწ უყურეთ ჴელმწიფობას, გაათავებს ლხინსა, სოჰბათს,
თჳთონ წავა აშრაფსა და, მე გამგზავნის ასტარაბათს,
დამაშხამებს მისს სიტკბოსა, შარბათის სმას მერმე ნაბათს,
ამავ ზამთარს მივიცჳლები, წელსაც დავჰყოვ ვეღარ აბათს.

684.

გულსა ჰსწადდა თუმცა კიდევ, კაე-კაცობა მომესხლა,
ხან-გამოსჳლით დაცავჰბერდი, უძლურს ვითდა მომესხლა,
ჟამი ჩემი დაილია, სიკჳდილის დღეც მომესხლა,
მოდან რამე ნამლევი ვჰსთქჳ, დრო მოვიდა მომესხლა.

685.

სოფელი, ჩემის ცემითა, არ დაშჳრა რაზომ დამმჯიდა,
ვეღარ გაგიძლებ სიცოცხლეს, რომ მოვჰკჳდე იქაც დამსჯიდა,
ყოვლის ლახჳრითა დამკოდე, ერთი გაკლია ბარჯიდა,
ჩოხა ჩამიცჳამს მივცჳლივარ, აღარ დამასხო თავს ჯიდა.

686.

ამავ წელს მომცა კახეთი, ყეენმა მე ამის მთქმელსა,
წაველ გზაზედ თქჳცს სიკჳდილი, ვინ იახლებს ნათელსა,
თათრებსაც ბევრსა ერწმუნა, მივლენ უნთებენ სანთელსა,
თავ-პირს ეცხებდენ მიწასა, მის ნახადს მიწას ნათელსა.

687.

დადუმდა ენა რიტორი, ორღანთ მჩრახი წინწილი;
აქ გამოგზავნა უეენმა, იგ წმიდათ მჴსგავსი ნაწილი,
სამება მან აღიარა, ერთ-ღჳთაება სამ-ნაწილი,
მას კარი განხმელი დაჴსუდეს, სასმლოს შზა საქორ-
წილი.

688.

ალავერდს მოასრულნეს, შეკრბეს სრულად მღდელთ-
მოძღჳარნი,
კათოლიკოსი დომენტი, მათ განახჳნეს საყდრის-კარნი,
მიასჳენეს მუნ დაჴკრძალეს, მოწამეთა თან ნაკმარნი,
მოწამეთაც აღიარეს, აღავლინა ცის კამარნი.

689.

თავად ხატონთ მეც ვნახე, სიბერით მჯდომი კუბოსა,
ვეღარ ცხენს-ჯდომის შემძლები, მტერზედ ვაჲ უშუბოსა,
მისეპრი სახელმწიფოსა, დედამ სხჳა ვეღარ ჴშობოსა,
კაცი რას გაიგონებდა, მისის სიტყჳსა უტკბოსა.

690.

მეფეთ ამბავი მეფემან, შეჴკრიბა საქართჳელოთა,
ვეჭობ გასმოსთ სასმენელთ, ვინცა კარგად მოისთჳლოთა,
ხან განიხაროთ ლხინზედა, ხან თჳალიც დაისჳელოთა,
გვედრი ვარ სული ნავოდი, თქჳენ ლოცჳთ გაშინელოთა.

691.

დიდება ყოვლის სოფლისა, განქარდეს ვითარცა ავლი,
თუ სოფლის საქმეს აჰყუჳები, სასუფეველში ვერ ავლი,
ვითარ მოვსულ-ვარ შიშუელი, აგრევე აქედამ გავალი,
მიჯობს წამალი სულისა, სამებრად მისდა სამდავლი.

692.

არა განმართლდეს ყოველი, ცხოველი წინაშე შენსა,
დღე ერთ იყოს თუ ცხოვრება, ნუ ხან გრძლად ვინმე
მოშენსა,
აურაცხელი წყალობა, გაქჳს ზოგ-ჯერ რისხჳაც მო-
შენსა,
რაღა ვჰსთქჳა ტჳრთი ცოდჳსა, მამძიმებს ერთობ მაშენსა.

693.

ცუდად ყოვნით ამის მეტი, სხჳა ვერა-რა ვიმუშაკე,
ორსა წელსა მთა ვიარე, ველსად ვჰნახე ერთობ ვაკე,
უჳწლა ვინმე კარგად დამხჳდა, ვის ბერწი ჰყჳა ანუ მაკე,
მომიმიე შეცთომილი, ქრისტევ შენვე მომიბაკე.

694.

ნათქჳამია ესე ასრე, კაცს რომ მარტოობა ექმნას,
წინ დაედჳას ქუდი მისი, გაბრჭობოდეს ასრე ექმნას,
ერთი უნდა რამ მიზეზი, სმაობასა შემეექმნას,
ამას ესე ვამჯობინე, ბოლოც ადრე არ დაექნას.

695.

უნაყოფო არ დავაგდო, მე სოფელი თუმც ვინ მაქოს,
უგბილთაგან მოწონებას, ეს დიახ ჰსჯობს ბრძენმან მა-
ქოს,
ჩემს თქმულზედა უიბარჩობდენ, გაიგებდენ ვითა მაქოს,
იშჳწბდენ და იხარებდენ, ჰკრევდენ დაფდაფზედა მაქოს.

696.

იცით საუნჯეს უხმარსა, ჰსჯობს გაცემული ყოველი,
ვით ცის გამხმარსა ჰაერსა, ზამიერ წჳმით სოველი,
მართ უტყჳ ბრძენიც ცუდია, თქჳენც დაჰგმოთ ამას
მოველი,
ვითა მცონარსა მოდჳაწე, ჰსჯობს უტყჳსა გამომე-
ტყჳელი,

697.

ქუეყანას არის ნაყოფთა, მომცემი გამომღებელი,
ზოგთათჳს ბევრად მიმცემი, და ზოგთი გამბიცებელი,
ევრეთვე კაცი იქმნების, მართ კარგის შეუძლებელი,
სხუა ბრძენი ტკბილად მეტყუელი, წერილის მაუწყე-
ბელი.

698.

ჰმართებს ბრძენსა გონიერსა, რაც იცოდეს არ ჰმა-
ლევდეს,
ესრეთ ბრძანებს სახსარება, ადორმნილეს არ განლევდეს,
დაცა-ჰსდევით ტალანტით, სავაჭროსა მოიმლევდეს,
შეჰკრეფდეს და შესმინებდეს, და მედგარი დამალევდეს.

699.

ეთქუა გამართჳე ლექსები, მომწყინდა სიტყჳს მებანი,
მას ეთქუა ტკბილად გაწყობით, ვის აქუს მეფვისა მებანი;
მწერალსა ვეღარ ეკარგა, დადრომით გამომებანი,
სახელსა ვერ ამკობს სრული, სწორებით თუ არ მებანი.

700.

თქუა ვინმე ესე უგბილმან, რაცადა მონდეს სხჳსაო,
წუეთი მე სხჳსა არ მნებავს, ღრმა ჭური მებრ-სი-
ბრძნისაო,
სხუამ გონიერმან მიუგო, არა ვარ მე მაგ ჭკჳსაო,
ცუარი სიბრძნისა ჩემად და, თუ გინდა შენ ზღუა
სხჳსაო.

701.

მწჳრეში მჯდომმან აყუელრა, ვის ცუარი ჰჯდა ზედაო,
შეჰსძახა დასუელებულ-ხარ, მე გხედავ აგ საჩედაო,
კულავ თუალში ბეწჳ უპოვნა, ვის თჳთონ ჰქონდა ხე-
დაო,
მიუგავს შენსა ვერ ჰხედავ, საწყალო ცრუ სახედაო.

702.

ბევრი საქმე უნდა ჰსცადო, თუ გინდა გამოიცადო,
ბევრი უნდა მოითმინო, ავი კარგად მოიცადო,
ავი საქმე ავი სიტყუა, გულით აღარ განიცადო,
რა ესე ჰქმნა სულ განახლდე, ნაწჳელმან გამოიცადო.

703.

მე ნუ გგონიათ სხჳს ენა, მეც არ ვიცოდე სხჳსა-
სავით,
მაგრამ ცუდია გარევა, ქართულს ენაში სხჳსასავით,
იესო-ქრისტე ვის არ გრწამსთ, მიკჳრს სხჳსას ღმერთსა
ესავით,
თუ იგ არ შეგჳწევს ცუდია, მარტო ვერას ვიქმთ ესა-
ვით.

704.

ორს მელექსეს ჩამოისდა, სხჳს მელექსე მიამებით,
არა მმულ-ხარით ყჳელა გაქეო, თქჳენის თქმულით მე-
ამებით,
რაც თქჳენ დაგრჩაო მე შეჰკრიბე, ამას ნურვინ მედა-
ვებით,
სტუმარს დავჰხჳდე ნახორმალით, თქჳენით უკჳე მია-
მებით.

705.

რაც მასმოდა ან მენახა, ამბავი ვჰსთქვ მე მართა-
ლები,
ანუ ლხინი ანუ ჭირი, ერთმანეთზედ დანათჳლები,
სიმართლე და კჳლავ სიმდიდრე, ვინ ბნელი ჰქმნა ან
ნათლები,
თუ შენდობას არ მიბრძანებთ, წყევლას არ-ვინ მე-
მართლები.

706.

ცხრას თჳჱს ყჳჱლა გავათავე, სულ ამაზედ არ მო-
ცდილმა,
ისეთს ვიყავ ფაიქომში, საქართჳჱლოს გამოცდილმა,
რა ამაზედ მომაცალა, სოფლის ბრუნჳამ ვითა ჩრდილმა,
აქ აშტარხანს გავათავე, არჩილ მეფემ ასრე ზრდილმან.

707.

მიხამს ეს ჩემი ნათქჳამი, ვჰსთქჳა ყოველთ მოსწო-
ნარად,
ფასად მომცემენ ქებასა, სიბრძნესა მოსწონარად,
დავაგდო ჩემად სახსოვრად, შენდობის მოსაგონარად,
თუ არვინ მითხრას შენდობა, ვერა მთქჳან ცუდად
მცნობარად.

სიტყუა ძუელთა და ახალთა საქართუელოს მოლექსეთათჳს, თქმული მეფისა არჩილისაგან.

708.

სხუა ლექსით ჩახრუხაძემა, შეამკო მეფე თამარი,
არ მებრალების საქებრად, თამარი მისი ამარი,
ვაჲ ამით რომ სრულ ვერ-ჰყო, ადრე უთხარეს სა-
მარი,
მუდამ სხუას წიგნებს ვკითხავთ, მაგრამ ისიც სამარი.

709.

როსტომიანი უთქუამსო, თურმანის-მესა ხუასროსა,
სხუა წიგნი მაშინ მჯრობდა, დაუწერია მას როსა,
დიდის საქმისა უცოდნი, სჯერდება საქმეს მომცროსა,
ახლა ცუდად ჴსმეს მაგრამე, მოიხმარების ზოგს დროსა.

710.

ნანუჩას რუსთველის ნათქუამში, ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყა, წმიდა რამ აუმღურევია,
მასთან რად სწერდა მისს ლექსსა, სირეგჳნე მით მო-
რევია,
რუსთველი სიბრძნის ტბა არის, არცთუ იგი მორევია·

711.

ჯაგლაგსა თალკვენი-მჯლსა, არვინ ათხოებს ყურსა,
მას ვეცხლი დაუმსხურევია, და ვეღარ დაუყურსა,
სულ მელექსენი შევჰყარე, მაგრამ ამ ორთა მსურსა,
რა დავაბრალო ჯაგლაგს, ვერ მიჰყუეს ბედაურსა.

712.

ქაიხოსრომან შიგ ჭართჳთ, ლექსად ჰსთქჳა ომანიანი,
ომანის სიმკნე სიქჳელე, ჯაჭჳს-ცმა მამაციანი,
კარგად რამ უთქუამს მის-გამო, არა ვჰსთქჳ მისი ზიანი,
ყუავილში გამოერია, სულით ქუფრი რიანი.

713.

ფარსადანის-ძემ ნოდარ ჰსთქუა, ქება კარგა ბარამგურის,
შჳდ იულიმთა კელმწიფეთა, ხოტბა ლექსი არა გურის,
თუალნი თლილნი მოაფქურივნა, გარ უარ-ჰყო არ აგურის,
მის ლექსისა სასმენელად, მიჰყრობა ჰკამს კარგა ყურის.

714.

ჩოლაყა-შჳლს გარსევანსა, უთქუამს რამე-რაებია,
კიტრი ხილად რადას კარგა, კაშლი მოვა რაებია,
ესევე ჰსჯობს რაც მასმია, მისგან მონახსენებია,
გული კჳდება ნარგიზთათჳს, თუალნი გაუშტერებია.

715.

სულხან ვინ თანია-შჳლი, მეც მახსოვს იყო ჩემობას,
ცოდნა მას ჰქონდა ბევრი-რამ, მაგრამ ჰსწამობდენ ჩუ-
მობას,
ამირან დარეჯანის-ძეს უქებდა გამოჩუენებას,
კარგად ჰსთქუა მაგრამ ვერ გჳზამს, რუსთველის თქმულ-
თანა ჩუენობას.

716.

ბარამიმ ვაჩნაძემ სამის, წიგნი გალექსა ოდიშსა,
სხუას მელექსესთან ჯდომაში, უხამს იხდიდეს ბოდიშსა,
თუ არ შეემლო რასთჳს ჰსთქუა, რად შეიქმს სამ ბო-
დიშსა,
ვეჭუ თუ არ ეთქუა მით უთქუამს, საქმეს უზამდენ სა-
შიშსა.

717.

აწ სამებელი იაკობ, ვახსენო ბრძნად მოუბარი,
ამ ჟამად მას მეცნიერნი, არსად არა ჰყავს უბარი,
ხუცურის ენით მელექსობს, არის საეროს მგმობარი,
სრულად ამისთჳს არ ვაქებ, რომ იყო ჩემი მქებარი.

718.

ფეშანგიმ ფაშჳ-ბერტყუაძემ, ახლა ჰსთქუა ფირმილიანი,
სომხისგან კარგად ჩაავდეთ, სიმმიმით ვით ლიტრიანი,
გებრალებოდესთ საბრალო, ცხჳრ-მოჭრით თუალ-ცრემ-
ლიანი,
მე ვათქმევინე მაგრამ მე, ვერა ჰსთქუა მარილიანი.

719.

სხუათ მელექსეთ არ ვახსენებ, არც ბააკა ღვალიმესა,
არც დათუნა ცქირიანსა, შოთას რად ვერ წაჰბაძესა,
რუსთუელმა ჰსთქუა კაცის-კაცად, საქმე რამე დიდი მესა,
ჰხედავთ ვარსკულავთ სიმრავლესა, ვერ ედრების შუ-
ქით მზესა.

720.

ვისცა ეთქუას კარგად რამე, ნუ წაუხდენთ თქუენცა აქეთ,
კარგი კარგად მოუწონეთ, ცუდის მთქმელი მოდაბაქეთ,
ვინ ვერ მიჰყუეს რუსთუელის თქმულსა, გარდმობრძან-
დეს ასე აქეთ,
მელექსობა არ შეშუენის, დააყენეთ მოსაბაქეთ.

721.

ქართუელთ ენითა მელექსე, ვერ ედარების ამ ორსა,
რუსთუელსა ენა-რიტორსა, შეფეს ალჳსა ნამორსა,
ერთმანეთს რად ვაბაასებთ, უხამს უყოფდენ ამბორსა,
იტყჳან უკლოდ ამბავსა, სპარსთა ნათქუამსა ნაჭორსა.

722.

ბევრჯერ მასმია ცილება, ამბობენ სჯობს-ო ეს მასო,
შედარებასა ნუ მოვშლით, უნდა თუ მათცა ესმასო,
ლხინსა გჳჩჳენებს ამისა, და გაჳკვეთებს ეს მასო,
ჭირსა უკუ-წყრის სევდასა, გულთა ლახჳართა ესმასო.

723.

ვინ ლაღთან დაწსლჳა აყიყი, მის წყალ-ოვერ გამომცე-
მელი,
ან ტკბილ-მეტყჳწლის ენასა, უღრის გესლ-გამომცემელი,
ეგრეთ ვერ მივწყჳწ რიტორთა, უცები ბრძენთ საცემელი,
ბრძენო გენუკჳ ტარიგსა, არა ჭკამს გამომცემელი.

724.

რაღ ჭკამდა ეგზომ მუზიკთა, მელექსეთ თავს შეურევდე,
მათ მარგარიტთა ნათქჳამთა, ღორებს თრგუნჳთ შეუ-
რევდე,
ან ვარდის ბაღსა ბულბულის, ნაყეოფსა გაჰკატერევდე,
მაგრამ ამად ვჭქმენ სევდასა, დავჭსცემდე მიწყივ მო-
ვრევდე.

725.

მოლექსენი ასე ითქჳა, ბოლოც მმართებს შეუთაო,
ბატონი-კი შეუდარო, სხჳათ რუსთჳწლი გაუთაო,
კარგად ვწსთქჳა უწყლა კაი, არ მგონია ვნანუჩაო,
კიდევ რამ ვწსთქჳა რასა ბრძანებით, თუ ამაზედ გავათაო.

726.

სიბრძნის-მცდელნო კელის-მურელნო, გაიგონეთ განა
გესმისთ,
ორთა ბრძენთა მუსიკობა, გულს გაამებსთ განა გესმისთ,
ტკბილად არის შესახჳრეტი, სამსალებრივ განა გესმისთ,
სიტყჳა შაქართ-იადონთა, მელექსობა განა გესმისთ.

727.

იცით სიბრძნეს არა ჰმალავს, მეფე არცა დიდებული,
გულსა შინა დაფარული, ამოიღეს მიდებული,
მიჯნურობა მრავალ-გუარად, თქჳმს სახმილებრ კიდე-
ბული,
ზოგნი მსიმავთ შეუდარეს, ზოგნი არის კიდებული.

728.

ყური მიმყართ წადიერად, ნურსად წახჳალთ აქავ ებით,
მას უბრძანა თამარ-მეფემ, ბატონმა ჰსთქჳა თავის ნე-
ბით,
ბევრი რამ ჰსთქჳმს მათ ამბავი, გარდალექსეს თარგმა-
ნებით,
ამის შემდგომ თქჳმნც მოგინდესთ, მაგრამ მეფე დამა-
ნებით.

729.

მეფე ბევრს რასმე შემოჰკრებს, მიჯნურთა ერთად მკობასა,
არ დაჰსწყჳმტს სიბრძნის წყაროსა, ენისა მუსიკობასა,
აქებს შჳმნება სიტურფეს, სიფიცხე კისკასობასა,
თუმცა ეწყალჯს მაშინცა, არ აკლებს ლახჳართ სობასა.

730.

რუსთჳმლი მოკლეს სიტყჳთა, მზესავით ათინათინებს;
მეფე ღჳრის ცრემლსა დაწჳჳედა, ფერად რად ათინათინებს,
შოთა ჰსის სიბრძნის-ქტლზედა, თავსა მით ათინათიებს,
ბატონი სჩარხავს სიტყჳასა, თავს კარგს თქმად ათი-
ნათინებს.

731.

თჳალს მიჯ[illegible] დაბმულსა, უნატრის ახლად ჩენასა,
უმზირდეს მიუცილებლად, უწყჳმდლად ცრემლის დენასა,
ენას მხმარებლობს მუსიკობს, შეუძნდენ ყურნი სმენასა,
მეც მაქონ მათებრ მსმენელთა, ვიტყოდე მათ ოცნებსა.

732.

ორი არის სიტყჳს ცოდნა, სამღჳდელო და საერო,
სამღჳდელოსა მცოდინარე, საეროსა მოერიო;
ამათ ორთავ ჰსცოდნებიათ, დაუჩაგრავთ მათ სწორიო,
თქუენც მოგსურდესთ მათი სიბრძნე, თუ ვინ ორშივ
გაერიო.

733.

აწ თქუენ გასინჯეთ რომელსაც, რომელი უკეთ ჰსცოდ-
ნოდეს,
სამღჳდელო ანუ საერო, მის მისს დროს რომელს მო-
ჰქონდეს,
ენას მსუბუქად ტკბილადრე, არ მობტყუოდ მძიმედ მო-
სწონდეს,
ამის შეტყობა მინდოდეს, ნუ მზრახავთ ეს მომდომოდეს.

734.

ენითა ჰსწურთენ გოლეულს, ბაგეთ აშაქრებინებენ,
კელ-ქმნილსა კელ-ქმნილი სადა, სამებრად სადმე არებენ,
მიჯნურთა მოტრფიალეთა, მკეცებრივ არ უკანებენ,
კულსაცა მებრძოლთა მლაერთა, დევთა სრვად ალაშქარებენ.

735.

აწე ვიწყო მათი შედრა, უდარებდე კარგ სადავით,
თუცა ვეჯდე სიბრძნის-ეტლსა, ვიხმარებდე კარგ სადავით,
რად ჰკამს ბრძენთა არ ხსენება, ვინ აჯობა ქაშფსა დავით,
მჭჳრეტთა შუქი არ მოაკლდესთ, დუსჭირთ ექმნას ტურ-
ფოვა დავით.

736.

მათ დაურჩა მეკრი რამე, სიბრძნეს ბ[illegible]ოუღოს,
მეც რამ ვიცი არ დავჰფარავ, ცოდნას კარი არ მოუღოს,
აწ გაშინჯეთ თქუენს წინაშე, ლექსი ტკბილი არ მომეღოს,
მაგრამ მაშინც ამას ჰბრძანებთ, მათგან რამე გადმომეღოს.

737.

გასინჯეთ სიბრძნის ტრფიალნო; კარგად მითქომს თუ არ ავად,
მინდა თქჳენ გამოგარჩჳენო, არ მინდა დასათვასავად,
ერთ-ჴელ ყოვლისა საქმისა, ქარი მიქროდა არ ავად,
ბოლომდის არვის გაუშჳებს, სოფელი გაუმწარავად.

738.

მე ეს ბაასი მასმოდა, შემრჩა ერთ-გულის ყურესა,
ვინ ბაასობენ ღჳნოს სმენ, და მეკი მამაწყურესა,
ოდეს მე მოვრჩი ოვსეთს, მათ აღარ მამაყურესა,
მარტო ლექსის თქმას დავსჯერდი, მე მისთჳს მამასურესა.

739.

ამას ის ჴსჯობს ღჵთის შიშჳედა, საფუძჳელი კაცმან აგოს,
სიწმიდითა შეიყჳაროს, სასოება არ გადაგოს,
მტკიცედ ჴქონდეს სიყჳარული, აშ სამსავეს ზედ დაადგოს,
მერმე საქმე მისი ნებით, წარემართოს რაც გააგოს.